წინ, ყველაფრის კენ!

პეტრე გელოვანი

ფინ, უკვდავებისკენ!

პეტრე ფალიასნიანი

თბილისი

2010

წინ, უკვდავებისკენ!

პეტრე გელბახიანი

შემდგენელი – ციცი გაბესკირია

რედაქტორი – ქეთევან ქურდოვანიძე

ყდა და კომპიუტერული უზრუნველყოფა – თადო ჩოლოყაშვილი

გამომცემლობა "ნიკე"

დაისტამბა

ISBN 978-99940-970-8-1

ბატონებო!

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხს საქართველოში. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ისევ დაკავშირებულია პოლიტიკასთან. არსებული რეჟიმი პოლიტიკური სიმპათიის ან ანტიპათიის პრინციპით უდგება ყველა პიროვნებას და შესაბამისად, პოლიტიკური პოზიცია ხდება ადამიანის ბედის განმსაზღვრელი.

განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა ამ პრობლემამ ამჟამად, როცა აშკარად გამოჩნდა გზის გასაყარი. ერთი გზა ნორმალური, პროგრესული სამყაროსაკენ, ხოლო მეორე — წარსულისკენ, სტალინიზმისკენ, იმპერიისკენ. მიუხედავად დასავლეთში მოქმედი მრავალი ცენტრისა, რომელიც "სოვეტოლოგიით" და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლით არის დაკავებული, გვერწმუნეთ, რიგითი საბჭოთა ადამიანი, რომელსაც საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი საბჭოთა და რეპრესიული აპარატის საშინელება, უკეთესი და საუკეთესო ექსპერტია!

იმის მიუხედავად, რომ სახეზეა აღმოსავლეთ ევროპაში მიღწეული უდიდესი წარმატებანი, ისევ რჩება უდიდესი რისკი პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები ხალხის ბედის განსაზღვრისა. რეგიონში დასახლებული ხალხის საბოლოო ხსნა

გაურკვევლობისა და უკანონობისაგან. ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ცნობილნი არიან თავისივე კომუნისტური წარსულით, დღეს ურცხვად აცხადებენ პრეტენზიას დემოკრატობაზე.

საზოგადოებაში დისკრეტიდაციას აცხადებენ ზოგადი დემოკრატიისა და ამკვიდრებენ ნიჰილიზმს. მათი აღზევებაც ხომ რუსეთის კაპრიზი იყო! ამით რუსეთის იმპერიამ მშვენიერი ნიადაგი მოუმზადა მომავალ კომუნისტ — "პატრიოტებს". მცირე ხნის შემდეგ, ხელოვნური ეთნოკონფლექტებითა და სახელმწიფო გადატრიალებებით დაღლილ ხალხს, რომელსაც ვამპირმა პროკომუნისტურმა (ელიტამ) ნომენკლატურამ საბოლოოდ გამოწოვა სისხლი, მოევლინება ლენინის სულიერი მემკვიდრე და კვლავ რუსულ იმპერიაში გაერთიანებას შესთავაზებს...

მერწმუნეთ! შევარდნაძის მსგავსი ლიდერების მისია ეს არის! მათთვის არ არსებობს არაფერი წმინდა! ჩვენ ხშირად გვიხდება წარმომადგენლებთან შეხვედრა და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ — ესენი კრიმინალები არიან! ისინი მიესალმებიან სახელმწიფო გადატრიალებას, ძალადობას, ხალხის წამებას! საქართველოში არსებული მდგომარეობა ამის საუკეთესო მაგალითია. დღეს

არავინ აღარ ფიქრობს ხელფასის დარიგებასაც კი. მთელი მოსახლეობა არსებობს უხელფასოდ. ფინანსები კი კორუმპირებული ნომენკლატურის ანგარიშებზეა! ის ფინანსები, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები გვიგზავნიან კრედიტების სახით და რომელიც ჩვენი თაობის ვალია!

სიკვდილმისჯილი პოლიტპატიმარი
პეტრე გელბახიანი

რაც სიცოცხლეში ვერ გითხარი

ჩემო საყვარელო, შენ ჩემი პირველი სიხარული ხარ. შენი ბავშვობა ჩემი ცხოვრების იმ უბედნიერეს ხანას უკავშირდება, როდესაც ყველანი ერთად ვიყავით, როდესაც ჯერ კიდევ წინ გვედო ბედისწერის უმკაცრესი განაჩენი. ბავშვობაში საოცრად წყნარი და მშვიდი იყავი, ყოველთვის კარგად სწავლობდი და მახარებდი შენი წარმატებებით. ყველა

შემოგვნატროდა და მეც მეამაყებოდა, რომ ასეთი შვილი მყავს. ჩვენს ოჯახში ყველაფერი შენთვის იყო განკუთვნილი და თურმე ეს უდიდესი განსაცდელი და ტანჯვაც შენთვის განუმზადებია უფალს.

გავიდა დრო და ბოროტმა დაგვრია ხელი, საოცრად განიცდიდი ბაბუაშენის ამბავს და არც კი წარმოგედგინა, რომ მასზე მძიმე ხვედრი გელოდა.

ჩემო ვაჟკაცო, ტკივილით დაიწყო შენი ცხოვრების დიდი გზა და არც შენ შეუშინდი და შეეპუე ტირანის განზრახვას. ყოველთვის ვეთანხმებოდი შენს გადაწყვეტილებას თავი გაგეწირა სამშობლოსთვის, არასდროს გადაგდგომივარ წინ, არ დამიშლია ბრძოლაში წასვლა. ეს როდი ნიშნავს, რომ არ მიმძიმდა ყველა ჯერზე შენთან განშორება. ღიმილით გაცილებდი და მერე გელოდი ღამენათევი, თვალცრემლიანი და როდესაც ბრუნდებოდი, ისევ გიღიმოდი. და, აი, ერთ დღესაც აღარ დაბრუნდი.

სიკვდილმისჯილთა საკანში დაგაბინავეს. შენთან ერთად, გაუტეხელი რწმენით ყოველ დღე ველოდი სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი არასდროს მოდის მაშინ, როდესაც ელი, არამედ მაშინ, როდესაც აღსასრული ასე შორს გეჩვენება.

არესტანტული ცხოვრების ყველა წუთი შენთან ერთად გავიარე, არ არსებობდა წამი, როდესაც შენს გადასარჩენად არ ვირჯებოდი, ვიბრძოლეთ და სიკვდილისგან გიხსენით, მაგრამ სიკვდილი ხომ მაინც გარდუვალია.

ალბათ ღმერთს ვცოდავდი, როდესაც გული მეკუმშებოდა, ნესტიან საკანში რომ მოვდიოდი შენს სანახავად. ნეტავ ახლაც იქ მეგულებოდე, მოვალ და სამუდამოდ შენთან დავრჩები. ეს საკანი ხომ გაცილებით თბილია, ვიდრე შენი ცარიელი ოთახი.

მერე დადგა თავისუფლების ნანატრი წუთები. ასე მეგონა, ხელახლა დაიბადე, ვფიქრობდი, რომ განსაცდელი გვაკმარა უფალმა და წყალობა მოგვანიჭა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ ათწლიან ტანჯვას უკვალოდ არ ჩაუვლია, რომ რაღაც შეიცვალა. მაშინ ამას სახელს ვერ ვარქმევდი, მეგონა, რომ თავისუფლების სურნელმა თავბრუ დაგახვია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ რაღაცას გრძნობდი, იცოდი, რომ დიდხანს ვეღარ გაუძლებდი უმოქმედობას, რომ ოცნებები დაგემსხვრა, რომ ამ სამყაროსთან გაუცხოვდი. გრძნობდი და გეჩქარებოდა, ემზადებოდი განშორებისთვის.

რომ იცოდე, როგორი მწარეა, რა გაუსაძლისია შენი არყოფნა. როგორ გვტკივა, როგორ ვიტანჯებით. შენ გარეშე ჩვენი ნაცრისფერი ცხოვრება კუნაპეტ ღამეს დაემსგავსა, მხოლოდ აქა-იქ გამოკაშკაშდება ხოლმე ვარსკვლავები და ასეთი ვარსკვლავი შენი პატარა შვილიშვილია, პატარა ნუციკო, რომელთან ურთიერთობის სიხარული არ დაგცალდა, მაგრამ ის მანუგეშებს, რომ გაიზრდება და სიამაყით იტყვის, ჩემი ბაბუა ვერ გატეხეს, ის საქართველოს თავისუფლებას შეეწირაო.

ჩემო ძვირფასო, ხვალაც მივალ ეკლესიაში, ხვალაც დაგინთებ სანთელს და ვილოცებ შენთვის. ვიცი, რომ ახლა ეს ყველაზე მეტად გჭირდება. დავბრუნდები შინ და შენს ფოტოსურათთან დიდხანს ვიტირებ, ოღონდ ისე, რომ არავინ დაინახოს, არავინ თქვას — პეტრეს რა სუსტი დედა ჰყოლიაო.

ცხოვრება ისევ გაგრძელდება, შენ კი ჩემთან ხარ და ვეღარავინ ვერასდროს წამართმევს შენს თავს.

შენი დედა

ავტობიოგრაფია

მე, გელბახიანი პეტრე გედევანის ძე, დავიბადე 1962 წლის 15 ივლისს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1969 წელს შევედი თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1979 წელს.

1979 წელს ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

1977-1982 წლებში ვთამაშობდი თბილისის "დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდის დუბლიორებში.

1985 წელს წარჩინებით დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და ამავე წელს გავხდი ალ. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი იმუნოლოგიის სპეციალობით.

1988 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია და 1989 წლიდან ვარ მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

1989-1990 წლებში ვიყავი პოლიკლინიკისა და გადაუდებელი თერაპიის კათედრის საათობრივი ასისტენტი. ვიყავი სამკურნალო ფაკულტეტის

საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე საათობრივ ანაზღაურებაზე.

1991-1992 წლებში ვიყავი ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს მეორე საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმი-ექოსკოპისტი.

2002-2003 წლებში ვიყავი შპს "ადაპტის" ანგიოკარდიოლოგიური კლინიკის თერაპევტ-კონსულტანტი

2004 წლის აპრილიდან ვმუშაობ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსად.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

პეტრე გელბახიანი
9.10. 2004 წ.

პეტრეს დიდი ბებია და ბაბუა
სალომე ტაბატაძე, გედევან გელბახიანი

პეტრეს დიდი ბაბუა
იაკობ ტატიშვილი (დეკანოზი)
ოჯახთან

პეტრეს დიდი ბაბუა
საბა ბეჭანიშვილი

პეტრე გელბახიანის წინაპრები

პეტრეს სასახელო წინაპრები ჰყავდა. მისი დიდი პაპა დედის მხრიდან, იაკობ ტატიშვილი აზნაურის შვილი იყო, დამთავრებული ჰქონდა გორის სასულიერო სასწავლებელი და განჯაში მღვდლად მუშაობდა. მისი დიდი დამსახურებაა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან თბილისში. სწორედ იაკობ ტატიშვილის ინიციატივით დაიბეჭდა გაზეთ "ივერიაში" წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ განჯის მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაჰყავდათ გზა, რაც საფრთხეს უქმნიდა ეკლესიის მახლობლად მდებარე სასაფლაოს, სადაც დაკრძალული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი. სწორედ ამ წერილმა განაპირობა დიდი პოეტის საქართველოში დაბრუნება. 1914 წელს იაკობ ტატიშვილი ბაკურიანის ეკლესიის მოძღვრად გადმოიყვანეს, ხოლო მოგვიანებით იგი თბილისში დასახლდა, თავის დიდ ოჯახთან ერთად, და წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის დეკანოზი გახდა. 1938-1939 წლებში დაიწყო ეკლესიების დარბევა, ნგრევა, გუმბათებიდან ხატებისა და ჯვრების გადმოყრა. ამას ვეღარ გაუძლო იაკობ ტატიშვილის გულმა და იგი ინფარქტით გარდაიცვალა.

პეტრეს დიდი ბებია დედის მხრიდან, ნინო ონიაშვილი მდიდარი თევზით მოვაჭრის ეფრემ

დიდი ბაბუა
იაკობ ტატიშვილი

დიდი ბებია
ნინო ონიაშვილი

დიდი ბაბუა
ალექსანდრე მითაიშვილი

ონიაშვილის შვილი იყო. იგი ძალიან განათლებული და ჭკვიანი ქალი იყო, ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას, კარგად იცოდა საბუნებისმეტყველო საგნები. მისი ძმა დავით ონიაშვილი 1917-1921 წლებში მიწათმოქმედების მინისტრი გახლდათ, ფრიად განათლებული და ნიჭიერი ადამიანი. სწორედ მან თარგმნა მარქსის "კაპიტალი" და გოეთეს "ფაუსტი". ის რამდენჯერმე დააპატიმრეს, ბოლოს კი დახვრიტეს.

პეტრეს ბაბუა დედის მხრიდან, ალექსანდრე მითაიშვილი, იმხანად დიდად განათლებული კაცი ყოფილა. იგი ქალაქ ქუთაისში და შემდეგ ჭიათურაში გიმნაზიის დირექტორი იყო.

პეტრეს დიდი ბაბუა (მამის მხრიდან) საბა ბეჟანიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სიღნაღის რაიონში და იმ დროისთვის საკმაოდ შეძლებული და განათლებული კაცი იყო.

პეტრეს ბებიის (მამის მხრიდან), თამარ ბეჟანიშვილის გადმოცემით, თურმე საათი იმ სოფელში მხოლოდ მას ჰქონდა და ამიტომაც საათის გასაგებად ყველა მას მიმართავდა. საბას ჭკუისა და სიდინჯის გამო ადვოკატადაც კი მოიხსენიებდნენ. იმხანად კახეთში შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯგუფი, რომლის წევრებიც მაშინდელი სისტემის მოწინააღმდეგენი იყვნენ. მათ სათავეში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ედგათ.

იგი ძალიან ახლოს იყო საბა ბეჟანიშვილთან, იმდენად, რომ ჯგუფის საბრძოლო იარაღი საბა ბეჟანიშვილის სახლში ინახებოდა. ქაქუცას, ახლობლობის ნიშნად, საბას უმცროსი ქალიშვილი თამარ ბეჟანიშვილი (პეტრეს ბებია მამის მხრიდან) მოუნათლავს, ხოლო როდესაც "შეფიცულებს" (ასე ეძახდნენ ამ ჯგუფს) საქართველო უნდა დაეტოვებინათ, საბას მისთვის გამოსამშვიდობებელი წვეულება გაუმართავს.

პეტრეს ბაბუა (დედის მხრიდან) გახლდათ ირაკლი ტატიშვილი, აკადემიკოსი, საქართველოში სამედიცინო მეცნიერების პატრიარქი, პათანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ბებია (დედის მხრიდან) თამარ მითაიშვილი იყო პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მ ე ც ნ ი ე რ - თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი , პ ა თ ო ლ ო გ ი ი ს განყოფილების გამგე.

პეტრეს ბაბუა (მამის მხრიდან) იყო პეტრე გელბახიანი (დიდი), აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, რომელიც შევარდნაძის რეჟიმის მსხვერპლი გახდა. ეს საკმაოდ გახმაურებული ისტორია ყველასთვის ცნობილია.

პეტრეს გამზრდელი ბებია (მამის მხრიდან) იყო თამარ ბეჟანიშვილი, ფარმაკოქიმიკოსი.

როგორც ხედავთ, ბაბუებისა და ბებიების პროფესიამ დიდი გავლენა მოახდინა პეტრეს პროფესიულ არჩევანზე.

ბაბუა
პეტრე გელბახიანი

ბებია
თამარ ბეჭანიშვილი

ბაბუა
ირაკლი ტატიშვილი

ბებია
თამარ მითაიშვილი

პეტრე გელბახიანის შემოქმედება

იყო და არა იყო რა...

იყო ერთი პატარა ქალაქი. ამ ქალაქში თითქოს ყველაფერი ჩვეული წესით მიდიოდა. იყვნენ მუშები და იყო მუნიციპალიტეტი, ექიმები, იურისტები, მშენებლები, ვაჭრები და რაც მთავარია, პოლიციელები. მთავარი იმიტომ, რომ არავის ჰქონდა იმდენი პრეტენზია ჩვეულებრივი რამის შენარჩუნებისა, რამდენიც პოლიციელებს. თითქოს ყველას უნდა ელიარებინა, რომ ავადმყოფის მორჩენაში, შენობის აშენებაში, ნაირნაირი საქონლის არჩევაში ძირითადი დამსახურება არა იმ პიროვნებებს მიუძღვოდათ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ პროცესებში, არამედ სწორედ რომ პოლიციას!

და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არავის უკვირდა, რომ საზოგადოების ყოველი კასტა გარკვეულ, არაყოფიერ კატეგორიასთან იყო

ასოცირებული. იყვნენ ჭიანჭველებივით მოფუსფუსე, ფუტკრებივით მშრომელი მოქალაქენი, იყვნენ მუზების მპყრობელნი, "ლირიკოსები," რომელნიც თავის არამატერიალური პოტენციით აპურებდნენ თანამოქალაქეებს და ა.შ. ვიდრე ბრაჰმანებამდე, ან, უფრო სწორად, აბსოლუტამდე აყვანილი პოლიციელები. ისინიც დღითა და ღამით ყველას ატკბობდნენ თავისი "ღვთაებრივი" აურით, რომელიც ამ "ყველასგან" იქმნებოდა.

ვინ იცის, სადამდე გაგრძელდებოდა ეს იდილია, რომ არა ერთი შემთხვევითობა. მათ მეზობლად არსებულმა "თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონამ" ამ ქალაქში საშენი მასალების გაძვირება გამოიწვია. დაიწყო ყოვლად წარმოუდგენელი პროცესები. მშენებლობა, როგორც დარგი, წამგებიანი გახდა. მუშები უსაქმოდ, უმუშევრად დარჩნენ. ის კი არა, საავადმყოფოში ჩამონგრეული ბათქაშისა და დაზიანებული სანტექნიკის გამკეთებელიც არავინ გამოჩნდა. ხალხი ამრეზით უყურებდა ქუჩაში უსაქმოდ გაჩერებულ მშენებლებს, რომლებიც უფულოდ სთხოვდნენ ვაჭრებს კათხა ლუდსა და სიგარეტს. ამან, ბუნებრივია, ფასების ზრდა გამოიწვია. აბა, ვაჭარი რისი ვაჭარია, წაგებაზე ხომ არ იმუშავებს?! ყველაზე აქტიურები კი საგაფიცვო კომიტეტის ჩამოყალიბებით დაკავდნენ!

და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ხალხი ქუჩაში გამოვიდა, დაიჭირეს ხელში დროშები,

ტრანსპარანტები... ერთ-ერთ კოლონას მოსამართლის ერთადერთი ვაჟიშვილი მიუძღვოდა, რომელიც, მართალია, დიდი ნიჭით არ გამოირჩეოდა, როგორც მშენებელი, მაგრამ ცნობილი მამის გავლენითა და ფინანსებით ძლიერი სამშენებლო ორგანიზაციის ლიდერი გახლდათ. საინტერესო მოვლენა არ გამოტოვეს ჟურნალისტებმაც. უჩვეულო შემთხვევა ხომ უნდა აღეწერათ?!

მცირე განსჯის შემდეგ თავისი მისტიკური მისიის შესრულება დაიწყო პოლიციამ. ბრძანება ლაკონური იყო: "აღდგეს საზოგადოებრივი წესრიგი!"

დაიწყო ის, რასაც ჰქვია — "ცოდვა-მადლის გამკითხავი არავინ იყოო..."

ბრძანება შესრულდა ოპერატიულად და შესაშური სიზუსტით. საღამოსთვის ყველა ქუჩა გათავისუფლებული იყო მანიფესტანტებისგან, ხოლო ყველა მანიფესტანტი, რა თქმა უნდა, დაპატიმრებული იყო! თითქოს ყველაფერი ჩვეულ ადგილას დადგა, რომ არა ერთი გარემოება: უჩვეულოდ დაღლილნი დაბრუნდნენ მორიგეობიდან ციხის თანამშრომლები.

ციხე გაივსო! გადაივსო!

მაგრამ ყველაზე საინტერესოსა და უჩვეულოს მეორე დღე ჰპირდებოდა ამ ქალაქს. დილით მოსამართლესთან მისულ პოლიციის უფროსს, რომელსაც სანქციების გაფორმება სჭირდებოდა, იგი ადგილზე არ დახვდა. არც საავადმყოფოში იყვნენ

ექიმები, რომლებსაც დაპატიმრების დროს პოლიციელთა ხელკეტებისგან დაზიანებული დემოსტრანტებისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა ჩაეტარებინათ.

ჰოი, საოცრებავ! ყველანი ციხეში იყვნენ!..

ზუსტად მაშინ დააპატიმრეს მოსამართლე, როდესაც თავის ვაჟს შინ დაბრუნებას სთხოვდა. არც ექიმები დაინდეს, როდესაც ხელკეტით დაზიანებულ მანიფესტანტებს ადგილზე ადებდნენ ნახვევს. იმ დღეს არც ერთი გაზეთი არ გამოსულა. ყველა დაპატიმრებული აღმოჩნდა, დააპატიმრეს ფარდულის მეპატრონენიც. ისინი თავიანთ მევალეებს ეძებდნენ მომიტინგეთა შორის.

ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, ყველაფერი აირია. ქალაქში გაქრა სურსათ-სანოვაგე. ავადმყოფები ამაოდ ეძებდნენ მკურნალებს. მოხუც მოქალაქეებს აღარ ეჭირათ დილის გაზეთი. გაისმა პროტესტიც:

— თუ შიმშილით დაგვხოცავენ, ასეთი წესრიგი ჩვენ არ გვჭირდება.

პოლიცია გრძნობდა თავსმოხვეულ პასუხისმგებლობას და მიიღო უცნაური, მაგრამ საჭირო გადაწყვეტილება:

“შექმნილი ვითარების გამო, ოპერატიულად გაიხსნას ყველა ფარდულის საწყობი და მოქალაქეებს დაურიგდეთ სურსათი.”

უცბად ყველამ ამოისუნთქა, პოლიცია სათანადო “სიმაღლეზე” იყო, მაგრამ ორ-სამ დღეში პროდუქტი გათავდა და უფრო მეტმა პრობლემამ იჩინა ერთიანად თავი. პოლიცია ხვდებოდა, რომ მდგომარეობამ ჩიხში შეიყვანა, მაგრამ საკუთარი პრესტიჟის ხარჯზე კომპრომისს არ ეშვებოდა. ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა ეს ვითარება, რომ არა ერთი პრაქტიკული რჩევა. რაც მთავარია, ვერავინ გაიგო, ვინ იყო ამ რჩევის პირველწყარო, თითქოს მოქალაქეთა წიაღიდან წამოვიდაო, თითქოს, თავისდაუნებურად, ყველამ ერთხმად თქვა:

“პოლიციამ დააპატიმროს პოლიცია! ყველაფერი რიგზე იქნება.”

უფრო ლიბერალურები იმასაც ამატებდნენ:

“მერე საყოველთაო მანიფესტი გავრცელდეს ყველაზე.”

ამასობაში ზესახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესთა გადაკვეთაზე შექმნილმა ეკონომიკურმა ზონამ თავისი დრო მოჭამა და გაქრა როგორც წარმონაქმნი. შესაბამისად, იმ მხარეში საშენი მასალებიც გაიაფდა. არავინ იცის, როგორ გააფორმა პოლიციამ საკუთარი შეცდომის გამოსწორების პროცესი, მაგრამ მცირე ხანში ყველა გათავისუფლდა, ისევ ჩვეული ცხოვრება განახლდა, ოღონდ გაქრა დიდებისა და პატივისცემის შარავანდედი პოლიციელთა თავზე. თუმცა პირში ვერავინ

უბედავდა უპატივცემულობის გამჟღავნებას, მაგრამ მათ გარეშე ყველა დაუფარავად ლანძღავდა ძველ, საპატივცემულო მოქალაქეებს. ყველას ყველაფერი გაახსენდა; ვინ როდის მისცა ქრთამი, ვის მიაყენეს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა.

უკანასკნელმა მოვლენებმა, ხომ მთლად ფარდა ახადა ყველაფერს. ნათლად გამოჩნდა, რომ ამ "საპატივცემულო" მოქალაქეთა უკან მათი რეალური სახეა — გულცივი, ძალაუფლებაზე ავადმყოფურად შეყვარებული, დაუნდობელი, ბრიყვი და ამპარტავანი ჯგუფი პიროვნებებისა, რომლებიც (ღმერთმა არ ქნას!!!) უმოკლეს დროში წაშლიან ყველას და ყველაფერს, თუ ამის საშუალება ექნებათ.

დღეს 31 მარტია 1995 წელი, ზვიადის დაბადების დღე და სხვა კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი...

დღეს მივიღე ყველაზე ძვირფასი საჩუქარი — ცრემლები. უცნობმა გოგომ, რომელიც ციხის ადმინისტრაციაშია, გადმომცა "განაჩენი," თავი ვერ შეიკავა და აუტყდა ტირილი. ეს იყო ყველაზე ბუნებრივი და ყველაზე ლამაზი ცრემლები, რაც ოდესმე მინახავს დღევანდლამდე. ის ჩემი დაა. ღმერთმა გაუმარჯოს!

* * *

დაიწყო ჩემი ცხოვრება საპატიმროში. ერთი დღე? ათი დღე? ერთი წელი? რამდენ ხანს გასტანს ჩემი აქ ყოფნა? ყოველ შემთხვევაში, უნდა ველოდოთ ყველაზე უარესს, ალბათ, ერთი წელი. ერთ წელიწადში მდგომარეობა აუცილებლად გაირკვევა — ან აქეთ ან იქით. ერთ წელიწადში, ალბათ, გასამართლებულიც ვიქნები ან საპატიოდ გათავისუფლებული. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მჯეროდა, ჩემი თანასაკნელები თავდაჭერილად იქცევიან, მამხნევებენ, მივლიან. "კარმუშკა" ხშირად იღება და იმ წუთშივე იკეტება... დაინტერესებულები მათვალიერებენ. დაახლოებით 4-5 დღე ძალიან სწრაფად გავიდა, გაფრინდა. ამ პერიოდში 5-6-ჯერ

გამიყვანეს. მოვიდა ბალუაშვილი, მოვიდნენ ყიფიანი და ბალუაშვილი, უბრალოდ, დაინტერესებული პირები ჩემს "დასათვალიერებლად." გაჰყავდათ ჩემი ახალი მეგობრები, "შიშმი" უფრო სისტემატურად, მეორე – გია უფრო იშვიათად, მაგრამ, შიშმისგან განსხვავებით, გია ნაცემი შემოდიოდა ხოლმე. ამას მერე მივხვდი, რომ ესეც ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი ხერხია. შემოდის:

— ბიჭებო, მკლავენ, ვკვდები, გავბოზდი, მეტს ველარ გავუძლებ.

პირველად სწორედ მაშინ გასცა საკუთარი თავი, როდესაც რაღაც "ცნობაზე" წამოხტა და დაავიწყდა თავისი "ნაცემობა."

იმ პერიოდში სოჭში მიმდინარეობდა (დამთავრებული ჯერ არ იყო) გრაჩოვთან მოლაპარაკება, რომლის რეზულტატზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ბალუაშვილი ტრაბახობდა, რომ მოლაპარაკება კარგად მიდისო. ერთ დღეს მოხდა ძალინ საინტერესო რამ. კვირა დღე იყო. კვირას კი ჩემი გაყვანა იშვიათი რამ იყო. დამიძახეს, გავედი. დამხვდა სამი უცნობი — გამომძიებლები, რომლებმაც უცერემონიოდ დაიწყეს ზემოქმედება. გული რომ იჯერეს, გამომკითხეს, რატომ ავირჩიე სწორედ ეს პოლიტპლატფორმა. ყურადღებით მომისმინეს. მაშინ, მიუხედავად შევარდნაძის "ეროვნული განცხადებებისა," ჩემთვის მისი "თამაში"

გასაგები იყო. უკვე მაშინ ვაცხადებდით, რომ ეს ყველაფერი პრელუდია იყო "სნგ"-ში შესასვლელად.

მე შექმნილ ვითარებას, ქაოსს, რუსებზე "გალაშქრებას," ტერაქტებს ხშირად ვადარებდი საუკუნის შუაში იტალიაში შექმნილ მდგომარეობას. როგორც შემდეგში გაირკვა, მაშინ იმ მდგომარეობას დირიჟორობდა ვინმე ლიჩო ჯელი მასონური ლოჟა-2-ის (პროპაგანდა-2) ხელმძღვანელი (მაგისტრი). ანალოგიურად, იქაც ვითომ წითელი ბრიგადები იწვევდნენ ქაოსს, ახდენდნენ ამერიკელებზე თავდასხმებს და შედეგად ერთი ამერიკელის ნაცვლად გაჩნდა ათი. მე ამ პარალელს ვავლებდი რუსებთან მიმართებაში. ეს ჩემი საყვარელი შედარება იყო და როგორც შემდგომმა წლებმა გვაჩვენა, არც თუ მთლად უსაფუძვლო. ალბათ, ჩემმა აუდიტორიამ ლოგიკურად მიიჩნია ჩემი მონათხრობი და მრავალი კომპლიმენტით დამაჯილდოვა. დამაჯილდოვეს ყველაზე ძვირფასი ჯილდოთი — ინფორმაციით იმის შესახებ, რომ სოჭში მოლაპარაკება ჩაიშალა. ეს მართლაც სერიოზული საჩუქარი იყო იმ პერიოდში, რადგან ამას ბევრი ცვლილება მოჰყვებოდა შევარდნაძის კადრებში. ასეც მოხდა, ამას მოჰყვა კიტოვანის განთავისუფლება და ეს დასაწყისი იყო მათი დასასრულის მოახლოებისა.

ტელეფონი მეოთხედ თუ მეხუთედ რეკავს ზედიზედ. ვიცი, ვიქტორია. ვპასუხობ და ჩაცმას ვიწყებ — ჩქარა წავალ, ჩქარა მოვალ. იარაღს ვიღებ,

მაგრამ ისევ უკან ვდებ. კარისკენ მივდივარ. ბაქოში კომენდანტის საათია. მთელი ნაციონალური არმია და პოლიცია მე მიცავს. იარაღი საჭირო არ არის — მაშინ ამ დასკვნამდე მივდივარ. ეზოში ჩვეული სიმშვიდეა. ვქოქავ მანქანას და ვიქტორისკენ მივდივარ. ჩვეულებრივი დღეა, იმ განსხვავებით, რომ ნახევარი საათის წინ დედას ველაპარაკე. ერთადერთი, რაც მაწუხებს, გედის — მამაჩემის და სხვა პოლიტპატიმრების მდგომარეობა. დედამ ჩვეულებრივი ფრაზებით დამტვირთა: ფრთხილად იყავი, არ დალიო, ცოტა მოწიე, თავს გაუფრთხილდი. როდესაც თბილისზე ვფიქრობ, მეუხერხულება კიდეც. დავდივარ თავისუფლად, ვხვდები ხალხს, თითქოს საყოფაცხოვრებო არაფერი მაწუხებდეს. მეგობრები კი ციხეში არიან. მათ მართლა უჭირთ.

მანქანას ღიას ვტოვებ და ვიქტორთან ავდივარ. აზერბაიჯანის გაზეთში ვიქტორის წერილია —

ქართველ პოლიტპატიმრებზე და ზოგად მდგომარეობაზე, რომ შევარდნაძე ცდილობს აზერბაიჯანიდან ჩვენს მოტაცებას. რუსიკო — ვიქტორის მეუღლე უკმაყოფილოა ერთი ფრაზით — თითქოს ჩვენ აფხაზებთან კონტრაქტი გვაქვსო. ვიქტორიც გაკვირვებულია კორესპონდენტის ფანტაზიით. მართლაც და, რისთვის დასჭირდა ასეთი ფრაზის ჩასმა. ერთ საათში უნდა დავბრუნდეთ უკან და ამიტომაც წესიერად არც კი ვემშვიდობები იქ მყოფთ. ვიქტორი ერთი-ორი წუთით ადრე ჩამოდის და მანქანასთან წინ და უკან დადის.

— რატომ არ ჯდები? — ვეკითხები.

— გასაღები შენა გაქვს.

— არ დამიკეტავს.

ჩუმად ვსხდებით. სიბნელეში დასაქოქად გასაღებს ვარჩევ და უცბად...

დაახლოებით 30 შეიარაღებული მამაკაცი თითქმის ერთდროულად აღებს კარს, რამდენიმე ისე შემოხტა მანქანის სალონში, მოცურავე რომ ხტება აუზში. ვიღაც ხელებზე მეპოტინება, ვიღაც კისერს მიბრუნებს, უკნიდან იარაღის ტარს მირტყამს. ასეთი სცენა კინოში მინახავს?! ნამდვილად არ მინახავს. როგორც იქნა, ბორკილი დამადეს. წინააღმდეგობას არ ვუწევ, ნამდვილად აზრი არა აქვს. უფრო მეტად ერთმანეთს უშლიან. თავზე რამდენიმე ლულა მაქვს მობჯენილი. ყველა ცდილობს, ამ საპატიო პროცედურაში მონაწილეობა მიიღოს. პირველი, ვინც

იარაღს მადებს, დამუშავებული ტონით მეუბნება — არ გაინძრე შენი... ისეთ გინებას ვუბრუნებ, ალბათ, ამ საკითხში ყველაზე ნავარჯიშებ კახელსაც რომ შეშურდებოდა. ვიღაც მუხლებზე მაჯდება და ისე, როგორც ლურსმანს ფიცრის ნაჭერში აჭედებენ ხოლმე მონოტონურად, მირტყამს იარაღის ტარს სახეში. თან ყვირის — ხომ იცი ყველაფერი უნდა თქვა.

ვიქტორი უკვე გადაყვანილი ჰყავთ, ის კი ეწინააღმდეგება. თანდათან მისი არ მესმის და მიკვირს — ცემა-ტყეპა ჩვენ არ დაგვაკლდება. რა საჭიროა, ამის ხელოვნური პროვოცირება?! ცოტა ხანში ვხვდები წინააღმდეგობის აზრს, როცა მისი ხმა მესმის — "Искандера позовите!"— პასუხი ლოგიკურია: "Я тебе покажу Искандера."

ბიჭები უკმაყოფილონი არიან — მაინც რა ჯანი ჰქონია ამ დალოცვილს?!

თვალებს მიხვევენ და "რაფში," სკამებს შორის, მაწვენენ გულაღმა. რამდენიმე ადგილიდან სისხლი მომდის და სახის ქვეშ გაზეთს მიფენენ. ვიქტორიც იმავე მანქანაში ამოჰყავთ. იქოქება რამდენიმე მანქანა.

— პირდაპირ აეროპორტში. ეს, ალბათ, ოპერაციის ხელმძღვანელია. დაჭერაზე ხშირად ვფიქრობდი, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ დავდექი, მართლაც ძნელი ყოფილა. წუთებში კარგავ ყველაფერს. შესაგუებლად ძალიან ძნელია.

— აბა, ბიჭებო, ახლა ყველაფერი უნდა დაწეროთ, რასაც გეტყვით! გვეუბნება ხელმძღვანელი — თქვე ნაძირლებო, მკვლელებო, უჰ თქვენი...

გინებაზე ორი იმდენი გინებით ვპასუხობ. ცემა-ტყეპა კოლექტიურია; ერთი იღლება, მეორე აგრძელებს:

— აბა, ვიქტორ, ზვიადს შეაგინე. ვიქტორი არ აგინებს, რეაქცია ადეკვატურია — ცემა. გულში მეცინება, მახსენდება მილიციის დაბალჩინოსანთა მოძველებული "მორიგი ტერმინი" — "აბა, ქურდებს შეაგინე!" — ამას დამწყებ კრიმინალებს ეუბნებოდნენ ხოლმე, მაგრამ ეს ისე მოძველდა, რომ ანეკდოტის დონეზეა დარჩენილი. ახლა კი — აბა, ზვიადს შეაგინე. ერთი რამ გასაგებია, ჩვენი ბედი ამ დონეზე დამოკიდებული იქნება.

აეროპორტამდე ერთი საათის სავალია.

ავდივართ თვითმფრინავში. იქ იგივე გრძელდება, ოღონდ სავარძელში დამსვეს. ვიქტორს ვერ ვხედავ, მაგრამ ხმა მესმის. ისიც სადღაც ახლომახლო ზის. ვცდილობ, შეურაცხყოფაზე რეაქცია არ მქონდეს, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ.

— შენ რაღა მოგივიდა, ბიჭო! — აშკარად დასავლურ დიალექტზე მეკითხება ვიღაც, — თბილისლობა შენ არ გაკლდა...

წარმოვიდგინე ეს უცნობი სუფრასთან, რამხელა ჭიქებით დალევდა "თბილისლობის" სადღეგრძელოს. იგი თუ ამ ტერმინით საკუთარ თავს რაიმე რანგს

ანიჭებს, მე ამაზე საჩქაროდ უარი უნდა განვაცხადო. მე და მას საერთო არაფერი გვაქვს და არც უნდა ვიქონიოთ. მიტინგები არ დამირბევია, სამეგრელო არ დამილაშქრავს – რა ქალაქელი ვარ მე?! თვითმფრინავი აფრენას აგვიანებს და ჩვენი "მეგობრებიც" დროს არ კარგავენ. შეურაცხყოფა — პასუხი — ცემა.

ყველაზე მეტად ის ანერვიულებთ, რომ არც მე და არც ვიქტორი მთავარზე არ ვეთანხმებით — ჩვენ უდანაშაულოები ვართ, ზვიად გამსახურდიასგან არავითარი სამხედრო და საერთოდ იარაღთან დაკავშირებული დავალება არ მიგვიღია. ამაზე უფროსობა სერიოზულად უკმაყოფილო იქნება. ისინიც დროს უქმად არ კარგავენ. თვითმფრინავის აფრენამ გვარიანად დაიგვიანა — ნეტავ რა ხდება? გაიგო რუსიკომ ვიქტორის ხმა? თუ გაიგო, რას იზამს? დარეკავს შსს-ში, მაგრამ იქ უკვე აღარავინ იქნება, გვიანია. გროზნოში პრეზიდენტთან? იქიდან შეიძლება აზერბაიჯანის პრეზიდენტს დაუკავშირდნენ? ნაცნობი ჟურნალისტები?

უეცრად ყველა აჩოჩქოლდა — გამოუშვეს? — ერთმანეთს ეკითხებიან, — ოთხივე? იარაღიც დაუბრუნეს? კარგია. კომენდანტის ერთ-ერთ პიკეტს ოთხი მათგანი დაუკავებია. შემდგომში, როგორც გავიგე, კომენდატურაში წაუყვანიათ. იქ მოხდა "კგბ"-სა და დანარჩენების დაპირისპირება. გადამწყვეტი სიტყვა შინაგან საქმეთა მინისტრს, ისკანდერს უნდა

ეთქვა, მაგრამ იგი საბრძოლო პოზიციებზეა ყარაბახში. “კგბ”-მ გაიმარჯვა. ახალშემოსული ბიჭები აფორიაქებულები არიან თავიანთ გმირობას ჰყვებიან, როგორ დაუღრინეს მთელი აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციას, როგორ არის დამფრთხალი ყველა და ოღონდ ესენი მშვიდობით გაფრინდნენ, ერთ-ორ კაცს კიდევ გამოატანენ ბაქოდან. წარმომიდგენია, როგორ მოყვებიან ყველაფერს — ჩასაფრებიდან დაწყებული — ბაქოში თბილისის აეროპორტში დაშვებამდე რამდენიმე დღის შემდეგ. ყველაზე მეტად ეს მაგიჟებს, რომ ჩემი უყურადღებობის გამო, როგორ უნდა ვალაპარაკო ვიღაც, თუ როგორ გამაბანძა და თოჯინასავით ჩამომიყვანა თბილისში; როგორ ჩაატარა გრანდიოზული ოპერაცია, რომელიც სინამდვილეში აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ერთ-ერთი პირველი სვლა იყო.

— Амик, спасибо, до свиданья.

. — ემშვიდობებიან ბიჭები კოლეგას.

— Спасибо, вам счастливо долететь. – პასუხობს ამიკა, რომელიც ბაქოში ამ კანონსაწინააღმდეგო აქციას კურირებს სხვადასხვა დაინტერესების გამო. მას რამდენიმე დღეში დაიჭერენ და დააპატიმრებენ აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობის დამხობამდე, ხოლო შემდეგ, როდესაც ელჩიბეის ადგილს პრორუსული ორიენტაციის

გამყიდველები დაიკავებენ, ამიკას ზარზეიმით გამოუშვებენ.

რა მოხდა? ნუთუ აზერბაიჯანის მთავრობა მოისყიდეს? ეს გამორიცხულია. მათი პოზიცია კარგად იყო ცნობილი ჩვენთვის აზერბაიჯანის პრეზიდენტთან პირადი შეხვედრებიდან და შინაგან საქმეთა მინისტრისგან, რომელიც პრაქტიკულად რესპუბლიკაში მეორე კაცი იყო. მოხდა ის, რომ მუდამ კარგად ინფორმირებული "კგბ," დარწმუნებული იმაში, რომ სულ მალე ეროვნული მთავრობა აღარ იქნება და მთელ კავკასიაში პრორუსულმა ძალებმა უნდა გაიმარჯვონ, ფარულად დაეხმარა თბილისს აქციაში, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ადამიანის მოტაცება ჰქვია. აქცია დაამთხვიეს შინაგან საქმეთა მინისტრის არყოფნას. პრეზიდენტთან დაკავშირება ღამით გაჭირდებოდა და რჩებოდა რა? ამიკას "კგბ"-ს ერთ-ერთი განყოფილების უფროსს უნდა მოეხდინა რომელიმე პიკეტის ან მაქსიმუმ პოლიციის განყოფილების ბლოკირება. მართლაც მარტივია.

თვითმფრინავი აფრინდა და დაძაბულობამაც იკლო. ახლა სანერვიულო აღარაფერი აქვთ თბილისიდან ჩამოფრენილებს. აწი მათ მხოლოდ დადებითი ემოციები ელოდებათ: მადლობა პირად საქმეში შეტანით, პრემიები, მაღალი ჩინოსნებისგან ღიმილი და მხარზე მოთათუნება, პრესტიჟული პატაკები უფროსობისგან, ახლობლების

აღფრთოვანებული სახეები, ქება-შეფერება, მაგრამ სულ ეს არ არის. როგორც რამდენიმე თვის შემდეგ გავიგე, ზოგიერთს ახლობლები და ნათესავები უსაყვედურებენ – შენ ეს არ უნდა გაგეკეთებინა, უფრო პრინციპულები — ზურგსაც შეაქცევენ. თვითმფრინავის სალონში ტექსტი უკვე გახსნილია. დასამალი არავის არაფერი აღარ აქვს. უცნაური ფენომენია, რაზეც შემდგომში კიდევ ბევრს ვიფიქრებ. არავინ მზოგავს არც ფიზიკურად, არც შეურაცხყოფაში, მაგრამ მაინც მეჩვენება, ვიღაც ან რაღაც მეხმარება. რა არის ეს? რაიმე რეფლექსი, რომელიც თავდაცვითია? თუ მთლად უარესის მოლოდინში, შედარებით ნაკლები, მთლად უარესს საზღვარი არა აქვს, შედარებით ნაკლებიც — პირობითია. ზოგისთვის ეს ნაკლებიც ზღვარი ხდება და აკარგვინებს პრინციპს. ჯერჯერობით თავში ერთი აზრი მაქვს, ეს ყველაფერი ასატანია. ალბათ, 2-ჯერ, 4-ჯერ ამდენსაც ავიტან.

ყველაფრის მიუხედავად ეს ბიჭები ისე არ გვექცევიან, როგორც გარეწარ მკვლელებსა და სამშობლოს მოღალატეებს. ეს ნამდვილად არ მეჩვენება. იმ სტილში, რომელშიც "კგბ" ათწლეულების განმავლობაში მუშაობდა, გაჩნდა ახალი შტრიხი, ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, შეიძლება ზოგიერთი ამ ბიჭების ახლობელი და პატივსაცემი ადამიანი მე მიჭერს მხარს და ჩემნაირად

ფიქრობს. ეს ფენომენი ნამდვილად მუშაობს. სიგარეტს გვაწევინებენ, ბორკილებიც ოდნავ მოუშვეს, მაგრამ გენერალურ ტაქტიკას მაინც არ შორდებიან. პირველი ეფექტი შთამბეჭდავი უნდა იყოს, ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენ ჩვენი ბედი აღარ გვაბარია და იგი დაუნდობელი და "საქმის მცოდნე" ხალხის ხელშია.

— რაო, ტანია გელოდება? – მეკითხება ოპერაციის ხელმძღვანელი — რო აღარ მიხვალ? – თან გულიანად იცინის. — ჩვენ ყველაფერი ვიცით. აბა, როგორ გგონია?

"არაფერი არ იცით" – ვფიქრობ. ტანია უბრალოდ მეზობელია. იგი წარმოშობით საქართველოდანაა. ბოლო კვირას მამამისს ვმკურნალობდი და მათთან რამდენჯერმე მოვხვდი. წარმოვიდგინე, როგორ გაშიფრეს ეს ბინა. სადარბაზოს წინ ავტოსადგომია. ყარაულისთვის რომ ეთქვათ მოდის თუ არა აქ ვინმე ქართველი, იგი ქართველს, უსათუოდ საქართველოდან ჩამოსულს დაუკავშირდებოდა. ეს არის და ეს. ე.ი. ჩემი ადგილსამყოფელი არ იცოდნენ. ეს კარგია. ბინაში იარაღი და საბუთებია. ე.ი. ეს ყველაფერი გადარჩა. უაზრო შეკითხვებზე თავს ვერ ვიკავებთ — მეც და ვიქტორიც, დავცინით.

— ესენი კიდევ ვერ მიხვდნენ, სად არიან. აბა, ერთი შენ მიახვედრე სად არიან. აბა, ერთი შენ მიახვედრე, როგორ უნდა ილაპარაკონ! ისე

დავალებას მართლაც გულითადად ასრულებენ “კგბ”-ში.

თვითმფრინავში ძირითადად ორი ფრაზა მორიგეობს: “რა გაუხარდება ედუარდს, რომ გაიგებს” და “რამდენს მოგვცემენ პრემიას ორმოცდაათს თუ ასს?”

დრო კი არ გავიდა, გაფრინდა, უკვე თბილისის თავზე ვართ. ცოტაც და თვითმფრინავი დაჯდა. კიდევ ერთმა მთავარმა საკითხმა წამოიწია — ვინ მოახსენებს პატაკს. მართლა პატარა ბავშვებივით არიან. შეიძლება მე ვერ ვხვდები და ის, რაც ბავშვურად მეჩვენება, სერიოზული აქციებია კარიერისთვის. თუ ასეა, ღმერთმა შეარგოთ პატაკებიც, მადლობებიც, პრემიებიც.

თვალები ისევ ახვეული გვაქვს. ბრძანებები: ცოტა მარჯვნივ, ახლა დაიხარე, ფრთხილად, კიბე იწყება. თვალის ახვევას ის მიზეზი აქვს, არ დაიმახსოვრო ოპერმუშაკები, ხელზე ბორკილები გიჭერს, თვალები ახვეული გაქვს უკვე 7-8 საათის განმავლობაში.

თავდება აეროპორტის ტრასა, უკვე ქალაქში ვართ. მინდა, მივყვე ქუჩებს და გავიგო, სად მიმიყვანენ, მაგრამ ერთი “დარღვევა,” მეორე და უკვე დავიბენი. “კგბ”-ს მანქანები საგზაო წესებს ადრეც არ იცავდნენ, ახლა მით უმეტეს. მანქანა ჩერდება. სადა ვართ, წარმოდეგენა არა მაქვს. შევდივარ

სადარბაზოში. სადარბაზო ძველებურია, ზუსტად ისეთი, თბილისის ძველ სახლებს რომ აქვთ. დროის მიხედვით პლეხანოვზე შორს არ უნდა იყოს. ნეტავ სად მიმიყვანეს? სადარბააზოში საჭმლის სუნია. ე.ი. სადღაც, ანონიმურ ბინაზე მივდივართ, ალბათ "пресс-хата" არის. კიბეზე ჩქარა ავდივარ, არ მინდა, არც დაღლილობა შემატყონ, არც შიში და არც თვითრწმენის შესუსტება. მე და ვიქტორი ცალ-ცალკე ოთახებში ვართ. მეორე სართულს ოდნავ დაეტყო, რომ დაწესებულებაში ვართ. იატაკზე ნახერხი ყრია:

— ახსენით თვალები! — იძლევა ვიღაც ბრძანებას.

ამხსნეს ერთი-ორი წუთი შუქი მჭრის თვალებს. ბოლოს ვეჩვევი.

— გამარჯობა ავთო. — ვეუბენბი ჩემ წინ მდგარ ავთო იოსელიანს. იგი თბილისის ე.წ. უფროსია, მოკლედ ქალაქის "კგბ"-ა.

— ვახ მიცნო?

— რატომ არ უნდა გიცნო. — ვპასუხობ მე.

მას და მის ძმას დიდი ხანია ვიცნობ. თითქმის ყოველ ზაფხულს ვხვდებით ერთმანეთს ზღვაზე – გაგრაში, შესაბამისად, სუფრასთანაც. მისი "საშიში" თანამდებობის მიუხედავად, მის მიმართ გარკვეული სიმპათიები მქონდა. თან ყოფილი კალათბურთელია.

— წამოიყვანეთ ჩემთან! წავედით პეტრე! – მეუბნება ავთო. — რა იყო ბიჭო, ხომ არ იჩხუბე და

სახეზე მიყურებს — მეც მეცინება. მისი ოთახი ბოლო სართულზეა, სტანდარტულად, როგორც უფროსს უნდა ჰქონდეს. ოთახში ბევრი ხალხი ირევა — შემოდიან, გადიან, მათვალიერებენ, როგორც რაიმე ეგზოტიკურ ცხოველს ან მცენარეს. შემოდის ახალგაზრდა ბიჭი, დაახლოებით ჩემი ხნის.

— გამარჯობათ, მე გამომძიებელი ვარ.

— ეს დაკითხვაა?

— დიახ, დაკითხვაა.

— მე ადვოკატის გარეშე ჩვენებას არ მოგცემთ.

— მომცემთ, მომცემთ. ამ შუაღამისას ადვოკატი საიდან მოგიყვანო. — პეტრე, მაუზერს ატარებდი?

— "მაუზერი" მიყვარს, კარგი იარაღია — ე.ი. ამათი ცუდია.

— ხილიანის ქუჩის აფეთქებაზე რას მეტყვი?

— მონაწილეობა არ მიმიღია. — ისე კარგი ბიჭი ჩანს. ეს ნამდვილად ვერ დამკითხავს. თხუთმეტი წუთიც და ჩვენ სულ სხვა საკითხზე ვლაპარაკობთ.

— ჩვენ ცოტა გადავუხვიეთ თემას — მეუბნება.

— თქვენ მე ვერ დამკითხავთ.

— შეიძლება.

ამ დროს ვიღაც შემოდის ოთახში, მერე ავთო და ქალაქის იმდროინდელი მერი – კოტე გაბაშვილი. ისიც თურმე "ოპერაციის" მონაწილეა. სადად ჩაცმული, ქამარზე დემონსტრაციულად "მაკაროვი" ჰკიდია.

— გამარჯობათ. მე თქვენ არ გიცნობთ, მაგრამ ისე თქვენს ოჯახს ვიცნობ ქალაქიდან, გედისაც.

— ძალიან სასიამოვნოა.

და იწყება ქადაგება, რომ ედუარდი დიდი პოლიტიკოსია. ზვიადი – გიჟია. შიგადაშიგ პასუხებს ვცემ, რომლებზეც უნებლიეთ ხმას უწევენ, ყვირილზე გადადიან.

— თქვენ თუ არ გინდათ გაიგოთ ჩემი აზრი, მე სიამოვნებით გავჩუმდები, მოგისმენთ.

— არა ეს ბოლომდე მოწამლული ყოფილა.

ამ საუბრის მოკლე აზრი ასეთია: პრეზიდენტი გიჟი და ავადმყოფია. ყველა მისი მომხრე სულელი ან ნარკომანია, გარდა ერთი ან ორი კაცისა, შეიძლება შენცო — საპირისპირო მხარე — ყველა ინტელექტუალია, ყველა მორალის განსახიერებაა. ახლა იქ ვეფხვაძეებს და ვიღაცებს მოვიშორებთ (!) და ამ გზით აფხაზეთში ომსაც მოვიგებთო. მე, ავთო იოსელიანი ვებრძვი "ГРУ"-სო. უკვე ოთხი აგენტი დავიჭირე (!) იმის მაგივრად გვერდში მედგე, შენ რას აკეთებო?! შიგადაშიგ – სჯობს "აღიარო" თუ გინდა, რომ არ დაიხვრიტო. ამ დროს ოთახში შემოვიდა ოპერატორი კამერით და მამუკა არეშიძე (გადაცემა " საღამო მშვიდობისას წამყვანი), გამეცნო და მითხრა, რომ ჩამომართმევდა დაკითხვა–ინტერვიუს. მე დავთანხმდი. საგულდაგულოდ დამბანეს სისხლიანი სახე და ინტერვიუ დაიწყო. ჩიქოვანის ქუჩასთან დაკავშირებით შეკითხვა ერთი თუ ორი იყო. იმას

ჩემგანვე გაიგებდნენ. გადაღების მერე "დავასაჩუქრეთ" ერთმანეთი „სიმპათიის" გამომხატველი ფრაზებით და დავცილდით. შევამჩნიე თბილისურ ჩაცმულობაში ახალი შტრიხი. არეშიძესაც უცერემონიოდ ქამარზე მაკაროვი ეკიდა. ამასობაში გათენდა. ავთო განუწყვეტლივ ტელეფონზე რეკავდა და ბოლოს, როგორც იქნა, დარეკა. ტელეფონი ანზორ ბალუაშვილმა აიღო. მოკლედ უთხრეს, რომ მე დაკავებული ვიყავი და საჭირო იყო მისი აქ მოსვლა. მეორე ზარი საქალაქთაშორისო იყო. რეკავდა თ. სიგუა სოჭიდან. იქ გრაჩოვთნ მიმდინარეობდა მოლაპარაკება. ამასობაში მოვიდა ბალუაშვილიც. ერთადერთი ასოციაცია, რომელიც ამ კაცთან კონტაქტისას წარმოიქმნება, არის მაკაკა ან პითეკანთროპი, ან რაიმე მსგავსი. ვერც კონტაქტი შემაცვლევინებს აზრს. "დაყენებული" უსიმპათიო ღიმილი და დაშტამპული აზროვნება. ვიცოდი, რომ მასთან თვეების განმავლობაში მომიწევდა საუბარი და თავიდანვე შევეცადე ჩემი სტილი დამეცვა. ის კი ნამდვილად ნერვიულობდა. რამდენჯერმე გამიმეორა "ლეგენდა," რომელიც იქნებოდა მომავალი საბრალდებო დასკვნა და განაჩენიც სასამართლოს მერე. დიდი ხანი ითმინა, მაგრამ ბოლოს ვერ მოითმინა და მკითხა.

— ვინ მოგცა ჩემი ტელეფონის ნომერი?

— არ მახსოვს.

ბაქოდან მე და ვიქტორმა დავურეკეთ და რაც შეიძლება მაგრად გალანძღოს კაცმა კაცი, ისე გავლანძღე. დარეკვა დაემთხვა 1993 წლის თებერვალში გედის – მამაჩემის წამებას და ამან, რასაკვირველია, თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმის გახმაურებაში. უცებ ჩემს ბორკილებს შეხედა და თქვა

— რად უნდა ბორკილი, ახლავე მოხსენით. — მომხსნეს, ხელები დასიებული მქონდა, ნაჭდევებიდან სისხლი მომდიოდა. თავისუფლება ვიგრძენი, მაგრამ ეს სულ რაღაც თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. უნდა წავსულიყავით, ბორკილი ისევ მომაწოდეს და მე თვითონ გავიკეთე ხანგრძლივი დროის შემდეგ, "სუკ"-ში ყოფნის რამდენჯერმე გააანალიზებამ დამანახა, თუ რა მონსტრთან ჰქონდა საქმე ეროვნულ მოძრაობას. ეს ტლანქი უხეში მანქანაა, რომელმაც იცის ადამიანის ფსიქოლოგია და მას არც ერთ წამს არ ზოგავს. ვინმე დათო, ავთოს მოადგილე, მეუბნება, რომ მისი ბავშვი და ჩემი შვილი — პატარა გედი ერთ მერხთან სხედან სკოლაში. ეს მადუნებს, თანაც ერთი წუთითაც არ მტოვებს შეყენებული ავტომატის გარეშე, როცა ხუთი წუთით (ალბათ ტუალეტში) გავიდა და გაბაშვილთან მარტო დამტოვა (ხელებშეკრული ვიყავი). ავთომ დიდი საყვედური უთხრა. ამ პიროვნებამ ჩემთან შემდგომში გააგრძელა მუშაობა, უკვე დაკითხვების დროს.

ქვემოთ ჩამიყვანეს. ვიქტორიც ქვემოთ მიცდიდა, ცოტა ნაცემი იყო, ისიც ბორკილებით

დამხვდა. ჩაგვსვეს მანქანაში. ამჯერად თვალები არ აგვიხვიეს — თბილისში იმ დღეს მართლაც საუცხოო ამინდი იყო. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სხვა ქალაქში ვიყავი. ქუჩები, სახლები, მანქანის ნომრებიც კი ნაცნობი, მაგრამ ქალაქი სხვა იყო. დიღომში სამმართველოს შენობასთან მივედით. აქ რამდენჯერმე ადრეც ვყოფილვარ მაშინდელ სამმართველოს უფროსთან, როგორც პრეზიდენტთან ახლოს მყოფი, მისი ერთგული მოხალისე სამაჩაბლოში ბრძოლებთან დაკავშირებით. ახლა სხვა რამ მელოდება, ცივი, გაბეყილი სახეები. მოიყვანეს მტერი ნომერი პირველი ან დაახლოებით ნომერი პირველი. ჩავდივართ სარდაფში, სადაც "კპზ"-ა, განაწილებამდე ხუთი წუთი გვაქვს. მე და ვიქტორი ერთად ვდგავართ, მეკითხება.

— როგორ არის საქმე, გაუძლებ?

— ჯერჯერობით კი. მეცინება. ისევ ის ჯერჯერობით, რომელსაც თურმე საზღვარი არა აქვს ზოგიერთისთვის.

ამით მთავრდება ჩვენი დიალოგი. ჩემი საკანი მეშვიდე ნომერია. საკანში სიბნელეა, სიგარეტის ბოლი. ორი მამაკაცი "ნარზეა" წამოგორებული, ჭერი დაბალი მეჩვენება. მეჩვენება, რომ აბსოლუტური უჰაერობაა. პირველი, რაც თავში მომივიდა — ალბათ, ასეთია ჯოჯოხეთი... უკვე შეგუებული ვარ, რომ ერთ-ერთი ან ორივე "ნასედკაა".

— გამარჯობა.

— გამარჯობა “ძაღლებმა” გცემეს?

— მაგრად ვარ ნაცემი?

— ისე რა. რაზე დაგიჭირეს?

— მე პეტრე ვარ გელბახიანი — ერთი მხრებს იჩეჩავს, მეორე თავს მიქნევს.

— შენ ხარ?! მამაშენიც დაჭერილია, არა?! ტელევიზორში ვნახე მამაშენი.

ე.ი. ის ნამდვილი “ნასედკაა”. ამას არაფრით არ უნდა აინტერესებდეს პეტრე, გედი და მისთანები. თვითონ ჯიბგირობაზე თუ ძარცვაზე ზის, მეორე ქურდობაზე. მეორე უფრო ნორმალური ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებს. მეგრელია, ე.ი. ცოტა მაინც ზვიადისტია. “ნასედკა” გამეცნო, როგორც თენგიზ შიშმინი. მას სინამდვილეში მიშა ჰქვია, იგი ბირიუკოვია.

და დაიწყო ჩემი ცხოვრება საპატიმროში...

პეტრე და თამრიკო ციხეში (კაემანი)

მთავარი ერთობაა!

კონტროლიორი თამაზი ცუდი ბიჭი ნამდვილად არ არის. მაღალია, ოდნავ კეხიანი ცხვირით, ულვაშებით, შავგვრემანი, გამხდარი, მაგრამ ჯანღონით სავსე სხეულითა და განიერი მხარ-ბეჭით.

— წყალი დამალევინე, რა! —მთხოვს დავუსხა წყალი, გამომელაპარაკა. წყალი უფრო ლაპარაკის დაწყების საბაბი იყო. თავისი კოლეგა უნახავს, ბაბუაჩემთან მუშაობდა კოლონიაში და მოკითხვა შემომითვალა. შემდეგ მეუბნება:

— კომუნისტების შეკრებაზე ვიყავი. სტალინის შვილიშვილი ჰყავდათ ჩამოყვანილი და "სტალინურ მოძრაობას" უნდა ჩაუდგეს სათავეში.

— შე დალოცვილო, — ვპასუხობ მე. — კომუნისტების შეკრებაზე რომ არ იარო და "მრგვალი მაგიდის" აქციებს დაესწრო, არ აჯობებს?!

— იქაც დავდივარ. — ამაყად მპასუხობს. — ყველა შეკრებაზე დავდივარ. კი ვხედავ, სიმართლე სად არის, მაგრამ... რა გინდა, რომ ქნა?!

— არაფერი. — ვპასუხობ მე. — რომ ხედავ, სიმართლე სად არის, ესეც კარგია! იფიქრე!

— ვფიქრობ, როგორ არ ვფიქრობ. — მეუბნება თამაზი. — ერთობა გვაკლია! აი, ერთობა რომ იყოს... და იწყებს ლექციის კითხვას. ეს "სიამოვნება" დაახლოებით 15-20 წუთს გრძელდება. სიტყვის

ჩაგდებასაც ვერ ვახერხებ. მჭევრმეტყველია ჩემი თანამოსაუბრე.

— იცი, შაჰ-აბასმა რა თქვა? — აგრძელებს თამაზი და თავადვე პასუხობს დასმულ შეკითხვას. — სამი რამ ვერ დავამარცხე ცხოვრებაშიო — სიკვდილი, ქართული ვა...

— თამაზ! — ვაწყვეტინებ.

— მოიცა! — არ მემორჩილება კონტროლიორი, — ქართული ენის დეფიციტზე უნდა გითხრა!

— თამაზ! — უფრო მკაცრად ვეუბნები. — დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს სად იყავი?

— რუსთაველზე ვიყავი. — მპასუხობს.

— რუსთაველზე?! რა, სეირს უყურებდი?! — ვეკითხები მე. — შენ იქ არ ყოფილხარ!

— მართალი ხარ. არ ვიყავი იქ. — დაირცხვინა თამაზმა.

— მე რომ ყვარელში ვომობდი, შენ სად იყავი?! — ამჯერად მე აღარ ვეშვები.

— სად ვიყავი და სახლში.

— სამეგრელოში საომარ მოქმედებებს რომ ვამზადებდით, მაშინ სად იყავი? —ვეკითხები მე.

— არც იქ არ ვიყავი! —სირცხვილის გრძნობას სძლია თამაზმა.

— თამაზ, — ვეკითხები მე. — იცი, აქ რისთვის ვზივარ?

— რა თქმა უნდა, ვიცი.

— ჰოდა, შენ გარეთ იმიტომ დგეხარ, რომ მე არ გავიქცე ციხიდან. ესეც თუ იცი?!

— მე კი ვიცი. — ისევ დაირცხვინა.

— მერე?... შენ მე მასწავლი, რომ ერთობა გვაკლიაო?! იფიქრე, ჩემო თამაზ! იფიქრე!!!

რა მოხდა გუშინ... და რა არის საჭირო ხვალ

ამაზე ცოტა თუ ფიქრობს, არ ფიქრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიათ თავისსავე ნაფიქრალისა და როდესაც ტრაგედიის გამომწვევი მავანს კარზე მიუკაკუნებს, როდესაც თვითონვე ხდება უკულმართობის მსხვერპლი და ტრაგედიის მოქმედი პირი, მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს — რატომ მჭირს?... რატომ გვჭირს?...

თავად ტრაგედიის მიზეზი, ისე, როგორც მისგან თავის დახსნის გზა, ხან უზარმაზარია მთელ სამყაროზე, კოსმოსზე დიდიც. თითქოს მისგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება ისევ მასზე დიდს — აბსოლუტს გააჩნია. ხან სულ მარტივია, ყველა ჩვენგანს ხელთ გვიპყრია და არ ვიცით, როგორ მოვექცეთ მას. ხანდახან ვეთამაშებით კიდევაც — მთლად დავაპატარავებთ, ჩვენ თავს გავზრდით და ... ისევ ვკარგავთ რეალობის შეგრძნებას.

სულის სიღრმიდან

მე მებრძოლი ვარ! დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი!

როგორ ვუყურებ "თანამედროვე" პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს? რა აზრის ვარ დღევანდელ მწერლობაზე? პუბლიცისტიკაზე, ესთეტიკაზე?... მტკივა, ძალიან მტკივა!

გამოვა ვინმე "ჩინოსანი" მწერალი ან კრიტიკოსი და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიანტელს დააყენებს... ჩემი აზრი კი — შეიძლება

ეგზისტენციალურად გამოიყურებოდეს... რა განსხვავებაა ჩემსა და იმ “ჩინოსანს” შორის? ჩვენი დაპირისპირება შეიძლება იმ ათეისტისა და მორწმუნე ქრისტიანის შეჯიბრს შეადარო უფლის სიყვარულში, რომელსაც წმინდა წერილი “მარქსის პაპრავკებივით” აქვს ნასწავლი, ხოლო მორწმუნე არც კი ცდილობდა გონებით ჩასწვდომოდა ბიბლიას. მას გულით სწამს...

სიკვდილმისჯილი პოლიტპატიმრის

პეტრე გელბახიანის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელ რეჟიმს მე არც შეწყალებას ვთხოვ და არც გათავისუფლებას. ამის მიუხედავად, საქართველოსა და უცხოეთის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს მათ პროტესტებსა და მოთხოვნებზე ფაქტიური ხელისუფლება პასუხობს, რომ ჩვენთვის აღმკვეთი ღონისძიებების შეცვლა არ შეიძლება, რადგანაც, ვითომდა, იარაღს ავიღებთ ხელში. ამასთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო:

მე ყოველთვის ვმოქმედებდი კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში და თუ 1992 წლის

აგვისტოში ყვარლის ტყეში იარაღთან გვქონდა კონტაქტი (ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ პერიოდში არავინ დაჭრილა და დაზარალებულა), ესეც მიმართული იყო კანონიერი ხელისუფლების დასაცავად იმ უკანონო ბანდებისგან, რომლებმაც 1991-1992 წლებში საქართველოში მოახდინეს სამხედრო გადატრიალება. იმ პერიოდში საქართველოში იყო ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება, რომლის ინტერესებშიც მე ვმოქმედებდი და რომელსაც ვიცავდი.

დღეს საქართველოში პოლიციური რეჟიმია. იმ დროს, როდესაც პროფესორს აქვს ხელფასი 12 ლარის ოდენობით, პოლიციელს აქვს 80-90 ლარი. ერთადერთი, რისი გაკონტროლებაც დღევანდელ რეჟიმს შეუძლია, ეს არის — ვინ, როდის და რატომ იღებს იარაღს ხელში. ალბათ, დღევანდელ ხელისუფალთაც ეს უნდათ, რომ იარაღს მოვკიდოთ ხელი, მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან მე ვიზიარებ "მრგვალი მაგიდის" კონცეფციას, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენი ბრძოლის ფორმა არის მხოლოდ პოლიტიკური და მშვიდობიანი.

პეტრე გელბახიანი
9.04.1997 "სპეცი" 4

ქ. თბილისი 14 იზოლატორის უფროსს
58 საკანში მყოფი პოლიტპატიმრის
პ. გელბახიანის

ახსნა-განმარტება

დასმულ შეკითხვაზე გიპასუხებთ. მიმდინარე წლის 17.02 ჩვენს საკანში ჩატარდა ჩხრეკა. ჩემი კარადიდან აღებულ იქნა ე.წ. "ბრაგა" დაახლოებით 10 ლიტრის რაოდენობით. ზემოაღნიშნული სასმელი დამზადებული იყო ჩემ მიერ პროდუქტების ნარჩენებისგან. "ბრაგას" ვსვამდი, რადგან ფხიზელი თვალით ვერ ვუყურებ ე. შევარდნაძის მიერ დანგრეულ და გაჩანაგებულ საქართველოს.

ასევე დასმულ შეკითხვაზე გიპასუხებთ: დღეს ჩემი საკნიდან ამოღებული იქნა პოლიეთილენის ბოთლი და მასში ჩამონტაჟებული მილი. ამ ნივთთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მინდოდა დამემზადებინა წყლის ფილტრი, რადგანაც მასმედია იუწყება წყლის დაბინძურების შესახებ.

ახსნა-განმარტება დაწერილია ჩემ მიერ,
სწორია და ხელს ვაწერ

პ. გელბახიანი

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაეს სასამართლოს

ჩემთვის ცნობილი გახდა, განსასჯელების პ. გელბახიანისა და ი. დოკვაძის მიმართ 1995 წლის 31 იანვარს სახელმწიფო მსჯავრდებულმა მოითხოვა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

შეშფოთებული ვარ ამ არაჰუმანური მოთხოვნით, რამეთუ ჩემი შვილი, მერაბ კოსტავა სიცოცხლის ბოლომდე დაუღალავად იბრძოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებისთვის.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი თხოვნა და მსჯავრდებულები შეიწყალოთ.

ოლღა დემურია-კოსტავა

ჯვაროსნული ომის დასაწყისი საქართველოში ბავშვთა სიდუხჭირესა და დაავადებებთან

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კომპანია „ცენტრ პოინტი," არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივა," პეტრე გელბახიანი

ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო!

დღეს საქართველოს ცხოვრებაში არაჩვეულებრივი და ისტორიული მომენტია. დღეს იწყება ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში არსებულ ბავშვთა სიღატაკესთან და დაავადებებთან. ჩვენ საქმე გვაქვს აქამდე უპრეცედენტო თანამშრომლობასთან, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორებს შორის.

თქვენი მონა-მორჩილი უკვე წელიწადზე მეტია ცდილობს, ჯანდაცვისა და სოციალურ უწყებებთან ერთად, რომ ამ პროექტს მიეღო სახელმწიფოებრივი ხასიათი. დღევანდელ დღეს ბედნიერი ვარ გითხრათ, რომ ამ საქმეში საზოგადოებაც ჩაება და ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

უკვე დიდი ხანია დროა, ჩვენმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ გააძლიეროს ზრუნვა მიუსაფარ და შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე ბავშვებზე და დღეს ჩვენ ამის განხორციელებას ვიწყებთ საქმითა და არა სიტყვებით. ჩვენ ვითვალისწინებთ ევროპული და ამერიკული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას, რომელსაც უკვე მოჰყვა რეალური შედეგები. ეს საპილოტო პროექტი ითვალისწინებს კასპისა და სენაკის ბავშვთა სახლებიდან 25-30 მოზარდის ოჯახურ სითბოში ყოფნას ზაფხულის განმავლობაში და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის რეალურ დაწყებას. საქართველოს მთავრობას უკვე დაგეგმილი აქვს, რომ კოორდინაცია მოახდინოს ყველა იმ უწყებას შორის, რომელსაც შეხება ჰქონდა მიუსაფარ ბავშვებთან. ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ არა მხოლოდ დავეხმაროთ კერძო ინსტიტუციებს, როგორიცაა ბათუმის ბავშვთა სახლი მეუფე დიმიტრის ხელმძღვანელობით და გავაძლიეროთ, შეძლებისდაგვარად, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში, არამედ ყველანაირი მონაწილეობა

მივიღოთ პრევენციის პროცესშიც, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ვიმეორებ, რომ ამ პროცესში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ წამყვანი ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა. იმავდროულად, ჩვენ არამც და არამც არ უნდა დავივიწყოთ ქართული სულიერება, ჩვენი მრწამსი, რომლის დახმარების გარეშე ვერანაირ წარმატებას ვერ მივაღწევთ ჩვენი ახალი საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ომში — ბავშვთა სიღატაკესა და ავადმყოფობასთან. დღეს მე ბედნიერი ვარ, გაუწყოთ — საქართველოში ქართველმა ხალხმა დაიწყო ნამდვილი ბრძოლა საკუთარი ბავშვების გადასარჩენად. ამ პროცესში უნდა ჩავებათ ყველა — ერიცა და ბერიც. და მე ბედნიერი ვარ, რომ მეუფე დიმიტრი დღეს ჩვენთან ერთად არის.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს, რომლის ძალისხმევის გარეშეც ეს ინიციატივა არ იქნებოდა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც რაიმე ამაგი აქვს გაწეული ჩვენს ბავშვებზე.

ჩვენ ვიწყებთ მოქმედებას დღეიდან. ჩვენი გზა არ იქნება უეკლო და მე მინდა მოვუწოდო ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, ვისაც თანაგრძნობა და სიყვარული შეუძლია, დავიწყოთ ჩვენი ბავშვების გადარჩენაზე ზრუნვა. და თუ ამ საქმის ირგვლივ გავერთიანდებით, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

წერილები პეტრეს

ჩემო პეტრე!

ძალიან დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთს ვთხოვ, მეტი ასე მოლოცვა აღარ დაგვჭირდეს.

გისურვებ ჯანმრთელობას, გამძლეობას და შენი სურვილების ასრულებას. ძალიან გვინდოდა გვენახე და ისე მოგველოცა, მაგრამ არ გამოვიდა და რას იზამ?! ამ ცხოვრებაში ყველაფერი ყოველთვის არ გამოდის ისე, როგორც გვინდა, თუმცა ეს შენ არ გესწავლება.

მიუხედავად ყველაფრისა, გქონდეს უკეთესის იმედი. გკოცნით ბევრს შენი დინოები.

დათი — გედის დიალოგი:

გედი — დათი, ხომ იცი, პეტრე სად არის?

დათი — ვიცოდი და დამავიწყდა.

გედი — ხომ იცი, ციხეში რომ არის?

დათი — არ მინდა, რომ იყოს და ამიტომაც არ არის (ვწერ სიტყვასიტყვით).

გედი — პეტრეს ნახვა არ გინდა?

დათი — მინდა კი, როგორ არ მინდა, მაგრამ ციხეში — არა, იმიტომ, რომ ციხეში არ არის მამიკო.

ახლა წყნეთში ვართ. ისე უხარიათ ბავშვებს ამ სახლში ამოსვლა, რომ ვერ აგიწერ, დედაშენმა ამათი მადლი მოისხა. გედი—კაცუნა როგორ უფრთხილდება ყველაფერს. ჭიშკარს ის კეტავს, მერე ვარჯიშობს. ჩვენთან დოდო სვანიძეა ბავშვებით, ირაკლი ამოდის, ყურადღებას არ გვაკლებს. ხან მარიკა რჩება, ხან ოლია.

ძალიან დიდი მოკითხვები შემოგითვალეს საუკეთესო სურვილებით: მარიკამ, ოლიამ, დოდომ და დალიმ.

ჩამოსული იყო გიზო ლომთაძე (ბესო) დიდი სიყვარულით მოგიკითხა.

აბა, შენ იცი. მაგარი ხარ და კვლავ მაგრად იყავი.

გკოცნი ლელა

ძვირფასო, განსაკუთრებულო,
ძლიერო პეტრე!

დიდი ხანია მინდოდა, რომ შემოგხმიანებოდით, ეს, ალბათ, ერთ-ერთია, რაც შემეძლო გამეკეთებინა, თუმცა დაუსწრებლად მიყვარხართ, პატივს გცემთ და გეთაყვანებით თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს.

დღეს შევიკრიბეთ ნუცასთან და ბედნიერი ვარ, რომ შეხება მაქვს თქვენს ოჯახთან. არც კი ვიცი, რას

ვწერ, არ დამძრახოთ, გელოდებით, გელოდებით, გელოდებით.

მაია ერისთავი

ჩემო საყვარელო პეტრე, ძალიან მინდა კვლავ შენი ნახვა, ხშირად გახსენებთ და ვამაყობთ შენით, გკოცნით ბევრს.

მარინა ოჩიგავა

დიდი მოკითხვა და პატივისცემა ნინო კალატოზიშვილისგან.

გკოცნის ციცი, მეგი, ნანა, ქეთი და სხვები.

გამარჯობა, ჩემო პეტრე!

ეს ხატები, სანთლები და ტკბილეული ჩემმა მეგობარმა ქალბატონმა ივეტამ გამოგიგზავნა ათენიდან. იგი რამდენიმე წელია ცხოვრობს საბერძნეთში. კეთილი, სათნო და ტრაგიკული ქალბატონია, ვინაიდან სიცოცხლეზე მეტად უყვარს საქართველო, მაგრამ იძულებულია უსამშობლოდ იცხოვროს...

ვფიქრობ, რომ გესიამოვნება სიკეთის ნამცვრევი.

გამხნევდით.

გფარავდეთ ივერიის ღვთისმშობელი და ტყვეთა განმათავისუფლებელი წმინდა გიორგი..

თქვენი თინათინ მღვდლიაშვილი

2000 წლის 18 აგვისტო

ჩემო პეტრე!

მივიღე შენი წერილი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ლაპარაკი მესმოდა შენი. თუმცა ზოგ ადგილას ეს არ ჰგავდა იმ პეტრეს, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი. ისე, ეს პირველი ნორმალური წერილი იყო ათი წლის განმავლობაში. მიხარია, რომ მაგრად ხარ. რა გაძლება გქონია?! ისე, გული ნუ დაგწყდება — ეს ქალაქი ამის ღირსი არ არის.

აქ ცხოვრებას იქნებ სადაც ხარ, ის სჯობდეს (როცა ქალაქში შუქი არ არის. მანდაც არ არის თუ საკუთარი კომუნიკაციები აქვთ?).

ჩვენ არა გვიშავს. ცივა, ხან ბნელა, მაგრამ ვცოცხლობთ.

ბავშვები კარგად არიან. ახლა სძინავთ. დათი ბაღში დადის — საახალწლო ზეიმისთვის ემზადება. გედუნა აგრძელებს ვარჯიშს — ძალიან კმაყოფილია თვითონაც და მეც. ვარჯიში ყოველდღეა. ფიზიკურადაც უკვე დაეტყო — ბეჭებში გასწორდა, სირბილითაც კარგად დარბის. თავდამსხმელია (გვარს ამართლებს). თვალებს შეიძლება არ დაუჯერო, თამაშის დროს რომ ნახო, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მწვრთნელი ნორმალური თბილისელი კაცია (ცოტა ძველი, ცოტა ლოთი, ციხეში ნაჯდომი, კარგი პორტრეტია, არა?!). ამჟამად სპორტი თავისებურად უვსებს კაცებთან ურთიერთობის დეფიციტს (გუნდში ძირითადად 12-13 წლის ბიჭები არიან).

ძალიან უნდა, რომ საახალწლო ზეიმი აქ მოვუწყოთ, სახლში. ვნახოთ, იქნებ მოვახერხოთ.

ორივენი ძალიან ხშირად და ბევრს ლაპარაკობენ შენზე. მე იშვიათად მეკითხებიან, უფრო — ერთმანეთს, ხომ არ იცი, მამიკო როდის მოვაო. რამდენიმე დღის წინ სამზარეულოში ვისხედით ერთად, ვსადილობდით, ბავშვები ერთმანეთში არკვევდნენ, ვინ უფრო უყვართ. დათიმ

თქვა — დედიკოო, გედუნამ უპასუხა — ახლა მეც დედიკო მიყვარს, მაგრამ პეტრე რომ მოვა, ის მეყვარება ყველაზე ძალიანო.

საღამოობით, დათი რომ იძინებს, გედუნა მაყოლებს, როგორ გავიცანით მე და შენ ერთმანეთი, სტუდენტობის ამბებს. ახალი წლისთვის რა გაჩუქოთ? ჩამომიწერეთ, რა გინდათ და მოვიფიქრებ საჩუქრებს-თქო. რაც დაწერეს, გიგზავნი, რომ ნახო, ოღონდ, გთხოვ, შენს წერილთან ერთად უკან გამოაგზავნე, აუცილებლად მოითხოვენ სიას.

შენი ჭირიმე, ალბათ, გაფრთხილებაც არ გჭირდება, მაგრამ მაინც — ჩვენი "მეგობრობა" საიდუმლოდ შეინახე ბავშვების გულისთვის. წერილი არავის ანახო.

დედაშენმა მითხრა, რომ შეიძლება ნახვის უფლება მოგვცენო. შენი ნახვა ძალიან მინდა, მით უფრო, სასამართლოზე რომ ვერ მოვდივარ, მაგრამ საკმაოდ უსიამოვნო სიტუაციაა და ბავშვების გამო მეშინია. ვნახოთ, თუ ახლა ვერ წამოვალ, იქნებ ცოტა მერე.

მოგიკითხა დათუნამ, ხომ იცი, როგორ უყვარხარ. წერილმა მასზეც ძალიან იმოქმედა. ახლა მოსკოვშია და მალე ჩამოვა. აქ როდესაც არის, მშვიდად ვარ.

ბაკოს და ნატალის ველაპარაკე, ძალიან მოგიკითხეს. 20 ნოემბერს დაბადების დღე ჰქონდა ბაკურის და დავურეკე. შენი ბიჭები კარგად არიან,

ჩაქუჩამ შეშა მოგვიტანა, რეზომ შუშა ჩაგვისვა, დევიძეს, უბედურს, ბოტკინი აქვს.

საუკეთესო სურვილებითა და დიდი სიყვარულით მოგიკითხეს: მარიკამ, ოლიამ, მგელაძეებმა, მოსიძემ და თოფურიამ.

ყველაზე მედგრად იყავი. გკოცნი და ისევ მოუთმენლად ველოდები პასუხს.

ლელა

პეტრეს წერილები

ჩემო ნუციკო!

ეს ახალგაზრდა კაცი ჩვენი ძალიან ახლობელია! დედამისს აქვს პრობლემები (ფიბრომა) და ყველანაირად დავეხმაროთ. ესაჭიროება გინეკოლოგი, ალბათ, საოპერაციოა. ნუცკა, თუ რაიმე გამოკვლევა დასჭირდება, ჩართე ჩიტო და ყველა — ვინც დაგჭირდება.

ნუციკო, შეიძლება თვითონ მოერიდოს და გაითვალისწინე დღევანდელი სიდუხჭირე.

აბა, გკოცნი. ჩვენ კარგად ვართ, ალბათ, მალე გნახავ.

დამიკოცნე ყველა შენი პეტრე

ჩემო საყვარელო გედუნა!

ძალიან მომენატრე, მიკო! სულ ისეა, რომ — აი, ხვალ; აი, ზეგ და ვეღარ მოგწერე წერილი. მაინც შეხვედრას ველოდებოდი. ხომ იცი, პირისპირ რასაც გეტყვი — სულ სხვაა. როგორ ხარ, ნუციკომ მითხრა შენი ამბები, კალათბურთში დიდი პროგრესი აქვსო. ძალიან გამეხარდა! აბა, შენ იცი — კალათბურთშიც და წიგნებშიც— პროგრესი უნდა იყოს!

კიდევ, გავიგე, კათაკმეველი მოგინათლავს, ესეც ძალიან კარგია, ოღონდ მთავარია (ერთი

წუთითაც არ იფიქრო, რომ შენდამი წერილში პოლიტიკურ მოტივს გავატარებ), ის უხილავი, რაც არსებობს ნათლობაში, შენგან უნდა მიდიოდეს იქეთ და არა იქიდან შენკენ. ეს, ამ კერძო შემთხვევაშიც და საზოგადოდაც. ასე სჯობს შენთვისაც და სხვისთვისაც.

გედი, დათუნა დამიკოცნე, უთხარი, რომ ძალიან, ძალიან მენატრება და მაგრად აკოცე. აბა, საშუალება როდესაც იქნება, ეგრევე გელოდები.

გკოცნი, ბევრს, ბევრს (უფროსებს დაუჯერე ისე, ჩვენ რომ ვიცით... მაგრამ მაინც დაუჯერე!).

"კრიტული პრივეტებით"

მხოლოდ შენი პეტრე

დედას

დედი, ჩემზე ნუ ფიქრობ. მე გასაძლები არაფერი მაქვს. ახლა ყველაფერი კარგად იქნება. მე, ალბათ, გადამიყვანენ, შენს თავსაც მაჩვენებენ. მაგრად იყავით, ცოტა დარჩა (ხომ გეუბნებოდით).

ჩემო ციცი!

დიდი მადლობა წერილისთვის, მოლოცვისთვისა და "ინტერვიუსთვის." მადლობა უფალს, რომ ამის უნარი მაინც დაგვიტოვა... ჩემო ციცი, შენი დროის უქონლობის ამბავი კარგად ვიცი, რამეთუ ამის მთავარი მიზეზი მე ვარ. ძალიან კი მრცხვენია და მერიდება, მაგრამ რა ვქნა... რახან განგებამ ინება და ბარიკადის ერთ მხარეს აღმოვჩნდით — გენერალური მადლობები და ბოდიშები ბრძოლის დამთავრების შემდეგ იყოს. უკვე რეფლექსივით გაგვიჩნდა ყველაზე ექსტრემალურ მომენტში, როდესაც დროც არ ითმენს (მოგეხსენება, თითქოს ინგლისური ყველამ ვიცით და საქმე საქმეზე რომ მიდგება — არ ვიცით), გაჭირვების ტალკვესი — ციცია.

ჩემი და ქეთის მიმოწერა მართლა ცალკე თემაა (თვითონ ბოლო ბარათში რილკე-ცვეტაევას ალიანსს შეადარა), პროცენტულად რომ წარმოგიდგინო, ჩემი

აქაური ყოფის, ალბათ, 75-80%-ა. არც კი წარმომიდგენია, რომ ოდესღაც მას წერილს არ ვწერდი და შეიძლება როდესმე არ მივწერო...

ჩემო ციცი, იმ რამდენიმე წუთში, რომელიც სასამართლო დარბაზში გვქონდა განკუთვნილი დიალოგისთვის, საოცრად ზუსტად მითხარი მიმდინარე მოვლენებზე ყველაფერი. ჩემი აზრით, დღესაც იგივე გრძელდება. მოქმედი პირი არ ჩანს და ცოტა აქეთ, ცოტა იქით, არაფერს ცვლის, ქეთის კი ვწერ ხოლმე ჩემს მოსაზრებებს, მაგრამ მდგომარეობა

იმდენად გაყინული და გაქვავებულია, მასში წერილით ვერ შეაღწევ. ის კი არა, ამას მიმიკა და ჟესტიკულაციაც არ ეყოფა — უფრო ტანკებისა და გრადების დაგრუხუნება თუ გაჭრის.

აქ თითქოს ახალი არაფერია, ხელისუფლება მუშაობს (ოპერატიულს ვგულისხმობ), ცოტას ჩვენ (კონტრ-ოპერატიულად) და ასე გაგვყავს დრო.

კიდევ, გიხდი მადლობას შენი — "ინტერვიუსთვის", დიდი მოკითხვა გადაეცი შენს ძმასა და რძალს — ემიგრაციაში.

პატივისცემითა და სიყვარულით შენი პეტრე

ჩემო ძმაო!

როგორ ხარ? შენი ამბები გავიგე და ძალიან გამიხარდა, რომ ყველაფერი რიგზე გაქვს და, რაც მთავარია, ჯანმრთელად ხარ!

მე არა მიჭირს, კარგად ვარ. აქაური ცხოვრება ისეთია, რომ ბევრი მოსაწერი არაფერია — თენდება — ღამდება. უფრო მეტად მოგონებებით ვირთობ თავს, ვიხსენებ ხოლმე სუნჯას და "ასოციაციობანას", თითქოს სასაცილოა, არა, ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაში სერიოზული ხალხი — ბავშვებივით ვერთობოდით, მაგრამ — კარგი იყო...

ხედავ, რა ქნეს?! ყველა ვარიანტიდან ყველაზე ცუდი რომ 100000-ჯერ გაგვეუარესებინა, ამას მაინც ვერ წარმოვიდგენდით, რომ საქართველოს ასე გაწირავდნენ. ან ღმერთის მაინც როგორ არ ეშინიათ?!

კარგი, აბა, იცოდე, რაც უნდა მოხდეს, ნებისმიერ განსაცდელს ისე შევხვდები — მტრებს არ გავაცინებ.

იყავი ყოჩაღად, მედგრად და, რაც მთავარია, ფხიზლად!

იმედი ვიქონიოთ უკეთესი მომავლის

შენი პეტრე "სპეც" 18 . 17.07.95

ჩემო ციცი!

მთელი გულით გილოცავ დაბადების დღეს! ნუციკომ მითხრა, რომ ყველანი კარგად ხართ, და მეც დავტკბები შენი შესანიშნავი ოჯახის წევრებით. გისურვებ ყოველივე კარგს, ამაღლებულს, განსაკუთრებულს. უფალმა ისე ინება, რომ ჩვენ აწი საერთო წარმატებები და გამარჯვებები გვაქვს! (წარუმატებლობისგან ღმერთმა დაგვიფაროს!) და მერწმუნე, ყველა შენიანის ყველა ემოცია — ჩემი ემოციაც არის!

გამარჯვებული ქალბატონი ხარ და სულ ასე გამარჯვებული მანახოს შენი თავი განგებამ!

დიდი სიყვარულით შენი პეტრე

ჩემო მეგობარო!

როგორ ხარ? როგორ მიდის შენი საქმეები? მე კარგად ვარ ყოველმხრივ, ფიზიკურადაც და მორალურადაც. ხომ იცი ჩემი პრაქტიკული ჭკუის ამბავი?! შარშან, ამ დროს, აქ ("სპეცი" ანუ "корпус смертников") ჩამოვედი "დაზვერვაზე" (როდესაც ვშიმშილობდი) ერთი თვით და აქაურობა ჩემთვის უცხო არ არის, თან კონტინგენტი ნაცნობია. ხომ იცი, ვისაც მე არ ვიცნობ, ისინი მიცნობენ მე (ეს ისე...). ცოტა პირობების რა მოგახსენო — ეს არც "ჰილტონია" და არც — "შერატონი", სამაგიეროდ, პატიმრებს შორის სრული სუპერსოლიდარობაა. კომუნიზმი ხომ წარმოგიდგენია — ეს არის აქ. არ შეიძლება საჭმელი გინდოდეს და არ იყოს, სიგარეტი გინდოდეს ან ჩაი და არ იყოს. ზევით, ციხეში, ვისაც აქვს, უკანასკნელ ლუკმას გამოართმევენ და აქ ჩამოიტანენ. მთელი დღე ერთმანეთს ვამშვიდებთ, მაგრამ, რადგანაც საკნები ერთკაციანია, ყვირილი (ხმამაღლა ლაპარაკი) გვიწევს. ისე, ყველაფრის მიუხედავად, აქაც არის რაღაც ემოციების მსგავსი და მიდის ცხოვრება, უფრო სწორად, თითქოს მიდის.

"აქ სიმღერასაც სევდაზე მღერიან,
აქ კედლებიც კი სიკვდილის ფერია,
მიქელ გაბრიელს აქ მუდამ ელიან,
მაგრამ ოცნება მაინც ცისფერია."

ახლა მინდოდა მეთქვა, სიმღერებს უმღერიან ერთმანეთსო და უცებ რითმა გამომივიდა. ყველაფერს გეფიცები, ცხოვრებაში პირველი რითმაა. ახლა რაც ცუდია, ის. დერეფანში ბევრი ვირთხაა. რომ იცოდე, როგორ მეშინია. კიდევ კარგი, ამის შესახებ არ იყო ინფორმირებული ბალუაშვილი, თორემ ერთი პატარა წრუწუნა და ნებისმიერ აღიარებაზე ვიყავი ხელისმომწერი. ციხეში იყო ერთი ოფიცერი (დაახლოებით ჩემი გაბარიტის). ერთხელ შევჩივლე ჩემი ფობიების თაობაზე, მაგრად დამცინა — რევოლუციას ახდენდი და ქვეწარმავლების როგორ გეშინიაო?! მერე აღმოჩნდა (როცა დავახლოვდით), რომ ამ მხრივ ჩემზე უარესი მშიშარა ყოფილა. ბოლოს და ბოლოს კაცს რაღაცის ხომ უნდა ეშინოდეს. სხვა რა გითხრა?! თუ სასჯელის აღსრულება აქვთ ჩაფიქრებული, მართლა სერიოზულ-გრანდიოზული პოლიტიკური მოწინააღმდეგე დაუნახავთ ჩემში. თუ ამას შესაშინებლად აკეთებენ, გულწრფელად გეუბნები, მე მათი არ მეშინია.

თავს აღარ შეგაწყენ. მომიკითხე ყველა, ვისაც ჩემი მოკითხვა გაუხარდება.

შენი პეტრე

ჩემო ნუციკო და გედი!

კარგად ვარ, არაფერი მჭირდება დამატებით. თქვენ როგორ ხართ?

ჩემო დედიკო და მამიკო! ვიცი, ძალიან გაგაწვალეთ და დაგღალეთ, მაგრამ ძალიან ცოტა დამრჩა და ამ ბოლოს თავს ხომ არ შევირცხვენთ?! ისე

დავასრულოთ (с запасом), როგორც დავიწყეთ! აბა, გკოცნით!!!

თქვენი პეტრე

წერილი ბაბუას

ბაბუ, როგორ ხარ. ცოტა მანერვიულა შენმა ჯანმრთელობამ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ავადმყოფობა ვერ მოგერევა. ხომ იცი, ჯანმრთელად უნდა დამხვდე. მე ვარ კარგად. შენ კი იცი, მისჯის მერე თითქოს ყველა სანერვიულო მთავრდება. რაც შეეხება საპატიმრო ვადას. ციხეში ყოფნა უჭირს იმ კატეგორიას, რომელსაც სინდისი დამძიმებული აქვს. მე ყველაფრისა და ყველას წინაშე გამართული ვარ და აქ ყოფნას ვაფასებ, როგორც ბრძოლის მორიგ ეტაპს, თანაც ამდენი მხარდაჭერა!.. საბრალოა ის, ვისაც ბედნიერება, ან ფული, ან სხვა რამ მატერიალური ჰგონია და მართლა ბედნიერია, ვისაც ხალხის სიყვარული უგრძნია. გკოცნი უთვალავჯერ. იცოდე შენ მიერ განვლილი ვაჟკაცური გზა მე და არა მარტო მე, მაძლევს სტიმულს და მაგალითს. სხვანაირად არაფერი გამოვა, როგორც შენ ამას ხშირად მეუბნებოდი — მთავარია კრიტიკულ სიტუაციაში შეინარჩუნო კაცმა კაცობა. კიდევ ერთხელ გკოცნი შენი პეტრე.

წერილი ვაჟიშვილს

ჩემო გედი! როგორ ხარ? მიკო, მე კარგად ვარ, ყოჩაღად. შენს ამბებს მიყვებიან; ყველა გაკვირვებული და აღფრთოვანებულია — რა კარგი,

რა ჭკვიანი ბიჭიაო. ეს მე ძალიან მახარებს და მაიმედებს, რომ საქართველოს შენი სახით ნამდვილი ვაჟკაცი ეზრდება. ვიცი, ახლა რასაც გეტყვი, ამას ხშირად გეუბნებიან და იფიქრებ — ამან მაინც გამანებოს თავიო, მაგრამ მაინც: უფროსებს დაუჯერე და აუცილებლად შენს თავზე ბევრი იმუშავე, ისწავლე კარგად, ივარჯიშე კარგად, დათუნას მოუარე. შენ წინ

ძალიან საინტერესო და ლამაზი ცხოვრება გელოდება და მხნედ უნდა იყო. ჩემზე ერთი წუთით არ ინერვიულო. მე ყველაზე კარგად ვარ, რადგან არაფერი მიჭირს. აბა, ჯერჯერობით, დინო, გკოცნი ბევრს.

შენი პეტრე.

ჩემო უძვირფასესო რუსიკო!

ამ ბარათის საშუალებით მინდა გადმოგცე გულითადი მოკითხვა და უზომო მადლობა იმ თანადგომისთვის და მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩემ მიმართ იჩენ.

ამ კედლებში, რომლებსაც სრულ იზოლაციაში ვყავარ გარე სამყაროსგან და ყოველგვარი ადამიანურისგან, მხოლოდ მოყვასის სიყვარულის ისეთი მაგალითები მაძლებინებს, როგორსაც შენ ამჟღავნებ.

დიდი მოკითხვა გადაეცი მეუღლეს და ჩემს ნათლულს —ზვიადს! ბავშვებზე აღფრთოვანება არ მჩვევია ხოლმე, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა! ჩათვალე უკვე მიყვარს და ჩემი ცხოვრების ნაწილია.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და დამიკოცნე ყველა.

სიყვარულით შენი პეტრე

წერილი ეკუთვნის გერმანიაში მცხოვრებ ქალბატონს, რუსუდან მანჯგალაძეს, რომელიც წლების განმავლობაში უდიდეს სულიერ და მატერიალურ თანადგომას იჩენდა პეტრე გელბახიანისადმი.

ქალბატონო მერი!

დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენი თარგმანი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს თქვენი ნაწარმოებია, საკუთარი! ალბათ, იმ ტკივილიანი რეალობის გამო, რომელიც ყოველი აბზაცის გადათარგმნის დროსაც გიპყრობდათ და მთლიანად გითავისებდათ მიმდინარე ფაქტების ტრაგიზმს.

პარალელი საოცარია! დიპლომატიური კორპუსი, დემაგოგია, სისასტიკე, უსინდისობა!.. მაგრამ, მერწმუნეთ, ჩვენ უარეს დღეში ვართ! ბანდერასი – ნაძირალაა, ცინიკოსია, უღმერთოა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ გაუნათლებელი და სულელია, იგი მარიონეტია, მაგრამ "ინდივიდუალისტი" მარიონეტი. იგი მკრეხელური ამპარტავნებით არის შეპყრობილი — თავის თავს ერზე მაღლა აყენებს, მაგრამ პასუხისმგებლობის უმცირესი ელემენტი მაინც გააჩნია. ჩვენთან — მხოლოდ მანკიერების ზეიმია.

ფინალი — "ამერიკულია". ჩვენი უბედურება კიდევ ისაა, რომ შემოტევების ტოტალურობამ მხოლოდ უფლის იმედად დაგვტოვა. პირადად მე — მექანიზმს (ხსნისას) ვერ ვხედავ. ეს, ერთი მხრივ, კარგიც არის! ისევე, როგორც რწმენამდე გულით მივდივართ და არა — გონებითა და გამარჯვებით.

დასაბამიდან ვიდრე რომ — დღემდე,
თუნდაც ადამთა ტკივილი თვლემდეს,
ამოუხსნელი არის დილემა,
ევათა შხამი სულ არ ილევა.
მოდის გოგმანით, ცეკვავს და როკავს,
ზოგს გონს უბნელებს, ხელებს უთოკავს,
კლდეთა კალაპოტს მთლიანად წაშლის,
პიროვნებას კი ულმობლად დაშლის.
ცოდვის ზვირთები ორმაგი ხდება,
ზოგი დიდგულობს, არ ეპუება.
თუ რა გადაწყვეტს კაშხლის აგებას,

“ცისფერ არაფრის” მახის დაგებას.
მაშინ ეხლება კაშხალს დუღაბი,
კივის, იცინის ქალი მსუნაგი,
ილუზია კი სასწრაფოდ ქრება,
ჩვენი “რომეოც” ნანგრევში ყვება.
გზა დანარჩენის არის მარტივი,
მათ არ ვუყუროთ ციურ ხატივით,
დამერწმუნებით, ალბათ, ამაში,
აკრძალულია ცეცხლთან თამაში.

22.06.96.

პატივისცემით, პეტრე

წერილი ქალბატონ მერი ტიტვინიძესადმია მიწერილი. მასში ნახსენებია ქ-ნ მერის მიერ ესპანურიდან ნათარგმნი ვალიე-ინკლაინის რომანი “ტირანი ბანდერასი.”

ძვირფასო ქეთი!

დიდი სიამოვნებით გითვლი (მართალია დაგვიანებით) შობა-ახალწლის მოლოცვებსა და მორიგ მადლობას ყურადღებისთვის. ისე, გულახდილად, მართლა ზედმეტად გაგვათამამე ყურადღებით, მაგრამ მეც ვთვლი, რომ ჩვენ მეგობრები ვართ და მეგობრული ურთიერთობები ამას ითვალისწინებს.

რაც შეეხება განაჩენს:

მე ამას თავიდანვე ველოდი. რომ გითხრა შეგუებული ვარ მეთქი, რა თქმა უნდა — არა, მაგრამ ეს ყველაფრის ლოგიკური დასასრულია. იგივეს ველოდი მირზა დოლიძისგანაც. მეორე საკითხია, რამდენად შეძლებენ განხორციელებას, თითქოს აქაც არავითარი პრობლემა არ არსებობს, მაგრამ მაინც იქმნება გარკვეული ზეწოლა დასავლეთიდან და რაც მთავარია, ამ ხელისუფლების (მერკანტილური) ინტერესები საზოგადოებაში.

თითქოს ყველა თეორიულად ვიცნობდით იმ სისტემას, რომელსაც ახლა ვებრძვით, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, როდესაც ყველაფერ ამასთან უშუალო შეხება გიწევს. ყველაზე მეტად სისტემას უჭირს, დაგვტოვოს გამარჯვებული. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბრალეულობის ხარისხს, მთავარია, მოინანიო, შეეხვეწო და პრინციპში, პრობლემაც გაქრება. ბალუაშვილი, ალბათ ეს გვარი გაგიგია, პირველი შეხვედრიდან მიმეორებდა — მაინც შემეხვეწები სიცოცხლესო; მეც ვპასუხობდი — აბა, ვნახოთ. ის — აბა, ვნახოთ, თუ არაო. მეც იგივეს და ა.შ. გულწრფელად გეუბნები — მე ვთვლი, რომ ზოგადი პრობლემები იმდენად დიდია, რომ კერძო შემთხვევის გამოსავალს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორიც არ უნდა იყოს ეს გამოსავალი, მე მგონი, ის მაინც შეუწყობს ხელს იმ საწყისთან მისვლას,

საიდანაც უნდა დავიწყოთ ახალი ბრძოლა. მოკლედ, ასე.

ხასიათზე ნორმალურად ვარ. ძალიან გვამხნევებს ის ფაქტი, რომ გაუსაძლის ცხოვრებაში ხალხი კიდევ იცლის იმისთვის, რომ ჩვენზე იფიქროს. მე ვთვლი, რომ არ შეიძლება თვითმიზნად გაიხადო წინააღმდეგობა რომელიმე ხელისუფლების მიმართ და მით უმეტეს, ბრძოლა. მიხარია, თუ გასაგებია, რისთვის იყო ეს წინააღმდეგობა.

ალბათ, ძალიან დაგღალე ზედმეტად სერიოზული წერილით, მაგრამ რა ვქნა, ამ ეტაპზე თავში ამის მეტი არაფერი მაქვს...

გემშვიდობები, საუკეთესო სურვილებით და უკეთესი მომავლის იმედით.

პეტრე
5.11.95 წელი

ჩემო მიკო!

ძალიან მომენატრე. პარასკევს ჩამოვფრინდი დილის ხუთ საათზე. სტამბოლში მაგარი დრო გავატარე, ვნახე აიასოფია, სულთნის სასახლე და მრავალი სხვა. თავად ქალაქი ძალიან მომეწონა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ჭუჭყიანია. რამდენჯერმე გემით გავისეირნე და გავგიჟდი, როდესაც დავინახე, როგორ ყრიდნენ ზღვაში პეფსისა და ფანტას ქილებს.

ვიყავი ოთოს კოლეჯში. კიდევ კარგი, რომ ინგლისურს ვსწავლობ და რაღაც მესმის, თორემ დავიღუპებოდი. ისე, მართლა, იმდენი ვისწავლე, რომ ვიღაც გერმანელი იყო ჩამოსული და ველაპარაკე, რა თქმა უნდა, ინგლისურად.

მეტი რაღა გითხრა, დათის ძალიან გაუხარდა, რომ ვადაზე ადრე გამოხვალ. გკოცნი ბევრს შენი თერთმეტი წლის გედი.

P. S. თამრიკომ წერილის დაწერა ვერ მოასწრო და დიდი ბოდიში შემოგითვალა.

ჩემო რუსიკო! (კუსა)

ჩემო ქალბატონობის, მეუღლეობის, დედობისა და ქართველობის ეტალონო ქალო! როგორ ხარ? ეს შეკითხვა თითქოს მიამიტურია, მაგრამ კარგად უნდა იყო, რადგან ბრძოლა გრძელდება!

ჩვენ კარგად ვართ, მართლა კარგად! შენ კი იცი, რომ შეგუების უნარი მაქვს (ვგულისხმობ საყოფაცხოვრებო პირობებს), სხვა მხრივ, გაზეთებს ვკითხულობ და ვგრძნობ მხარდაჭერას. აქედან გამომდინარე, ნამდვილად მირჩევნია აქ ყოფნა, ვიდრე გარეთ დავდიოდე და არც მკვდრებში ვეწერებოდე და არც — ცოცხლებში. ჩემო რუსიკო, ეს გზა შეგნებულად ამოვირჩიე და სრულიად შეგნებულად

მოვედი აქამდე. თუ საჭირო იქნება, ისევე კაცურად დავასრულებ, როგორც ეს შენ პეტრეს ეკადრება.

ხშირად ვიხსენებ იმ პერიოდს, როდესაც ერთად ვიყავით ყველა. მართლა კარგი დრო იყო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ განსაცდელი თითქოს შორს იყო, არამედ ახლოს იყო დიდი გამარჯვების იმედი. რუსუდან, ერთი თხოვნა მაქვს, იქნებ ვიქტორს სთხოვო და მერე ეს სხვებზეც გავრცელდება — შეწყვიტონ შიმშილობა. ყველამ იმდენი გასაჭირი ნახა, რომ ალბათ თითოეულის განცდილი — 100 კაცს ეყოფა. კიდევ ღმერთმა იცის, რა დღეები აქვთ გადასატანი. ეს აზრი მინდა გადასცე ყველას გარეთაც. საქართველოში ქართველებმა ბევრი გასაჭირი გადაიტანეს, ყველას პოზიცია გასაგებია, დღეს დამალული არაფერი აღარ არის...

ჩემი თხოვნა იქნება, მოერიდონ ისეთ აქციებს, რომლებიც თვითგვემას შეიცავს.

ბოლოს მინდა გითხრა, რომ სავსე ვარ ოპტიმიზმით. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ ბრძოლას. მომიკითხე შენი ლამაზი ოჯახის ყველა წევრი, განსაკუთრებით, ასაკით პატარა, მაგრამ კაცობით ძალიან დიდი შენი შვილები.

შენი პეტრე

ეს წერილი მიწერილია ბაღის მასწავლებელ ადა არგუტინსკაიასადმი:

Золотая тетя Ада! Я очень вас люблю. Буду помнить всегдаю

целую Петука

6 წლის

მოგონებები

ასეთი ძმობის მაგალითი არ მოშლოდეს ჩვენს შთამომავლობას

როდესაც უახლოესი ადამიანი შენ გვერდით აღარ არის, ბუნებრივია, მოგონებისას მხოლოდ მისი კარგი თვისებები გახსენდება.

გულწრფელად ვიტყვი, რომ განცდილი ცხოვრების ყველა პერიოდში პეტრე ჩემთვის უდიდესი მაგალითი იყო. მინდოდა, ის განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც ჩემს ძმას

ჰქონდა, მეც მქონოდა, უპირველესად კი ის კეთილშობილება და კეთილგანწყობა, რასაც ყველა ადამიანთან ურთიერთობისას ავლენდა, სულგრძელობა — რაც ნამდვილად მისაბაძია, თავმდაბლობა — რაც ბუნებრივად თან სდევდა; გაჭირვებაში მყოფი ადამიანის თანადგომა, ყურადღება; ხასიათის სიმტკიცე — რაც არაერთხელ გამოავლინა.

ჩემთვის პეტრე ყოველთვის იყო და იქნება ის სანიმუშო ადამიანი, რომელიც თავისი თვისებებით ბოლომდე არავის ჰგავდა.

ვინატრებდი, რომ ჩვენს ოჯახში ასეთი ძმობის მაგალითი არ მოშლოდეს ჩვენს შთამომავლობას.

შენი და თამრიკო

“ნეტარ არიან
დევნილნი სიმართლისათვის”

პეტრე გელბახიანი

პეტრე გელბახიანი – “პატარა პეტრე” – მას ხშირად ასეც მოიხსენიებდნენ, იმიტომ, რომ “დიდი პეტრეც” არსებობდა — მისი დიდი წინაპარი, “დიდი” არა მხოლოდ ასაკით, არამედ თავისი მეობით, პიროვნული ღირსებით. “პატარაც” მას ჩამოჰგავს.

ბაბუამისს, “დიდ პეტრეს,” გაუტეხელი სული ჰქონდა, ქედი ვერ მოადრეკინეს. რჩეულ საზოგადოებაში ტრიალს მიჩვეული მკაცრ კოლონიაში გადაისროლეს, მაგრამ ღირსება მაინც ვერ შეულახეს, ბეჭებზე ვერ დასცეს.

უსამართლობის პირველი სუსხი “პატარა პეტრემ” ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო, პერსპექტიულ კალათბურთელს ახალგაზრდული გუნდი რომ დაატოვებინეს ბაბუის გამო. ექიმთა ოჯახში გაზრდილი, თავადაც ეზიარა ამ კეთილშობილურ პროფესიას, თავადაც წარმატებული იყო ამ დარგში, ასპირანტურა დაამთავრა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა.

მერე კი დაიწყო ეროვნული მოძრაობა, გულგრილი არ დარჩენილა, პირველივე დღეებიდან

ჩაება მასში, ნებიერად გაზრდილმა დიდ განსაცდელს მისცა თავი... და რაღა არ გადახდა თავს – სამაჩაბლოს ქარიშხლიანი დღეები, მოძმის მიერ ნასროლი ტყვია, პირქუში კარცერები და სიკვდილმისჯილთა საკანში განვლილი უსასრულო წამები.

ვერა და ვერ ვმალავ გაოცებას...

მიკვირს ამდენი უსულგულო, ზომბირებული, ამქვეყნიურ სიამეს დახარბებული, ზნეობაწაშლილი ახალგაზრდების გვერდით როგორ აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც შესძლო "ჯოჯოხეთის ბჭეთაგან" თავი დაეღწია და იქიდან სულით და ხორცით შეუბღალავი გამოსულიყო.

"ძვირფასო სერ" — წერდნენ აქაური ხელისუფლების მაშინდელ პირველ პირს შორეული ქვეყნის – ახალი ზელანდიის ადვოკატები, რომლებიც შეძრწუნებულები იყვნენ პეტრე გელბახიანის საქმით. "დაფიქრდით, და ნუ ჩაიდენთ უდიდეს ცოდვას, წარმოიდგინეთ, სიკვდილმისჯილთა საკანში ამდენი ხანი ყოფნა (მაშინ, ვგონებ, ჯერ მხოლოდ ერთი წელი იყო გასული, მას შემდეგ კიდევ წელიწად ნახევარი გავიდა, სულ ორ წელიწად ნახევარი – ც.გ.) ეს ხომ დახვრეტაზე უარესია. არ გიფიქრიათ, რომ ასეთი ტანჯვა გაცილებით მძიმეა, ვიდრე ერთხელ სიკვდილი!"

არ უფიქრიათ! უფრო სწორედ, იფიქრეს, დიდხანს იფიქრეს, და დიდი ოჯახური ვენდეტა

განახორციელეს: ბაბუას, პეტრე გელბახიანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 14 წელი ციხეში გაატარებინეს, სამეცნიერო ხარისხები ჩამოართვეს, მამა – პროფესორი გედი გელბახიანი, შესანიშნავი მეცნიერი და პედაგოგი, სასტიკად აწამეს, სმენა და მხედველობა დაუზიანეს... და წარმოიდგინეთ, არ დაინდეს არც დედა, ამ ოჯახის სათნო დიასახლისი, ნინო (ნუციკო) ტატიშვილი, აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილის ქალიშვილი, თავადაც ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. 29 აგვისტოს შევარდნაძეზე განხორციელებული "ტერაქტის" დროს ისიც მოწყვიტეს სახლში მარტოდმარტო დარჩენილ მოხუცებულ მამამთილს და ღამე ვაკის პოლიციაში გაატარებინეს. "ვენდეტა" სრულად განხორციელდა. ნუცა ტატიშვილმა არნახული სიმტკიცე გამოიჩინა, უამრავ განსაცდელს უდრტვინველად გაუძლო და ვაჟკაცებისაგან დაცლილი კერა არ გააცივა, კეთილი და ერთგული მეგობრებით გაათბო იგი. არც მან მოიდრიკა ქედი, არ დასაწყლდა, არ უწუწუნია.

მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომელთაც ასე თუ ისე შეძლეს ამ ოჯახის ჭირის და ლხინის გაზიარება, შემიძლია განვაცხადო, რომ სიჯვდილმისჯილთა საკნის გარდა, ყველგან შევძელი ვყოფილიყავი პეტრეს გვერდზე, ვყოფილვარ ე.წ. "კრიტში" (დახურულ ციხეში), შემდგომში უკვე ავჭალის კოლონიაში, სადაც იგი ხვდებოდა უცხოელ

ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციათა წარმომადგენლებსა თუ კერძო პირებს. იგი თავისუფლად საუბრობდა ინგლისურ ენაზე და უყვებოდა მათ თავისი ქვეყნისა და იქ გამეფებული უსამართლობის, უკანონობის, სათაყვანებელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მასთან გატარებული დღეების შესახებ. გაოცებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მან, პროფესიით ექიმმა, ციხის ექსტრემალურ პირობებში შეძლო იურიდიული კანონებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების ზედმიწევნით შესწავლა ისე, რომ თავისუფლად წერდა და საუბრობდა ამ საკითხებზე. ბიბლიური პეტრეს მოსახელე მართლაც კლდესავით მაგარი აღმოჩნდა, შეწყალება არ უთხოვია, ალბათ იმიტომ, რომ კარგად ჰქონდა შესისხლხორცებული თავისი დანიშნულება ამ ქვეყნად, იცოდა იმ მაგალითის ძალა, რომელსაც მისნაირი ადამიანები აძლევდნენ მომავალ თაობებს. აკი ბრძანა უფალმა: ''ქალაქს არ დავღუპავ, ათი მართალიც რომ ვპოვო მასშიო".

P.S. ეს წერილი პეტრეს სიცოცხლეში დაიწერა. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ იგი ასე მალე დატოვებდა ამ წუთისოფელს და ასეთი წიგნის გამოცემა მოგვიწევდა. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ არც ეს წერილი დაწერილა მაშინ პეტრეს საქებრად. მუდამ სიტყვაძუნწ და თავმდაბალ პეტრეს არავინ შეუწუხებია თავისი განსაცდელით, არც არავისთვის

შეუცოდებია თავი და არც არასოდეს უკეკლუცია თავისი თავგანწირვით. ახლაც ასეა, მისი ქება ჩვენ უფრო გვჭირდება. როცა ამ წიგნზე მუშაობას შევუდექით, იმდენმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო, იმდენმა მოგვაწოდა ლამაზი, თავისებურად საინტერესო მოგონება, რომ გავოცდით, თუ როგორ შეძლო მან ასეთი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ამდენი სიკეთე და ტკბილი მოგონება დაეტოვებინა ხალხში.

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მასზე კიდევ ბევრი უნდა დაიწეროს, მისი ამბავი ახალგაზრდებს უნდა გადაეცეს, რათა არ იყვნენ ისინი "ფილისტერული, ბებრული სულით აღვსილნი" და ფიზიკური არსებობის მიღმა შეიგრძნონ მათი ამ ქვეყნად მოსვლის აზრი და დანიშნულება. ეს წიგნიც სწორედ ამას ემსახურება.

ციცი გაბესკირია

მენატრება და მიყვარს პეტრე

იყო ერთი ბიჭი და რა ბიჭი, ვებერთელა; ამ ქვეყანას 1962 წლის 15 ივლისს მოევლინა. მას პეტრე დაარქვეს. ამ დღესთან დაკავშირებით გელბახიანების ოჯახში დიდი წვეულება გაიმართა. თამადამ პირველი სასმისით პატარა პეტრეს დღეგრძელობა უსურვა.

ყველამ ავიტაცეთ ეს სადღეგრძელო და გავიძახოდით: „დღეგრძელობა პეტრეს, დღეგრძელობა!“

პეტრე, როგორც ზღაპარშია, დღითიდღე იზრდებოდა, ლამაზდებოდა, ჯან-ღონე ემატებოდა, გოლიათს ჰგავდა. დაბადებიდანვე ძილი არ უყვარდა, ფხიზლობდა. ეს თვისება მას ბოლომდე შერჩა. პატარაობიდანვე უარს ამბობდა თავის საწოლში ჩაწვენაზე, ჭირვეულობდა, შებოჭილობას გრძნობდა, ამიტომ მას აძინებდნენ სუფთა ჰაერზე, ჰამაკში, სადაც ხელფეხგაშლილი, მომღიმარი სახით თავისუფლად იწვა. თავისუფლების წყურვილი მას სიცოცხლის ბოლომდე თან სდევდა.

გალაღებული ბავშვობა ჰქონდა, ანებივრებდნენ, მაგრამ ბუნებით მოსიყვარულე და

თავშეკავებული იყო, თანაც კარგად აღზრდილი. მეგობრების შესანიშნავი წრე ჰყავდა; ყველასგან გამოირჩეოდა, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა; გოგონებს კი ძალიან, ძალიან უყვარდათ და ეპრანჭებოდნენ ამ შესანიშნავ ყმაწვილს. დედები კი მის დანახვაზე შესძახებდნენ ხოლმე — რა დედამ გშობაო?!

წლები ემატებოდა და კიდევ უფრო მშვენიერდებოდა. ყველაფრის ამტანი და გამძლე აღმოჩნდა, დიდსულოვანი და უღალატო იყო.

ცხოვრების გზა ვარდებით არ არის მოფენილი, ბედი უკუღმა შემოუტრიალდა და პეტრე წლების განმავლობაში აღარ ჩანდა, ქალაქში აღარ დააბიჯებდა, ყველას დიდი დარდი და ფიქრი შეგვეყარა. ოჯახმა ენით აუწერელი ტრავმა მიიღო, მაგრამ ვაჟკაცურად გაუძლო, მაგრად დადგა. მშობლებმა იცოდნენ თავიანთი შვილის მტკიცე ხასიათი, გაუტეხელი ბუნება და სიმართლე. ყველანი ვდარდობდით, მაგრამ იმედს არ ვკარგავდით, გვჯეროდა, რომ მისი, როგორც არაჩვეულებრივი პიროვნების, დაკარგვა დაუშვებელი იყო.

პეტრე მეორედ დაიბადა, დაგვიბრუნდა, ყველა გაგვახარა. დაბრუნდა უფრო ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული, მაგრამ ამბიციებისგან თავისუფალი, უკვე დაღვინებული. ბოღმა და ბრაზი არ ედო გულში, პირიქით, ყველა გაჭირვებულისა და უპატრონოს დარდი გაითავისა.

პეტრე კვლავ გამოჩნდა, დააბიჯებდა უფრო მყარი და ძლიერი ნაბიჯებით. ახლა უკვე ორი ვაჟკაცი — გედი და დათუნა — უმშვენებდნენ გვერდს. მშობლებს და ოჯახს მონატრებულმა პეტრემ ერთ დიდ ოჯახად ცხოვრება არჩია და წლების განმავლობაში ბედნიერება სუფევდა მათ ოჯახში, სტუმარი და მოლხენა არ აკლდათ. თავისუფლებისმოყვარე პეტრე ბაბუობაზე ოცნებობდა. რა სანახავი იქნებოდა უზარმაზარი პეტრე პატარა შვილიშვილით ხელში, როგორ მოუხდებოდა, მაგრამ ბედმა უკვე მეორედ უმუხთლა და იგი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან.

მახსენდება მისი დაბადება, ბედნიერი, შემდგომში კი ღამენათევი, მაგრამ ამაყი წლები. მახსენდება ჩვენი შეძახილი: "დღეგრძელობა პეტრეს, დღეგრძელობა!" არადა, მან მხოლოდ 45 წელი იცხოვრა.

ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ზოგჯერ უმძიმესი სიტუაციების დროს არც კი გინდა გაიხსენო სინამდვილე, გაურბიხარ მას, თავს იცავ და იწყებ ოცნებას. "ოცნება ყოველთვის სჯობს სინამდვილეს" — ამბობს ერთი პოეტი და მეც ასე ვიქცევი, ხშირად ვოცნებობ, ვიხსენებ მას და მენატრება. მენატრება და მიყვარს პეტრე.

ქეთი ანჯაფარიძე

წინ, უკვდავებისკენ!

მას შემდეგ, რაც პეტრე ჩვენთან აღარ არის, პირველად ვიგონებ მას იმიტომ, რომ აქამდე არც კი მიცდია, გამეცნობიერებინა მისი არყოფნა. სულ მაქვს ასეთი განცდა — თუ ის ჩვენთან არ არის, მაშინ ის სხვაგანაა. სად?! სად და ჩვენს წარსულსა და მომავალში. ის მხოლოდ ახლა ამ წუთას არ არის ჩვენთან, მაღალი, ოდნავ სევდიანი, მეტისმეტად პრინციპული ვაჟკაცი, რომელმაც იცხოვრა ყველასთვის, გარდა საკუთარი თავისა; რომელსაც წაართვეს ყველაფერი, გარდა ზნეობისა; რომელმაც გასწირა ყველაფერი, გარდა სამშობლოსი, რომელმაც მიიღო ყველაფერი, გარდა სიკვდილისა, რადგან ყოველივე ამის გამო უკვდავებას ეზიარა.

ერთი შეხედვით, პეტრეს, საუკეთესო ოჯახში გაზრდილ, წარმატებულ, ნიჭიერ, შესანიშნავი გარეგნობის, წყნარი და დინამიური ცხოვრებისთვის დაბადებულ ადამიანს, კარგად უნდა გაეცნობიერებინა საკუთარი ბაბუის, პეტრე გელბახიანის ტრაგიკული ბედი, უკან დაეხია, დაევიწყებინა წინაპართა ვარამი და ახალი, უმტკივნეულო არსებობისთვის გაემზადებინა საკუთარი კარიერა. მაგრამ მან ეს ვერ შეძლო, რადგან ნამდვილი მეამბოხე იყო. ის ვერ გაიქცეოდა მაშინ, როდესაც მის მეგობრებს რკინის ხელკეტებს ურტყამდნენ, ის ვერ გაიქცეოდა მაშინ, როდესაც მის

რჩეულ პრეზიდენტს ტყვიებს უშენდნენ, ვერ გაიქცეოდა მაშინ, როდესაც მის თანატოლებს მიტინგებზე ხვრეტდნენ. ამიტომაც გამოჩნდა, ვარსკვლავივით აკაშკაშდა, შეკრული მუშტი მაღლა ასწია და ყველას გააგებინა, რომ ის ბრძოლისთვის მზადაა. მას შემდეგ ხელი დაბლა აღარც დაუშვია და ეს შემართული მარჯვენა შიშის ზარს სცემდა მისი ქვეყნის მტრებს, ხოლო იმედსა და რწმენას მატებდა მათ, ვისაც სამშობლოსთვის თავგანწირვა გადაეწყვიტათ.

პეტრეს ჰქონდა განსაკუთრებული ხიბლი, გამოუთქმელი შინაგანი ძალა და საოცარი უნარი, დაერწმუნებინე, რომ სამყაროში ყველაფერი მშვენიერი და კეთილშობილი მასშია თავმოყრილი.

სწორედ ასეთი საკრალური მსხვერპლი მოითხოვა სამშობლომ, განსაკუთრებული და უძვირფასესი და ეს მსხვერპლი მიიღო კიდეც, შეიწირა, როგორც ღვთაებრივი შესაწირი.

მაგონდება სასამართლო; ცარიელი სკამი; უსასტიკესი განაჩენი — "სიკვდილით დასჯა," შემდეგ ციხიდან გამოგზავნილი პეტრეს ბარათი: "მე მათ ვუჩვენებ, როგორ ხვდებიან სიკვდილს ვაჟკაცები!" რეალობა, რომელთან შეგუებასაც არც სიკვდილმისჯილი და არც მისი გულშემატკივარი არ აპირებს. პეტრეს დედის, ნუციკოს, წარმოუდგენელი საპროტესტო მარათონი; გამოცდა ჩვენი საზოგადოებისთვის — მოაწერენ თუ არა ხელს სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნას; განცდები, ემოციები, ერთად ყოფნის სიხარული, ლეგენდად ქცეული დიდი პეტრე გელბახიანის ბრძოლის უკანასკნელი დღეები. და გამარჯვება, გამარჯვება სიკვდილზე, მახინჯ რეალობაზე, ბოროტებაზე.

ამას მოსდევს კოლონიის ეპოპეა. ჩვენი შეხვედრები და საუბარი შემდგომი ბრძოლის სტრატეგიაზე, კამათი, საგანგებოდ თავაზიანი დებატები, განვლილი გზის შეფასება და სევდა, განცდა იმისა, რისი გაკეთებაც ვერ მოხერხდა. მისი ხელით გამომცხვარი მჭადები და ერთი ჭიქა წითელი ღვინო საქართველოს სადღეგრძელოს თანხლებით.

და ბოლოს, დაიწყო ყველაზე მთავარი, თავისუფლება და ის განსაცდელი, რომელიც ამდენი ხნის ნანატრ ვითარებას თან ახლავს ხოლმე. ყველას მოუნდა პეტრესთან ყოფნა, ყველას ეამაყებოდა მასთან ურთიერთობა, ის ყველა ოჯახისთვის სანატრელი სტუმარი გახდა. პეტრე ერთი შეხედვით გამხიარულდა, თითქოს თავისუფლების სურნელმა დაათრო, მაგრამ სევდა მის თვალებში, უსიტყვო ნოსტალგია იმისა, რაც მის ქვეყანაში დროებით მიყუჩდა, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

ერთ დღესაც მოხდა ის, რაც, ვფიქრობ, ლოგიკურია. მას აღარ მოუნდა, აღარ მოეწონა ის, რაც სულიერი სარკმელის მიღმა დაინახა, აღარ მოუნდა ერთი ადგილის ტკეპნა ჩვენთან ერთად, ამიტომ გაგვემიჯნა, გაგვასწრო, წინ წავიდა, წავიდა მარადისობაში....

ყველა ამქვეყნიდან წასული ადამიანი საკუთარი სულის ნაწილს ვიღაცას უტოვებს. ჩემი აზრით, თავის დიდ ოჯახში პეტრემ თავისი სულის ეს უძვირფასესი სიმები დედას ჩააბარა და, შესაბამისად, ყველაზე მეტი სიხარული და ტკივილიც მას მოუტანა იმიტომ, რომ გელბახიანების ოჯახის ტრაგიკული ბედის ზიდვა წლების განმავლობაში სწორედ ნუციკოს ხვდა წილად. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც სრულფასოვნად გაიზიარა მისი ოჯახის ყველა მამაკაცის ტრაგიკული ხვედრი, რომელმაც პეტრეს

გმირობისკენ უბიძგა, რომელმაც სიკვდილისგან იხსნა იგი. ნუციკოს უსიტყვოდ ესმოდა პეტრესი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლაც ესმის, ახლაც იცის, რა სურს მის შვილს და გრძნობს, როგორ ეზიარება სამშობლოსთვის თავგანწირული, ჭკვიანი, კეთილი, მშვენიერი რაინდი ზეციური საქართველოს წილხვედრ უკვდავებას.

ქეთევან ქურდოვანიძე

დახვეწილი კაცი

პეტრე ახლოს მოგვიანებით გავიცანი. პირად ურთიერთობაში ის იყო უაღრესად თავაზიანი, თავდაჭერილი, დახვეწილი. ყოფაში, უცხო კაცისთვის ძნელი მისახვედრი იყო, რომ უმტკიცესი ნებისყოფის ადამიანთან ჰქონდა საქმე. პიროვნებასთან, რომელმაც ათასგვარ განსაცდელს ისე დააღწია თავი, რომ სულის სიფაქიზე არ დაუკარგავს.

1992-1993 წლებში რუსებისა და პუტჩისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სხვადასხვა დავალება გვქონდა და ხშირად ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს. მაშინ აზერბაიჯანს ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლება ჰყავდა. მათთვის ცხადი იყო, რომ რუსეთი საქართველოს შემდეგ სახელმწიფო გადატრიალებას აზერბაიჯანში დაგეგმავდა. აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობა ჩვენი

ეროვნული ხელისუფლების ბუნებრივი მოკავშირე გახდა. პეტრე პოლიტიკის ამ მიმართულებაში ჩაერთო.

სამწუხაროდ, ელჩიბეი სუსტი პრეზიდენტი გამოდგა. მას არ ეყო პოლიტიკური გამჭრიახობა, ვერ დაინახა, რომ თუ შევარდნაძე საქართველოში მიტაცებულ ხელისუფლებას შეინარჩუნებდა, რუსეთი აზერბაიჯანში ალიევს დააბრუნებდა. შევარდნაძესთან დაპირისპირების ნაცვლად ელჩიბეი დიპლომატიურ თამაშებში ჩაება და ყველაფერი დაკარგა. სამიოდე წელიწადში ელჩიბეიმ ნახიჩევანში, შინაურ პატიმრობაში დალია სული.

აზერბაიჯანის იმჟამინდელ მთავრობაში მაინც იყო რამდენიმე გამორჩეული პიროვნება. შინაგან საქმეთა მინისტრი, "რუხი მგლების" ყოფილი მებრძოლი — ისკანდერ გამიდოვი და მისი მოადგილე როფშანი. ისინი ქვეყნისთვისთვის თავდადებული ვაჟკაცები იყვნენ. სწორედ ამ გასამხედროებული ორგანიზაციის, "რუხი მგლების" დამსახურება იყო აზერბაიჯანის გადარჩენა ხელახალი რუსული ოკუპაციისგან. რუსეთი ამას სომხების საშუალებით ცდილობდა. "მხედრიონის" ბანდისგან განსხვავებით, "რუხი მგლები" ეროვნულ ხელისუფლებას იცავდა და რუსეთს ებრძოდა. მის წევრებს საკუთარი ერი არასდროს აუწიოკებიათ, არასდროს უყაჩაღიათ.

პეტრე და დეპუტატი ვიქტორ დომუხოვსკი პარტიზანული რაზმის შესაქმნელად გაემგზავრნენ.

რაზმი ყვარლის ტყეში უნდა დაბანაკებულიყო და იქიდან უნდა დაეწყო "მხედრიონის" თარეშისგან კახეთის გათავისუფლება. გამიდოვისა და როფშანის თანამებრძოლები ამ რაზმში არ გაწევრიანებულან, თუმცა შეძლებისდაგვარად არაფერს იშურებდნენ რაზმის მოსამარაგებლად. რაზმმა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია განახორციელა, მაგრამ სამწუხაროდ საერთო კახური ამბოხის გამოწვევა ვერ შეძლო. "მხედრიონმა" უსასტიკესი ტერორით მოახერხა ხალხის გათითოკაცება და დაშინება. პეტრეს რაზმმა ბრძოლებით გაარღვია ყვარლის ტყის ალყა და დაიშალა. პეტრე და ვიქტორი ბაქოში ჩავიდნენ. ბუნებრივია, რომ აზერბაიჯანის უშიშროებაში მრავლად იყვნენ კრემლის ერთგული ოფიცრები. ყოფილი ჩეკისტი არ არსებობს, ისე როგორც არ არსებობს ლომად ქცეული ღორი. შევარდნაძე დაუკავშირდა თავის უფროსებს მოსკოვის სუკში და მათ აზერბაიჯანელი შემსრულებელიც მოძებნეს. აზერბაიჯანის უშიშროების ერთ-ერთი ოფიცერი შევარდნაძის მსახურებს პეტრესა და ვიქტორის დატყვევებაში დაეხმარა. სწორედ ამ ოფიცერმა მიაცილა მანქანა თვითმფრინავამდე, რათა მანქანაში პოლიციელს არ ჩაეხედა, გატაცება იმდენად სწრაფად განახორციელეს, რომ გამიდოვის ხალხმა ვერ მოასწრო პეტრესა და ვიქტორის გამოხსნა.

შევარდნაძე ტიპური მხდალი არაკაცია. ახალგაზრდობაში თავის დაცვას ვერ ბედავდა და წყენას გულში ინახავდა. როგორც კი მილიციის შეფი გახდა, მაშინვე ციხეში ჩასვა ყველა, ვისი წყენაც კი ოდესმე გადაუყლაპავს. პეტრეს ბაბუა, ბატონი პეტრე ცნობილი მედიკოსი გახლდათ. ერთხელ, რომელიღაც სხდომას, რატომღაც, მილიციელი შევარდნაძეც დასწრებია, რომელსაც, ბუნებრივია, რაღაც სისულელეც უთქვამს. ბატონ პეტრეს გაჰკვირვებია და უხუმრია, ეს ფერშალი საექიმო საქმეებში რატომ ერევაო? ცოტა ხანში ბატონი პეტრე დააპატიმრეს, მაგრამ ვერ გატეხეს. მას შემდეგ ამოიძულა შევარდნაძემ გელბახიანების ოჯახი. როდესაც პეტრე ყვარლის ტყეში საქართველოს მტრებს ებრძოდა, შევარდნაძემ დაატყვევა პეტრეს მამა, ბატონი გედი. ხუნტა თავისთავად უკანონო ძალაუფლებას წარმოადგენდა და ვერც მათი "სასამართლო" იქნებოდა კანონიერი. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ფორმალური იურიდიული საფუძველის წარდგენაც კი არ ისურვეს. ბატონი გედიც გაუტეხელი კაცი აღმოჩნდა და მასთან წამებითაც ვერაფერს გახდნენ. ამ ავადმყოფმა შევარდნაძემ გელბახიანების სამი თაობა ციხეში გააგზავნა. ესეც არ იკმარა და პეტრე ორი წელიწადი სიკვდილმისჯილთა საკანში ჰყავდა დამწყვდეული. წარმოიდგინეთ, 700 დღის განმავლობაში ყოველდღიურად სიკვდილის მოლოდინში ყოფნა! სასწაული ის იყო, რომ პეტრე

ამგვარი ტყვეობიდანაც სრულიად უბოროტო კაცად გამოვიდა.

პეტრე ფინეთში მესტუმრა და პოლიტიკური თავშესაფარიც მოითხოვა. ჩემთვის ეს არის დაუვიწყარი პერიოდი. ცოტა რამ არის იმაზე მეტად სასიამოვნო, როდესაც თანამოაზრესთან ერთად ცხოვრობ. საქმე ის არის, რომ სანამ ბატონი ზვიადი ცოცხალი იყო, ცუდისა და კარგის გარჩევა იოლი იყო. ზვიადის დაღუპვის შემდეგ ბევრმა ადამიანმა ორიენტირი დაკარგა და მათი შეხედულებებიც უცნაურად შეიცვალა. პეტრე კი სიმართლის მსახურად დარჩა. დაუღალავად იკაჟებდა სხეულსაც და მომავალი ბრძოლებისთვის ემზადებოდა. ფინეთში სულ რამდენიმე თვე გაძლო. გულმა ვერ მოუთმინა და გაზაფხულზე საქართველოში დაბრუნდა.

ახლა საქართველოში დააბიჯებენ გელბახიანთა მეოთხე თაობის შვილებიც, გედი და დათო. ღირსეულ წინაპართა პატიოსანი შთამომავლობა. მუხრან მაჭავარიანს დავესესხები: "იარონ, იარონ, იარონ, ამინ!"

გიორგი გულბანი

ესპოო, 2010 წლის 9 აპრილი,

ბრწყინვალე შვიდეული.

არჩევანი ბრძოლისა და ღირსების სასარგებლოდ

ამქვეყანად მარადიული არაფერია. ადამიანები მოდიან და მიდიან. ჩვენი უპირველესი მოვალეობა კი მათი მარადიული ხსოვნაა. მით უმეტეს, ისეთი განსაკუთრებული პიროვნებების, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს. პარადოქსია ის, რომ წლების წინ მოღალატეებად გამოცხადებულნი, დღეს გმირებად მოიაზრებიან. მე მივესალმები ამ პროცესს და ვაპირებ ამისთვის აქტიურად ვიბრძოლო. ჩვენ შეიძლება არ გვახსოვდეს იმ გმირების სახელები, რომლებიც ორასი წლის წინ მოღვაწეობდნენ და ამას არავინ ჩაგვითვლის სუბიექტურობად, მაგრამ დაუშვებელია იმ პიროვნებების ღვაწლის განგებ მიჩქმალვა, რომლებიც 10-15 წლის წინ წასულან ამ ქვეყნიდან. საჭიროა ამ მეტად სავალალო ფაქტის გამოსწორება, რათა პირნათელნი ვიყოთ ისტორიის წინაშე. კარგია საზოგადოდ იმის განცდა, რომ შენ უბრუნდები ღირსებით აღსავსე წარსულსა და პიროვნებებს.

ჩემი აზრით, ქართული ეროვნული საუნჯის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ზეპირსიტყვიერება, რომელმაც სახალხო ცენზურა გამოიარა, დროსა და სივრცეს გაუძლო. ხშირად მახსენდება ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში, რომელიც წარმოდგენილია ეპოსის სახით და მთელ

კავკავკასიასთან გვაკავშირებს. ყოველივე ეს გასცდა ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინა. აქვე მინდა გამოვკვეთო მზისა და მგლის შთამომავალი ხალხის, კავკასიელების, ხედვა ღირსების საკითხებთან დაკავშირებით, რასაც შესანიშნავად წარმოგვიდგენს ერთ-ერთი მითი. ღმერთმა ჩვენი წინაპარი დევ-გმირები ასეთი არჩევანის წინაშე დააყენა. მათ უნდა აერჩიათ ან სიკვდილი, ან უღირსი შთამომავლობა. ჩვენმა წინაპრებმა უპირობოდ სიკვდილი აირჩიეს. საქართველოს არც ერთი წუთით არ გადაუხვევია არჩეული გზიდან. 90-იან წლებში საკითხი ასე დადგა: ღირსება, ან ყოფითი ცხოვრება და სირცხვილი. ჩვენდა საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ არჩევანი ბრძოლისა და ღირსების სასარგებლოდ გააკეთა. მე მეამაყება რომ ჩვენი პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მოწოდებას, ებრძოლათ ქვეყნის დაცვისთვის, გამოეხმაურა უამრავი ქართველი, რომელმაც თავი გასწირა სამშობლოსთვის. სამწუხაროდ, ისტორიამ ყველა ამ თავდადებული ადამიანის სახელი არ შემოგვინახა, თუმცა ბევრი მათგანის ვინაობა ჩვენთვის ცნობილია. მათ რიცხვს ეკუთვნის პეტრე გელბახიანი.

მას მე ხუმრობით მგლისა და ცხენის შთამომავალს ვუწოდებდი, ვინაიდან ,,გელ" მგელს,

ხოლო ,,ბახ" კი ცხენს ნიშნავდა ძველად. პეტრეზე საუბარი სწორედ ამ სიტყვებით მინდა დავიწყო.

პეტრე გელბახიანის შესახებ პირველად 1992 წლის დასაწყისში გავიგე. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და იმავდროულად, ყველაზე ბედნიერი პერიოდი, ვინაიდან მსოფლიომ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ შეუპოვარ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა პეტრე. ჩვენ პირველად ერთმანეთს ამავე წლის ზაფხულში შევხვდით გროზნოში, სადაც დროებით იმყოფებოდა პრეზიდენტი და მისი უახლოესი გარემოცვა. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბატონი ზვიად გამსახურდიას იქ ჩასვლა ჯოხარ დუდაევის ხელშეწყობით მოხდა. ერთმანეთს სასტუმრო ,,კავკასიაში" შევხვდით, ცოტა მოგვიანებით კი ბატონ ზვიადს გავესაუბრეთ. ჩვენი ვიზიტის მიზანი იყო მნიშვნელოვანი საბუთებისა და რამდენიმე ნივთის ინგუშეთში გადატანა. ჩვენ ჩავსხედით პეტრეს 07 მარკის ავტომობილში და ნაზრანის მიმართულებით გავემართეთ. როგორც კი გავცდით ჩეჩნეთის საზღვარს, დაიწყო უკონტროლო ტერიტორია. სულ მალე გაგვაჩერეს, პეტრეს მართვის მოწმობა, ხოლო მე პასპორტი ჩამომართვეს. პოლიციელებმა მთავარ სამმართველოში წაყვანა დაგვიპირეს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ჩვენს მისიას. საბედნიეროდ, შევძელით მათგან მალულად გზიდან გადახვევა და ამ გზით

თავის დახსნა. ჩვენ მიგვიძღვოდა პოლიციელთა მანქანა. ერთ-ერთ გადასახვევთან თითქოს სასწაული მოხდა, ცხვრის ფარამ გზა გადაგვიჭრა, დრო ვიხელთეთ და გადავუხვიეთ. პეტრე ელვის სისწრაფით მიაქროლებდა მანქანას მისთვის უცნობ გზებზე. შეძლებისდაგვარად ვკარნახობდი საით უნდა წასულიყო და ასე გავედით სამშვიდობოს. არ დავასახელებ იმ პიროვნებების სახელებს, რომლებიც დაგვეხმარნენ ნაზრანში გადასვლაში. მათი მეშვეობით ოსეთში მდებარე სოფელ ტოლაბოვში გადავედით, სადაც ჩემი მეგობარი ჰუსეინი ცხოვრობდა, ძმასთან ერთად. მისი შემწეობით ჩამორთმეული საბუთები დავიბრუნეთ. ჰუსეინის რჩევით ასეთი ამბები მოვიფიქრეთ. პეტრე ექიმი გახლდათ და ვითომ ჩვენ ჰუსეინის ავადმყოფი შვილის გასასინჯად მივდიოდით და ამიტომ ვჩქარობდით ასე ძალიან.

ამ ინციდენტის შემდეგ მე და პეტრე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. იგი 1993 წელს ბაქოში დააკავეს შევარდნაძის ბრძანებით, დააპატიმრეს მისი მამაც, ბატონი გედი, რომელიც სასტიკად აწამეს. ყოველივე ამის გაგება ჩემთვის საკმაოდ მძიმე იყო. მაშინ ოზურგეთში ვიმყოფებოდი. მეგობრებმა რკინიგზა გადავკეტეთ პეტრესა და ბატონი გედის გათავისუფლების მოთხოვნით, მაგრამ ეს აქცია უშედეგო აღმოჩნდა, პეტრე გელბახიანმა 10 წელი დაჰყო ციხეში. მას არ მიუღია რაიმე შეღავათი, ან

შეწყალება. იგი ბოლომდე დარჩა ერთგული თავისი პრინციპებისა და იდეალებისა. აი, ასეთი იყო პეტრე გელბახიანი, საქართველოს საამაყო შვილი.

მერაბ ჩუხუა

ის ყველაფერზე ბავშვივით წითლდებოდა

პეტრე რკინიგზის საავადმყოფოში მისმა ბიძამ ნუგზარ ტატიშვილმა გამაცნო. მაშინ 23-24 წლისა იქნებოდა. კონფერენციაზე ვისხედით, როდესაც შემოვიდა მაღალი, სიმპათიური, ინტელიგენტი ყმაწვილი. ეს გახლდათ პეტრე გელბახიანი. პირველი შთაბეჭილებებიდან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, ყველაფერზე ბავშვივით რომ წითლდებოდა.

თავდაპირველად ყველანი ვამბობდით, რომ ის დიდი პეტრეს შვილიშვილია, გედის შვილი, ნუგზარის დისშვილი, მაგრამ სულ მალე პეტრემ იოლად მოიშორა წინაპართა მომხიბვლელი იარლიყი და საკუთარი სახელი დაიმკვიდრა არა მარტო სამედიცინო სამყაროში, არამედ ქართულ საზოგადოებაში. გამაოცა მისმა თავმდაბლობამ, უბრალოებამ, სითბომ.

არ შემიძლია არ გავიხსენო ეროვნული მოძრაობის წლები, როდესაც ჩვენი საავადმყოფო ამ მოძრაობის ცენტრად იქცა. ამას თაოსნობდა

საავადმყოფოს დირექტორი ანდრო სალაყაია, ბატონი ზვიად გამსახურდიას მეგობარი. პეტრე მოსვლისთანავე ამ მოძრაობის ლიდერი გახდა.

როდესაც სამაჩაბლოში არეულობა დაიწყო, პეტრემ მითხრა, რომ წასვლას აპირებდა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მეგონა, რომ იმ სოციუმში გაზრდილი ყმაწვილისთვის ასეთი იმპულსები უცხოა. მაშინ მივხვდი, რომ პეტრე დიდბუნებოვანი ვაჟკაცი იყო.

მალე დავმეგობრდით. ძალიან კარგი ექიმი იყო. ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მაგრამ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ერთგვარად ხელი შეუშალა მის სამედიცინო კარიერას.

შემდეგ დაიწყო არესტანტული ცხოვრება, რამაც ფიზიკურად დაგვაშორა პეტრე, მაგრამ ჩვენ ისევ აქტიურად ვმონაწილეობდით მის ცხოვრებაში. იმ ავადსახსენებელ და მეტად სახიფათო დღეებში სიკვდილმისჯილი პეტრესთვის ყველა მისმა კოლეგამ დაუფიქრებლად მოაწერა ხელი მისი შეწყალების მოთხოვნას.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ პეტრე სამსახურში აღარ დაბრუნებულა, მაგრამ ჩვენი მეგობრობა გაგრძელდა. მახსენდება "საშემოდგომო" და "საგაზაფხულო" შეხვედრები წავკისში. პეტრე ისეთი ლაღი იყო, თითქოს არც კი გამოევლო უმძიმესი

განსაცდელი. იყო გამორჩეულად მხიარული, თავისუფალი ყოველგვარი რევანშისტული იდეებისგან, იყო დიდსულოვანი, ერთი სიტყვით, ნამდვილი რაინდი. მას ხომ შეეძლო სრულიად უზრუნველყოფილი ცხოვრება ჰქონოდა, მაგრამ რაინდივით ფათერაკებით და განსაცდელით აღსავსე გზა აირჩია.

პეტრეს ახლაც ხშირად ვიგონებ. მახსენდება ის ბედნიერი წლები, როდესაც მერაბ მამაცაშვილი, სოსო კასრაძე, ანდრო სალაყაია, ჩიტო ფოცხვერაშვილი, ალიკო ჯანაშვილი ვიკრიბებოდით. ჩვენი ქეიფი ერთი სანახაობა იყო — ვიღაცა სიმღერას იტყოდა, ვიღაცა ლექსს. იყო ჩვენს შორის პაექრობა. აქედან მე, ანდრო

და სოსო, იქიდან მერაბი, პეტრე და ჩიტო თავიანთი ლექსებით, აქეთ ღვინჯილია, იქით დურმიშიძე. მართლაც რომ, სისხლსავსე ცხოვრებით ვცხოვრობდით.

გადის დაუნდობელი წუთისოფელი და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის მაღალი, სიმპათიური, ინტელიგენტი ყმაწვილი, ყველაფერზე ბავშვივით რომ წითლდებოდა.

ნოდარ მძინარაშვილი

სიკვდილმისჯილის თეთრი ხალათი და საბედისწერო თავისუფლება

თვრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ავაზაკთა ლეგიონი შემოესია საქართველოს და დემოკრატიის გზაზე შემდგარი ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაახვია.

1992 წლის შობის ბრწყინვალე დღესასწაულის ღამეს სამშობლოდან განდევნეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია და ქართველი ერის მიერ არჩეული ხელისუფლება. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში უკუნეთმა დაისადგურა.

რა ვნახეთ?! რა გადავიტანეთ?!

საქართველო სისხლში ცურავდა... ციხეები პოლიტპატიმრებს ვეღარ იტევდა... სისასტიკე,

მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვა — ლამის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად იქცა. თითქოს დედამიწა გადაბრუნდაო! – ქვესკნელი ზესკნელს ჩაენაცვლა, სიცრუე — სიმართლეს. ბოროტება — სიკეთეს, უსამართლობა — სამართალს.

ჩვენ მიწიერი ჯოჯოხეთი ვნახეთ, ნამდვილი ჯოჯოხეთი!

სამწუხაროდ, იმ ავადსახსენებელ პერიოდს უკავშირდება პეტრე გელბახიანის სახელი და საერთოდ გელბახიანების დიდი ოჯახის ტრაგიკული ისტორია.

პეტრე გელბახიანი!

მას არ გაუმართლა. ექიმის თეთრი ხალათის ნაცვლად — სიკვდილმისჯილის ზოლებიანი ხალათი გადააცვა შევარდნაძის დრაკონულმა რეჟიმმა და ახალგაზრდა, დახვეწილი, ელეგანტური მამაკაცი სადღაც, ბნელეთში მოისროლა. ციხის გარეთ დარჩენილი მეცნიერები, მწერლები, სპორტსმენები, მსახიობები, მუსიკოსები, ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეები, შეძლებისდაგვარად, ვცდილობდით ტყვექმნილთა გამხნევებას. ვწერდით საპროტესტო განცხადებებს, ვმართავდით მშვიდობიან მიტინგებს, მანიფესტაციებს... მოვითხოვდით სინდისის პატიმრების განთავისუფლებას.

საპროტესტო განცხადებებს ხელს აწერდნენ: ოლღა დემურია-კოსტავა, ვახტანგ ბოჭორიშვილი,

გიორგი ოჩიაური, ირაკლი ოჩიაური, ელიზბარ ჯაველიძე, ლია ელიავა, ოთარ კობერიძე. ლატავრა ფოჩიანი, თემურ ქევხიშვილი, იზა გიგოშვილი, ელენე საყვარელიძე, ნოდარ წულეისკირი, ლია გუდაძე, ედიშერ გიორგაძე, მუხრან მაჭავარიანი, თინათინ მგალობლიშვილი, ციცი გაბესკირია, მანანა გაბაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, ლერი გოგოლაძე, ვახტანგ მეუნარგია, ოთარ შალამბერიძე, სოსო სიგუა, ზურაბ შანიძე, ოთარ გაბელია, ზაურ კალოევი, გომარ სიხარულიძე, როდამ ჯანდიერი და სხვა და სხვა.

მაგრამ ამაოდ!

ჩვენი ხმა რჩებოდა: "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"...

დრო კი გადიოდა.

1999 წელს პეტრე გელბახიანი ავჭალის კოლონიაში მოვინახულე. ჩემ წინ მაღალი, ნატიფი, სანთელივით ჩამოქნილ-ჩამოძერწილი ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. მისი არისტოკრატული გარეგნობა ვერც სიკვდილმისჯილთა საკანს შეელახა და ვერც ადამიანურ ტანჯვა-წამებას. პეტრეს ზომიერებამ, თავდაჭერილობამ და ელეგანტურობამ აღმაფრთოვანა. კოლონიიდან შესანიშნავი ჯვრითა და განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდი. იმ დღეებში ციხის საკნის გისოსებიდან დანახული სამყაროს ხატვა დავიწყე. თავდაპირველად ნახატის ციხეში წაღება მსურდა, მაგრამ გადავიფიქრე და დღეს ჩემს კედელს ამშვენებს ბნელეთიდან

დანახული თეთრი ტაძრის სილუეტი, მტკვრის ლურჯი კონტური, წითელი მზე, მისტიკური თეთრი ხე და სანახევროდ შემტვრეულ გისოსთან ჩამოკიდებული ლამაზი ჯვარი.

ამ ნახატზე ადამიანის ფიგურა არ ჩანს, მაგრამ პერსპექტივაში პეტრეს იდუმალებით მოსილი სახე მოიაზრება.

ეს ნახატი თავისუფლების წყურვილის ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს — იმ დამადლებული თავისუფლებისა, რომელიც ესოდენ მონატრებული გვქონდა და სამწუხაროდ, დღემდე მონატრებული გვაქვს ქართველებს...

თავისუფლება კი ნაგვიანევად, ფეხაკრეფით მიეახლა პეტრეს საკანს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოსდა ბედისწერა დაუზავდა უთანასწორო ომში ჩათრეულ გელბახიანების ოჯახს, მაგრამ, ვაი, რომ ზავი მოჩვენებითი, დროებითი აღმოჩნდა.

პეტრეს გარდაცვალების ამბავი მეხივით გავარდა თბილისში.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ქვაშვეთის ტაძართან ვნახე. შესანიშნავად გამოიყურებოდა.

სასახლეში ჩასვენებულიც ქართველ ლორდს ჰგავდა.

დაკრძალვის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა ამბროსიმ (ქათამაძე) მისაყვედურა — სად იყავი

დაკრძალვის წუთებში, რატომ არ დაამშვენე პეტრე, სიტყვა რად დაამადლეო?...

ამის გამგონეს გული მომეწურა.

მოგვიანებით, როდესაც თავად მეუფე ამბროსი გარდაიცვალა, შიომღვიმეში დაკრძალვის დროს გამახსენდა მისი სიტყვები და მეუფეს ლექსი წავუკითხე. იმ წუთებში პეტრეზეც ვფიქრობდი.

მთელი გულით მიყვარს და მენანება გელბახიანების ლამაზი, კეთილშობილი ოჯახი.

გულწრფელად თანავუგრძნობ ბატონ გედის, ქალბატონ ნუცას, პეტრეს ულამაზეს შვილებს, მეგობრებს, ახლობლებს...

ვევედრები უფალს, რომ მიუტევოს ცოდვები პეტრე გელბახიანს და გაამწესოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

თინათინ მღვდლიაშვილი

P.S. 2009 წლის 19 ივნისის საღამოა. ჰაერში მოახლოებული წვიმის სურნელი ტრიალებს. თბილისის ცაზე ქათქათა ღრუბელი დაცურავს და რაღაცით სივრცეში მოქათქათე ექიმის თეთრ ხალათს მაგონებს, ექიმისა, რომელსაც არ გაუმართლა და საბედისწერო გზაწვრილზე ქარიშხალი წამოეწია.

* * *

მოგონებები პეტრე გელბახიან-უმცროსზე მორფოლოგიის ინსტიტუტიდან იწყება, როდესაც ის ასპირანტურას ამთავრებდა, მე კი იქ ვმუშაობდი. პირველი შთაბეჭდილება — მაღალი ლამაზი ყმაწვილი, ინტელიგენტი და ინტელექტუალი, საუკეთესოდ აღზრდილი და თავმდაბალი ადამიანი. მახსოვს ოდნავ წელში იხრებოდა, არ უნდოდა ძალიან მაღალი გამოჩენილიყო ზოგადად "საშუალო" ფონზე, ერიდებოდა.

მას დიდი სამეცნიერო პოტენციალი და ექიმის ალღო ჰქონდა. თუ არ ვცდები, ვადაზე ადრე დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია. მე მისი ოპონენტი ვიყავი. იმ დღეს ორი დებიუტი შედგა: პეტრე პირველად იცავდა საკანდიდატო დისერტაციას, მე კი პირველად ვოპონირებდი ქართულ ენაზე (შეგახსენებთ, რომ მაშინ დისერტაციებს მხოლოდ რუსულ ენაზე იცავდნენ, საქართველო კი თანდათან ცვლიდა ამ წესს). მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა პეტრეს დებიუტი, რასაც საკუთარ დებიუტზე ვერ ვიტყოდი, მაგრამ იმ დღის შემდეგ შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, მხოლოდ ქართულ ენაზე გამოვსულიყავი ხოლმე.

პეტრემ მოღვაწეობა თერაპიულ კლინიკაში განაგრძო. ის იყო ისეთივე კარგი თერაპევტ-პრაქტიკოსი, როგორიც მეცნიერ-თანამშრომელი;

განსაცვიფრებელი მონდომებით მუშაობდა სტუდენტებთან. იგი უყვარდათ, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ.

ვხვდებოდით უფრო იშვიათად, მაგრამ სალაპარაკო არ გველეოდა.

მაღალი, ლამაზი, კეთილშობილი ყმაწვილი, ნაღვლიანი თვალებით... მუდამ ასეთად დარჩა ჩემს მეხსიერებაში პეტრე.

პროფესორი ბორის კორსანტია

უსამართლობის მოწმე და მოწამე

ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა შორის გელბახიანების ოჯახი ერთ-ერთი გამორჩეულია. გარკვეული ინტერვალებით, სრულიად უმიზეზოდ და დაუსაბუთებლად დააპატიმრეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი პეტრე გელბახიანი, მოგვიანებით იგივე ბედი ეწია მის ვაჟიშვილს, ცნობილ მედიკოსს, სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის კათედრის გამგეს, გედევან (გედი) გელბახიანს, რომელსაც სრულიად აბსურდული ბრალდება წაუყენეს.

პეტრე (პეტუკა) გელბახიანმა ბავშვობიდანვე იწვნია ჯერ კომუნისტური, ხოლო შემდეგ კი დემოკრატიულად შეფერილი დიქტატორული რეჟიმის მთელი სისასტიკე.

პატარა პეტრე ძალიან სპორტული და ინტერესიანი ბავშვი იყო. მისი მამა გედი თავად იყო სპორტის მოყვარული და დიდ ყურადღებას აქცევდა შვილის ამ მხრივ განვითარებას, როდესაც პეტრეს აღნაგობა გამოიკვეთა, იგი კალათბურთზე მიიყვანეს, მერე მწვრთნელებიც დაინტერესდნენ ამ ბავშვით და ის წლების განმავლობაში თამაშობდა რესპუბლიკის ნაკრებში.

პეტრეს ჰქონდა ყველა მონაცემი იმისთვის, რომ გამხდარიყო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და სპორტის მესვეურებს ეშინოდათ, რა რეაქცია ექნებოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას, როდესაც ხალხით გადავსებული დარბაზი პეტრე გელბახიანის სკანდირებას დაიწყებდა. დიდი ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, არ გაერისკათ და ის ნაკრებს ჩამოაშორეს.

პეტრემ წარმატებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და მთლიანად გადაერთო მედიცინაში; ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია. ასე წარმატებულად დაიწყო მისი სამედიცინო კარიერა. მას დიდი მომავალი ელოდა, რომ არა ის ავბედითი მოვლენები: უსამართლობა, ცილისწამება და სასტიკი განაჩენი, სიკვდილმისჯილთა საკანი...

მაშინ ვერც ერთმა სამართალდამცავმა სტრუქტურამ ვერ გაბედა, დაეყენებინა საკითხი მისი საქმის გადახედვის შესახებ, პირველ პირს კი,

შესაძლოა, არც ახსოვდა ან არ იწუხებდა თავს ამაზე ფიქრით.

ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ პატიმრობას თავი დააღწია ბატონმა გედიმ, ხოლო შემდეგ პეტრე უმცროსმაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ცოცხალი აღარ დახვდათ მამა და ბაბუა, დიდი პეტრე გელბახიანი, რომელსაც განგებამ (თუ პიროვნებამ) მიუსაჯა — მოსწრებოდა შვილისა და შვილიშვილის პატიმრობას.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ პეტრემ ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია – "ბავშვები – ჩვენი მომავალია." მონდომებითა და სიყვარულით მოეკიდა ამ მეტად საჭირო, სასიკეთო და ამასთან საპასუხისმგებლო მოვალეობას და მაშინ, როდესაც მან ეს ორგანიზაცია ფეხზე დააყენა და მისი მუშაობის შედეგებიც გამოჩნდა, ყველასთვის მოულოდნელად, უმტყუნა გულმა და სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში სულ უსამართლობის მოწმე იყო.

დიდი ტრაგედია დატრიალდა პეტრეს ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, ნათესავებისთვის, ქვეყანამ კი დაკარგა სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი, თავდადებული ადამიანი, რომელსაც კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო თავისი სამშობლოსთვის.

გურამ ტატიშვილი

* * *

ძნელია, ისაუბრო ახალგაზრდა კაცზე, მით უმეტეს, წარსულ დროში, მაგრამ ასე მოხდა, ის ჩვენთან აღარ არის. პეტუკა აღარ არის!

უეცარმა სიკვდილმა მოუშუშებელი ტკივილი მოუტანა არა მარტო მის ოჯახს, ცოლ-შვილს, არამედ ყველა ჩვენგანს.

პეტრეს ბავშვობიდან ვიცნობდი. მას არა მარტო რუსულ ენას ვასწავლიდი სკოლაში, არამედ მისი კლასის დამრიგებელიც ვიყავი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, არ მახსოვს, რაიმე პრობლემა მქონოდეს მასთან. ის უკონფლიქტო, მეგობრული, კეთილშობილი, საოცრად თბილი და საუკეთესოდ აღზრდილი ყმაწვილი იყო.

სამწუხაროდ ბავშვობიდანვე ბევრის გადატანა მოუხდა, ამიტომაც ხშირად მოწყენილი იყო, მაგრამ ამას არასდროს ავლენდა.

როდესაც პეტრეზე ვსაუბრობ, არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი მდიდარი სულიერი სამყარო, ინტელექტი, მრავალმხრივი ერუდიცია, თანაც საუკეთესო მოსწავლე და ძალიან წიგნიერი ადამიანი იყო.

ის ყველას უყვარდა — პედაგოგებსაც და ამხანაგებსაც.

პეტრემ ნათელი ხსოვნა და დიდი სიყვარული დაგვიტოვა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ მისთვის.

კლასის დამრიგებელი ჯულია გოგიტიძე

აკი ასე იცხოვრა თავად

რაოდენ წარმოუდგენელია, რომ დღეს პეტრე უნდა მოვიგონო, ჩემი განუყრელი მეგობარი, რომლის წასვლამაც ამ ქვეყნიდან ასე მატკინა გული. მოსაგონარი კი მართლაც ბევრია.

ის დრო იყო, როდესაც სამაჩაბლოში სიტუაცია დაიძაბა და, რა თქმა უნდა, პეტრეც იქ წავიდა ქართული მიწა-წყლის დასაცავად. აქ დარჩენილები ძალიან ვნერვიულობდით მის გამო. ერთ საღამოს სახლში მომადგა ვიღაც უცნობ ახალგაზრდა ქალსა და ბავშვთან ერთად. ამიხსნა, რომ ისინი ოსი ეროვნებისა იყვნენ, ბავშვს ბრონქული ასთმა აწუხებდა და ბოლო დღეებში მდგომარეობა საკმაოდ გამწვავებოდა. მათ თურმე საჭირო წამლები ვერსად ეშოვნათ და დახმარებისთვის ქართველი მეომრებისთვის მიემართათ. პეტრემ ისინი თბილისში ჩამოიყვანა. აქაც ძალიან გაგვიჭირდა ყველა მედიკამენტის შოვნა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ და გახარებული დედა-შვილი სამაჩაბლოში გავისტუმრეთ.

ერთხელ მე და “გრძელმა” (ასე ვეძახდით მეგობრები სიმაღლის გამო) გადავწყვიტეთ, ჩემს სარდაფში კომერციული მცირე საწარმო გაგვეხსნა. ელიავას მუშათა ბირჟაზე რამდენიმე ახალგაზრდა დავიქირავეთ, სარდაფი რომ დაგვესუფთავებინა. ერთ-ერთმა მათგანმა საინტერესო ამბავი მოგვიყვა, რომელიც რამდენიმე დღის წინ გადახდენოდა: ბირჟაზე ერთი შავებში ჩაცმული ქალი მისულა და 4 ბიჭი დაუქირავებია, თურმე ქალს ქმარი მოჰკვდომოდა და ბიჭები სწორედ მის გასასვენებლად სჭირდებოდა. ბინაში მისულებს, საოცარი სიმდიდრე დახვდათ, მაგრამ არც სანათესავოში და არც სამეგობროში ადამიანი არ მოიძებნა, რომელიც ამ რიტუალს შეასრულებდაო.

პეტრე გაოცებული ისმენდა ამ ამბავს, მერე შემომხედა და მითხრა — ბიჭო, სახლში მუზეუმი ჰქონიათ და გამსვენებელი ველარ იპოვეს?! ეტყობა მთელი ცხოვრება სიმდიდრის მოხვეჭას მოახმარა, ნათესავ-მეგობრები კი დაკარგა. ეგეთ სიმდიდრეს სიღარიბე არ სჯობს. კაცმა ისე უნდა იცხოვრო, ბირჟის მუშის გასასვენებელი რომ არ გახდე.

აკი ასე იცხოვრა თავად პეტრემ. თან უამრავი ცრემლი, გულისტკივილი და სიყვარული წაიღო.

ვანო (ჩიტო) ფოცხვერაშვილი

ჩემო ძვირფასო პეტრე!

დიდი ხანია მინდოდა პეტრე გელბახიანის შესახებ დამეწერა. ჩვენმა მეგობრობამ დიდი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაზე და პეტრეს დაღუპვა კი დიდი ტრაგედია იყო არა მარტო ჩემთვის.

როდესაც პეტრე პირველად ვნახე, მისი საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ, ჩემზე ამ ადამიანმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამდენი ხნის წამების შემდეგ, როდესაც მან რამდენიმე წელი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა, ოდნავადაც არ გაბოროტებულა, საოცრად ანათებდა სიკეთითა და სითბოთი. თავდაპირველად გამიჭირდა კიდეც დაჯერება. შეუძლებელია, ადამიანმა ამდენი ხანი ციხეში გაატაროს და ერთგვარი დაღი მაინც არ დაესვას მის ბუნებას. პეტრე სავსე იყო სიყვარულის ენერგიით და მანაც, ჩემდა გასაკვირად, თავისი ენერგია უმშობლოდ დარჩენილ ბავშვების გადარჩენაზე გადაიტანა. პეტრეს გამოჩენამ ამ სფეროში ნამდვილად დიდი ძვრა მოახდინა — უამრავი კარგი რამ გაკეთდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ნამდვილად უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს, რომელიც პირველივე დღეებიდან ჩაუდგა სათავეში ამ ინიციატივას და პეტრესთან ერთად, უამრავ ახალგაზრდას გაუწოდა დახმარების ხელი.

საოცარი იყო თვით პეტრეს მონდომება — დახმარებოდა მიტოვებულ და მიუსაფარ ბავშვებს. ადამიანი, რომელიც ვერ გააბოროტა ამდენი ხნის დევნამ, შევიწროებამ, წამებამ და ის, საპყრობილიდან განთავისუფლებული, შემდეგაც მუდმივად ფიქრობდა, ისე, როგორც ეკადრება დიდი ქართველი სამედიცინო ოჯახის წარმომადგენელს. ჩემ თვალწინ პეტრემ რამდენიმე ღამე მიუსაფარ ბავშვებთან ერთად გაატარა და ყველანაირად ეცადა, რომ 2005 წლის ზამთარში, თბილისში დამდგარი ყინვების პერიოდში, არც ერთი ბავშვი არ დარჩენილიყო თავშესაფრის გარეშე.

ჩვენ შორის საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მე ხშირად ვეკითხებოდი, თუ რატომ არჩია მან ბავშვებთან მუშაობა პოლიტიკურ კარიერას ან კი სარფიან ბიზნესს. ერთხელ, როდესაც დიდხანს ვსაუბრობდით ამ თემაზე, მან დაუფარავად მითხრა: "ირაკლი, იცი, მე პირველ რიგში მინდა ამ ბავშვებს დავეხმარო — ხანდახან ჩემს თავსაც ბავშვად ვგრძნობ. არ ვიცი, ეს ჩემი ნაკლია თუ ღირსება."

საუბედუროდ, პეტრემ ძალიან ახალგაზრდამ მიგვატოვა. ამ ამბის გაგების შემდეგ რამდენიმე დღე აბსოლუტურად თავზარდაცემული დავდიოდი ნიუ-იორკში. ადამიანი, რომელსაც უხაროდა ცხოვრება და რომელიც ხალასად ხვდებოდა ყოველ დილას, აღარ არის; ადამიანი, რომელსაც სჯეროდა სიყვარულის და

რომელიც საოცრად მგრძნობიარე იყო. ადამიანი, რომელსაც უპატრონო ბავშვების დევნაში გატარებული ღამე ერჩივნა მონტე-კარლოსა და მაიამის კომფორტს.

მომღიმარი პეტრე გელბახიანი ჩემთვის მუდამ ასეთად დარჩება. დიდი შვება ისაა, რომ ჩემმა საყვარელმა მეგობარმა და ძმამ ნამდვილად საამაყო შთამომავლობა დაგვიტოვა გედუნასა და დათის სახით და დღესაც ეს დიდი გვარი ღირსეულად გრძელდება. ამით ვინუგეშებთ თავს მისი მეგობრები, ვინც უზომო დანაკლისი განიცადა მისი წასვლით.

ირაკლი კაკაბაძე

ხალისიანი ცხოვრების
თანამდევი კურიოზები

ცხოვრება ყველა ადამიანს თავის წილ განსაცდელს უმზადებს და მას ყველა ინდივიდუალურად აღიქვამს, თუმცა ერთ საკითხში ყველა თანაზიარია – ეს ახლობელი ადამიანის უდროოდ წასვლაა ამ ქვეყნიდან.

ჩვენს სამეგობროსაც მიეცა ამგვარი განსაცდელი — პეტრეს გარდაცვალება, რამაც უფრო დაგვაახლოვა — ამჯერად უხილავი უარყოფითად დამუხტული ძაფებით.

არადა, სტუდენტობის წლები, როდესაც "ერთად ვსუნთქავდით", იმდენად მრავალფეროვანი და სიხარულით სავსე იყო, რომ ცოტას თუ ექნება ამდენი რამ მოსაგონარი. სამეგობროში პეტრე ცენტრალური ფიგურა იყო თავისი ადამიანური, პიროვნული, კაცური ღირსებებით.

ჩემი მოგონებები პირველი კურსის პირველივე დღეებიდან იწყება და გელბახიანების წყნეთის კარმიდამოს უკავშირდება. წყნეთური ხელოვნური თუ ბუნებრივი არდადეგები უწყვეტ ფონად გასდევდა ჩვენს სტუდენტურ "მშფოთვარე" ცხოვრებას, რაც ხან პირველი თბილისობის აღნიშვნითა და ღობეზე გადახტომით გამოიხატებოდა, ხან კი პირველი "ნადიმობის" წამოწყება-დაგვირგვინებით.

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, ჩვენს ცხოვრებაში გიას საკუთარი "ზაპოროჟეცი" და შესაბამისად,

მოტორიზებული ელემენტები შემოვიდა. ყოველ დილას ჩვენი "ზაპიკა" ბარნოვის ქუჩის მცხოვრებლებს ლექციებზე მიაგელვებდა. მაგრამ მგზავრების რაოდენობა მხოლოდ გიათი, პეტრეთი, მანანათი, ფასკოთი როდი შემოიფარგლებოდა. ლექციიდან ლექციაზე, კორპუსიდან კორპუსში მგზავრების რიცხვი ექვსამდეც კი იზრდებოდა. ლექციებს შორის შესვენება 20-30 წუთი იყო, ჭამას ვერ ვასწრებდით, ამიტომაც ჩვენი დედები მონაცვლეობით ზრუნავდნენ ჩვენს კვებაზე, დეიდა ნუცასა და დეიდა იზას ცხელი სასმელებით ჩვენი მომარაგება ევალებოდათ. საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე ზაპოროჟეციდან გადმოსვლის სცენა. ჯერ კუნთსავსე ცაგარეიშვილი გადმოვიდოდა, მას მოჰყვებოდა პეტრე. ის გადმოსვლისას ნელ-ნელა იშლებოდა, რაც აღარ და აღარ მთავრდებოდა და თვითმხილველთა მზერაც პეტრეს სიმაღლის ზრდასთან ერთად თანდათან ზევით მიდიოდა, შემდეგ იწყებოდა "მეორე სერია" და გადმოდიოდა მანქანიდან ერთი, ორი, სამი, ოთხი (ზოგჯერ მეტი) გოგონა. პროპედევტიკის ლექცია-პრაქტიკულებზე მისვლისას, ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს დარაჯები მხიარულად მოგვაძახებდნენ ხოლმე — პატარა ბიჭი მოვიდაო.

განსაკუთრებული იყო ზამთრის პერიოდი, როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებას გიას თოვლისადმი ლტოლვა და, შესაბამისად,

თხილამურები ემატებოდა. ეს მუხტი უპირველესად მის მეგობრებზე გადმოდიოდა და ასე გამდიდრდა ჩვენი სტუდენტური ცხოვრება ზამთრის პეიზაჟებით. იმხანად არსებული კინოაპარატის მეშვეობით თითქმის ყველა მნიშვნელოვან მომენტს ვაფიქსირებდით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფირისთვის მრავალი წელია თვალიც კი არ შეგვივლია, თითოეულ ჩვენგანს დღესაც ახსოვს თხილამურებზე დამდგარი პეტრე, ლურჯ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი, თავზე თეთრი ქირურგიული "კალპაკით". ასეთივე სასაცილო და დაუვიწყარი "კადრი — მოგონება" იყო პეტრეს ხილვა სამხედრო კათედრის მიერ ორგანიზებულ ჯარის ერთთვიან

კურსებზე ბათუმში — იმდენად, რამდენადაც მისი ზომის (უფრო სწორად სიგრძის) ტანსაცმელი სამხედრო ნაწილში ვერ მოიძიეს, მას დართეს ნება — კედებში და ბრიჯებივით მოკლე სამხედრო შარვალში მოეხადა სამხედრო ვალდებულებები.

ისე ვყვებოდით და ვიხსენებდით მხიარულ ამბებს, თითქოს ჩვენს ცხოვრებას იუმორით სავსე დღეები ავსებდა მხოლოდ. სესიების დროს იწყებოდა საგნის მომზადებისთვის დახარჯული დღეების ათვლა. აქ წინა პლანზე წამოიწევდა ხოლმე პეტრეს უსაზღვრო გონებრივი შესაძლებლობები. გამოცდის მსვლელობისას ყველა, უკლებლივ, ვგრძნობდით იმ მოწიწებულ პატივისცემას, რომელსაც გელბახიანების ოჯახის მიმართ გამოხატავდა ქართული სამედიცინო საზოგადოება. თუმცა მათი სასიამოვნო განცვიფრება პეტრეს მომზადების დონის, გონიერებისა და ხალასი ნიჭის გამომჟღავნების შემდეგ ისე გვაქვს ჩარჩენილი გონებაში, როგორც ჩვენი ხალისიანი ცხოვრების თანამდევი კურიოზები.

შეგნებულად არ გვინდა შევჩერდეთ იმ პერიოდზე, რომელიც საზოგადოებისთვის ისედაც კარგად არის ცნობილი. მხოლოდ ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პეტრე თავისი ცხოვრების მძიმე ჟამს მოვლენილ ყველა განსაცდელს ვაჟკაცურად გაუმკლავდა.

რვაწლიანი პატიმრობის შემდეგ მისი ნახვა შესაძლებელი გახდა ზონაში. მთელი გზა ჩუმად, უსიტყვოდ მივდიოდით მასთან შესახვედრად. ალბათ, ყველა ჩვენგანი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა — როგორ არ შეგვემჩნია დაძაბულობა. პაემანის ოთახში თავისი ჩვეული რიხითა და ხალისით შემოვიდა. სულ იმას ცდილობდა, ყველა შეკითხვაზე სიღრმისეულად და დაუფარავად ეპასუხა.

იმ წუთებში ისევ უდარდელი სტუდენტობა გაგვახსენდა, თითქოს არც არაფერი მომხდარა...

მაგრამ ბოლოს გატყდა, როდესაც ერთმანეთს უნდა დავშორებოდით და იგი მავთულშემოვლებული ჭიშკრის მიღმა უნდა დარჩენილიყო. მაშინ კი დაეტყო ის განცდა, რომელსაც ასე გულმოდგინედ გვიმალავდა. უეცრად გატრიალდა და სწრაფად წავიდა. სწორედ მაშინ ვიგრძენით განშორების მთელი სიმძიმე.

მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ეპიზოდი კვლავ ამოტივტივდა ჩვენს გონებაში და რაღაც მიწიერი თუ სულიერი წყალგამყოფის ფორმა მიიღო. მას შემდეგ სულ ამაზე ვფიქრობთ — ჩვენ უფრო გვიჭირს უმისობა თუ მას უჩვენობა, უმეგობრობა, უოჯახობა, უშვილობა, უამქვეყნობა?!...

გია ცაგარეიშვილი, ნანა სებისკვერაძე (ფასკო), მანანა ღუდუშაური, ნინიკო მამუჩაშვილი, ირინა რევაზიშვილი და მაკა ბაქრაძე

ჩემო პეტრე!

გადავწყვიტე, წერილი მოგწერო. გავიხსენო ჩვენი გაცნობიდან დღემდე შენთან დაკავშირებული ამბები. ერთმანეთი წყნეთში ბავშვობაში გავიცანით. რა კარგი ბავშვობა გვქონდა, არა?! გახსოვს, როგორ ვიკრიბებოდით და ტატო კოტეტიშვილი კინოაპარატით იღებდა ამ ბედნიერ წლებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ წყნეთში აღარ შევხვედრილვართ. ამის მიზეზი მეც მქონდა და შენც. გავიდა რამდენიმე წელი და ჩვენ სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარეთ, ერთ კურსსა და ჯგუფში აღმოვჩნდით. ჩვენი IV ჯგუფი ცნობილი იყო, როგორც "ელიტარული." რატომ? დღემდე არ მესმის. არადა, ეს ჯგუფი თურმე ცხონებულ ბესო გოგოლიშვილს შეუდგენია. იცი როგორ? სტაჟისთვის დეკანატში მუშაობდა, როცა ჩავაბარეთ, მას დაავალეს ჯგუფების დაკომპლექტება. ბესომ სურათებისა და პირადი საქმეების მიხედვით შეადგინა ე.წ. "IV ელიტარული ჯგუფი." იმ დროს ელიტარული არავინ და არაფერი უნდა ყოფილიყო, მოკლედ, რექტორმა და დეკანმა ბევრი იმსჯელეს და ჩვენი ჯგუფის დაშლა გადაწყვიტეს. მახსოვს, ინსტიტუტის წინ მაღაზია "ათას წვრილმანში" გადავედით მთელი ჯგუფი და შენი ინიციატივით სასტვენები ვიყიდეთ და დეკანატის შენობისკენ გავეშურეთ. ერთი საათი პროტესტის ნიშნად ვუსტვენდით! ჯგუფი მაინც დაშალეს.

გაბრაზებულებმა გადავწყვიტეთ ქეიფი, რომელიც თქვენთან, წყნეთში ნუცა დეიდამ გაგვიმართა. ძალიან კარგი დრო გავატარეთ და იმ დღიდან ძალიან დიდი, ერთგული სამეგობრო შევქმენით, რომელმაც ბევრ ჭირ-ვარამს გაუძლო.

მახსოვს, ლათინურს რომ ვსწავლობდით, რაღაც სიტყვას ჟღერადობის მიხედვით აარჩევდი და იმდენჯერ იტყოდი, რომ ის ლათინური სახელწოდებები დღესაც მახსოვს. გარეგნული თუ შინაგანი მონაცემების მიხედვით ზოგიერთ ჩვენს მეგობარს ზედმეტი სახელიც კი შეარქვი და ისე ზუსტად, რომ მათ დღესაც ასე მივმართავთ.

რა კარგი ახალგაზრდობა გვქონდა. შენ, რომ მანქანით გამოგვივლიდი გოგონებს და გვასეირნებდი წყნეთში, პანტიანში, ფასანაურში. იცი, რა გამახსენდა? ინსტიტუტის ეზოში ვიდექით და ვლაპარაკობდით, უცებ პატარა ბავშვი მოვიდა, შარვლის ტოტზე ჩამოგქაჩა და გკითხა: — ,,ბიძია, ბიძია, ზემოთ როგორი ამინდია?''

გახსოვს, ცაგოს წითელი ზაპოროჟეცით რომ დადიოდი და ყველა გაოცებული გიყურებდა?! ეს ორმეტრიანი კაცი ზაპოროჟეციდან, რომ გადმოდიოდი და სულ ხუმრობდი — ახლა ჩავიცვამ ამ "ზაპოს" და წავიდეთ სასეირნოდო.

ჩვენი სამეგობროდან და კურსიდან პირველი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი იყავი, რითაც ძალიან ვამაყობდით. მერე, მე და შენ ერთ სამედიცინო

დაწესებულებაში ვმუშაობდით. როგორი ენთუზიაზმით ვსინჯავდით პაციენტებს, ერთმანეთს ვეხმარებოდით, დიაგნოზზე ვკამათობდით. რამდენი გაჭირვებული პაციენტი მომიყვანია ექოსკოპიაზე შენთან. არ მახსოვს, ერთხელ მაინც რომ უარი გეთქვას — არ მცალია, დაღლილი ვარო...

გამახსენდა, გემით ფინეთში რომ უნდა წავსულიყავით. ახალ წელს უნდა შევხვედროდით გემზე. გახსოვს, როგორ გვიხაროდა, რა ბედნიერები ვიყავით. უცებ ძლიერი ღელვა ატყდა, ყველა ცუდად გახდა, ერთადერთი შენ იყავი ფეხზე და ყველასთან სათითაოდ შედიოდი და ეხმარებოდი. ხუმრობით ამბობდი — ისეთი მაღალი ვარ ჩემამდე ღელვა არ აღწევსო.

ალბათ, ძალიან მომენატრე და იმიტომ მახსენდება ასეთი დეტალები, ამდენი ამბავი, ამდენი ტკივილი.

საშინელი წლები იყო. გვიან ღამით

ტელეფონის ზარი გაისმა და ეს შენ იყავი ბაქოდან. ყველაფერს დაწვრილებით მეკითხებოდი — "მართლა რიგებია პურზე, მართლა შუქი დღეში ორი საათით გაქვთ, მართლა ტრანსპორტი არ დადის ქალაქში?" მე კი შენი ხმის გაგონებაზე გავოგნდი. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მიუხედავად სიფრთხილისა, ჩემი ტელეფონი ისმინებოდა. კიდევ ორჯერ დამირეკე, გახსოვს რა მითხარი? ყოჩაღ, ყურმილს რომ არ მიკიდებო, ბევრი ჩემი მეგობარი შიშის გამო

არ დამელაპარაკაო. ალბათ, არ ღირს ამ პერიოდის გახსენება, მაგრამ აქაც ხომ შენი ხასიათი და მებრძოლი სული ჩანს.

ამ პერიოდში შენი გედუნა პატარა იყო და მეკითხებოდა რაღაცებს შენ შესახებ. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, მხოლოდ ეს ვუთხარი — ყველაფერს მემატიანე დაწერს-თქო, ბავშვს თვალები გაუფართოვდა და მკითხა — მითხარი სად ცხოვრობს მემატიანე, უნდა მივიდე და ყველაფერი ვკითხოო.

მძიმე მოგონებად დამრჩა, ავჭალის ციხეში შენთან რომ მოვედით მე და ქეთი მგელაძე. მძიმე იმიტომ, რომ შენ გნახე გაუსაძლის პირობებში. მაგრამ მანუგეშა იქ მყოფთა შენდამი დამოკიდებულებამ, პატივისცემამ. მაშინ დავრწმუნდი, რომ იქ ყოფნამ, უმძიმესმა წლებმა კი არ გაგაბოროტა, პირიქით დიდსულოვანი და კეთილშობილი გაგხადა. ყველაზე და ყველაფერზე ინტერესით გვესაუბრე და იმედიც ჩაგვისახე.

განსაკუთრებული დამოკიდებულება გქონდა უსახლკარო, უპატრონო ბავშვებისადმი. მართლა გტკიოდა და გციოდა მათთან ერთად. ყველაფერს აკეთებდი, რომ მათთვის მცირედი სიხარული, სითბო გეგრძნობინებინა, რა დიდი სიყვარულით წაიყვანე ეს ბავშვები გონიოში. რა მადლი მოისხი. რამდენიმე ბავშვმა იქ ოჯახიც კი შეიძინა. ყოჩაღ! ამის გაკეთება ხომ ყველას არ შეუძლია.

არ ვიცი, კიდევ რა მოგწერო. ძალიან გვაკლიხარ! ძალიან გვიყვარხარ!

მარიკა დათუაშვილი

კიდევ ბევრი რამ გვქონდა ერთმანეთისთვის სათქმელი

სანამ პეტრეს პირველად შევხვდებოდი, მის შესახებ ბევრი რამ გამეგონა. თბილისი თავისებური ქალაქია, ბევრ მართალს გაიგებ და უფრო მეტ — მოგონილს. მისი გაცნობის განსაკუთრებული სურვილი გამიჩნდა და მასთან საუბარი მომინდა, მაგრამ ასეთი შემთხვევა მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მომეცა. ეს მოულოდნელად მოხდა ჩემთან, ოჯახში. მისი დანახვისთანავე ვიგრძენი, რომ ის მოგონილი ამბები, ქალაქში რომ ამბობდნენ მის შესახებ, მტკნარი სიცრუე იყო. ეს ადამიანი საოცრად გულწრფელი და ამასთანავე მორიდებული, ბავშვივით მიუსაფარი ჩანდა. ბევრს არ ლაპარაკობდა, მაგრამ საოცრად ბევრს გაგრძნობინებდა. უფრო კეთილგანწყობას ასხივებდა მისი თვალები, ვიდრე გაბოროტებას, თუმცა ბევრი ისეთი რამ გადახდა ცხოვრებაში, ადვილი შესაძლებელი იყო, ღვარძლსა და ბოროტებას დაეჩაგრა. შემდეგ უფრო დავახლოვდით. მისმა ახალმა საქმიანობამ უფრო დაგვაახლოვა. მიუსაფარ ბავშვთა დახმარების ფონდში ისეთი გატაცებით

შეუდგა მუშაობას, თითქოს გრძნობდა, რომ მოსასწრები ჰქონდა სიკეთის ქმნა.

როგორც მოულოდნელად შევხვდი, ისე მოულოდნელად შევიტყვე მისი გარდაცვალება. ძალიან დამწყდა გული. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვქონდა ერთმანეთისთვის სათქმელი და გასაკეთებელი.

მურმან ჯინორია

პატიება ერთხელაც კი არ უთხოვია

ვერასდროს წარმოვიდგენდი, მოსაგონრის წერა რომ მომიხდებოდა იმ ადამიანზე, რომელიც სტუდენტობიდან მოყოლებული ჩემი სულის ნაწილი, უახლოესი მეგობარი, გვერდზე მდგომი, ჩემი ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო.

პეტრე გელბახიანთან მეგობრობა ყოველთვის საამაყო იყო და იქნება ჩემთვის, მაგრამ უდიდეს ტკივილს განვიცდი, წარსულ დროში რომ მიხდება მასზე საუბარი. აღარ მყავს გვერდით ყველაზე გულისხმიერი, ერთგული, ვაჟკაცური ადამიანი, რომელიც რაიონიდან ჩამოსულ პირველკურსელ ბიჭს, რომლისთვისაც თბილისური ცხოვრება უცხო იყო, ძმასავით გვერდში დამიდგა (მიუხედავად იმისა, რომ

უმცროსი იყო) და მას შემდეგ, სანამ შეეძლო, გვერდიდან აღარ მომშორებია.

პეტრე გელბახიანის სახელი მთელ საქართველოში ცნობილია. ყველას მოეხსენება, როგორი მტკიცედ, ქედმოუხრელად იტანდა განსაცდელს, გამოუთქმელ ტანჯვას სიკვდილმისჯილთა საკანში, ისე, რომ ჯალათებისთვის თავისუფლების სანაცვლოდ პატიება ერთხელაც კი არ უთხოვია. ან კი რა ჰქონდა მათი საპატიებელი. ისე გამოვიდა ციხიდან, მის სახელს მცირედი ჩირქიც კი არ მოსცხებია.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო — ეს სწორედ პეტრეზეა ნათქვამი; შესანიშნავი გარეგნობის, წარმოსადეგი, სპორტული აღნაგობის, სიარულის მოხდენილი მანერით, განათლებული, დახვეწილი გემოვნების პატრონი, ნამდვილი ინტელექტუალი უდიდეს სიმპათიას იწვევდა ყველაში, განსაკუთრებით კი მანდილოსნებში. ამის გამო ხშირად მითქვამს: "ჩემთან არ იარო, თორემ უცოლოდ დავრჩები." ამაზე ეღიმებოდა და მპასუხობდა: "თავს ნუ იკატუნებ, არც შენ გაკლია გოგონების ყურადღება."

ყველაფერი აინტერესებდა პეტრეს რაც საქართველოსა და ქართველებს ეხებოდა. მახსოვს ჯერ კიდევ პირველ კურსზე ვიყავით, როდესაც მთხოვა, მეგრული მასწავლეო. ჩავეკითხე, რატომ

უნდოდა მეგრულის სწავლა, მიპასუხა: ყველა ქართველმა ცოტ-ცოტა მეგრული და სვანური აუცილებლად უნდა იცოდეს, რადგან ეს ზოგადქართველური ენებიაო. ძალიან გამიხარდა და ხალისით შევუდექი პედაგოგიურ საქმიანობას, არც ჩემი საყვარელი მოწაფე აღმოჩნდა ზარმაცი და სულ მოკლე დროში ისე აითვისა მეგრული, რომ დამამთავრებელ კურსზე მეგრულად თავისუფლად ლაპარაკობდა.

ხშირად მიფიქრია, რამ განაპირობა მისი ასეთი განსაკუთრებულობა, კეთილშობილება, დიდი ქართველობა?! უცხოთათვის, შეიძლება ეს ამოუცნობი დარჩეს, მაგრამ მე კარგად ვიცნობდი მის ოჯახს, მის მშობლებთან ახლო ურთიერთობა მქონდა, ამიტომაც შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ გედისა და ნუცა გელბახიანების შვილი სხვანაირი ვერ იქნებოდა. რა არ გადაიტანეს ამ ადამიანებმა: დაუმსახურებელი ტკივილები, დევნა, შევიწროება, მაგრამ სულიერად ვერ გატეხეს ეს გამორჩეული ოჯახი.

პეტრეს არ უყვარდა საკუთარ თავზე ლაპარაკი, არც წუწუნი. მახსოვს ბოლო კურსზე სამხედრო შეკრებაზე ვიმყოფებოდით ბათუმში. რუსული სამხედრო ხელმძღვანელობა გადაეკიდა პეტრეს და მისი შეკრებიდან გარიცხვა მოინდომა, რაც ინსტიტუტიდან გარიცხვის ტოლფასი იყო. ეს ვერ

მოახერხეს მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი ინიციატივით (და ამით ყოველთვის ვიამაყებ) მთელმა სტუდენტობამ პროტესტი გამოაცხადა.

უსასრულოდ შემიძლია პეტრეზე საუბარი, ახლაც თვალწინ მიდგას მისი სახე, მაგრამ უდიდესი ტკივილი ახლავს ყველა ჩემს სიტყვას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩემო პეტრე, იხაროს და იდღეგრძელოს შენმა მომავალმა.

ნოდარ ნოდია

* * *

ჩვენი ოჯახების ურთიერთობა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, იგი დაიწყო ბატონების პეტრე გელბახიანისა და ევგენი ბაქრაძის ახლობლობით. ეს ურთიერთობა გააგრძელეს მათმა შვილიშვილებმა — პეტრემ და საშიკომ. ისინი თანაკლასელები და განუყრელი მეგობრები იყვნენ.

ცხოვრებაში პირველი უმძიმესი დარტყმა პეტრემ საშიკოსა და ლევან ლიპარტელიანის ამ ქვეყნიდან უდროო წასვლით მიიღო. ეს ტრაგედია ვაკის საცურაო აუზში მოხდა. პეტრემ ორი უახლოესი მეგობარი დაკარგა თოთხმეტი წლის ასაკში. ამის შემდეგ მას არ გაუწყვეტია კავშირი მეგობრების ოჯახებთან.

პირადად ჩვენთვის, იგი გახდა ოჯახის უახლოესი წევრი, შვილივით ახლობელი. მისი ყოველი მოქმედება მიმართული იყო იმისკენ, რომ მაქსიმალურად შეემსუბუქებინა ჩვენთვის საშიკოს უდროოდ წასვლით გამოწვეული ტკივილი. ყოველთვის ვგრძნობდით მის ზრუნვასა და თბილ დამოკიდებულებას. საშიკოს მამას, უკურნებელი სენით დაავადებულ გიას, პეტრე შვილივით ევლებოდა თავს და მზრუნველობას არ აკლებდა.

გელბახიანების დიდი ოჯახისა და პირადად პეტრეს ცხოვრება ტრაგედიების უწყვეტი ჯაჭვია, რაც მთელი საქართველოსთვის არის ცნობილი. მაგრამ მავანის მცდელობის მიუხედავად, გამოვლილ ჯოჯოხეთს არ გაუბოროტებია. პირიქით, პეტრე უფრო ძლიერი, განწმენდილი და კეთილშობილი

დაბრუნდა. ოჯახს, საზოგადოებას, მეგობრებს კვლავ უანგაროდ აძლევდა დიდ სიყვარულს.

მისი უდროოდ გარდაცვალება ჩვენთვის ჭრილობის გახსნისა და შვილის დაკარგვის ტოლფასია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს პეტრეს კეთილშობილი სული!

საშიკო ბაქრაძის ოჯახი

გაფანტული დივიდენდები

პეტრე გელბახიანს ბავშვობიდან ვიცნობდი, ერთ სკოლაში ვსწავლობდით. არ მახსოვს, როგორ და როდის გავიცანი, მაგრამ მახსოვს, მრგვალ ბაღთან

ვხვდებოდით და სკოლისკენ ერთად მივდიოდით. მიუხედავად იმისა, რომ პეტრეზე რამდენიმე წლით უფროსი ვიყავი, რაც სკოლის ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენს ურთიერთობას ეს არ აბრკოლებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მე რუსეთში წავედი სასწავლებლად და ჩვენი შეხვედრები დროებით შეწყდა. 80-იანი წლების ბოლოს კი ეროვნულმა მოძრაობამ კვლავ ერთმანეთს დაგვაკავშირა

პეტრე ყველაფრით გამოირჩეოდა: გარეგნობით, ოჯახიშვილობით, გონებით, ერთგულებით... მას თავისუფლად შეეძლო პირველი ეროვნული პარლამენტის წევრი გამხდარიყო, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალა. მას ჰქონდა თავისი საქმე, რომელიც უყვარდა და მოსწონდა, ამიტომ აზრად არ მოსვლია ამპლუის შეცვლა. ეს, ჩემი აზრით, განაპირობა 1991-1992 წლების პუტჩმა. ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და საქართველოში შევარდნაძის კვლავ გაბატონებას უმცროსი პეტრე გელბახიანი როგორ შეურიგდებოდა?! აი, მაშინ კი შეიცვალა ამპლუა პეტრემ და ყველამ ვიცით, რაც მოხდა... ახლაც მწარედ მახსოვს უფროსი პეტრე გელბახიანის გარდაცვალება. დაკრძალვაზე მივედი. ჩაბნელებულ სადარბაზოში სანთლები ენთო, სამძიმარს 10 წლის გედი გელბახიანი იღებდა! პეტრე და ბატონი გედი დაპატიმრებულები იყვნენ. რისთვის? ნეტავ შევარდნაძე თუ გასცემს ამ კითხვას პასუხს?!

რამდენი უცხო ადამიანი განიცდიდა ამ მდგომარეობას! ჩაიარა პატიმრობის კოშმარმა და დაბრუნდა პეტრე. ახლაც მიკვირს, როცა ვიხსენებ, როგორი დაბრუნდა — არანაირი გაბოროტება, არანაირი ბოღმა... მახსოვს ხარებას ჩემთან ოჯახში შევხვდით. პეტრე, მისი არაჩვეულებრივი მეუღლე ლელა გიორგობიანი, ირაკლი კაკაბაძე, ანა დოლიძე, ლევან ჭოღოშვილი, მაია წიქორიძე. დაუვიწყარი საღამო იყო, პეტრე და ლელა ერთნაირი მხიარულებით იხსენებდნენ თავიანთ პირველ შეხვედრასაც და ციხის პაემნებსაც, მთავარი იყო, რომ ისინი ერთად იყვნენ...

ახლაც მიკვირს და ვერ მომინელებია, როგორ შეიძლებოდა იმ პოლიტიკური დივიდენდების ასე განიავება, რაც პეტრეს ჰქონდა. პეტრე სხვასთან არ უნდა მისულიყო, მას თავისი უნდა შეექმნა, ჩვენ უნდა მივსულიყავით პეტრესთან! არ ვიცი, რას დავაბრალო ეს ყველაფერი. როგორ გვაკლია პეტრე გელბახიანი! 2007 წლის აგვისტო იყო. დამირეკეს პეტრე გარდაიცვალაო. ჩემი შვილი მართა მაშინ 8 წლისა იყო, მანგლისში ისვენებდა. პეტრეს დაკრძალვაზე ჩამოვიყვანე, მინდოდა, ეგრძნო გამორჩეული ადამიანის გარდაცვალება. პეტრესნაირები ხომ იშვიათად იბადებიან! მართამ და მისმა თაობამ უნდა იცოდეს, ვინ იყო პეტრე გელბახიანი!

ზვიად ბოკუჩავა

* * *

მართალია, მე პეტრე გელბახიანთან დიდი შეხება არ მქონია, მაგრამ, აი, ჩემი და მისი ურთიერთობის მცირე, მაგრამ ტკბილი მოგონება. პეტრე გელბახიანი ჩემთვის ძალიან საამაყო ადამიანი გახლდათ. თუნდაც იმიტომ, რომ 3 წელი სიკვდილმისჯილების ციხეში გაატარა, რატომ? ადრე არა, მაგრამ დღეს ეს კითხვა მიჩნდება!

პატარა ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ მან ეს ყველაფერი, ამხელა მსხვერპლი, თავისი სამშობლოს გამო გაიღო.

პეტრე ბიძია მამას უახლოესი მეგობარი გახლდათ. სწორედ მის დაკრძალვაზე ვნახე პირველად ცრემლი მამაჩემის სახეზე. მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავს მეგობრობა!

მოდით ახლა, ამ ამბავს მოგითხრობთ, თუ როგორ გავიცანი ის. არ ვიცი, მაგრამ მამა და პეტრე ბიძია რაღაც საქმეზე გახლდნენ უწმინდეს და უნეტარეს ილია II-თან, სადაც მეც ვიყავი. ამ შეხვედრის შემდეგ პატრიარქმა გვაჩუქა წიგნი "ნათელი ქრისტესი'. ამის შემდეგ პეტრე ბიძია სახლში ვნახე, სადაც თავის მეუღლესთან ერთად მოვიდა. ძალიან მხიარულად ვიყავით, ბევრს ვიცინოდით, ძველ ამბებს ვიხსენებდით. მერე დედამ გაიხსენა, როგორ წერდა გაჭირვების დროს მოსახსენებელში.

მესამედ კი მის დაკრძალვაზე გამომშვიდობების დროს ვნახე, როდესაც კატაფალკა არ დაიკეტა.

ასეთი იყო ჩემი და პეტრე გელბახიანის ურთიერთობა და მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთ ადამიანს, გმირს ვიცნობდი!

მართა ბოკუჩავა

ის თავისუფალი იყო ყოფითი ფასეულობებისგან

მეექვსე კურსზე ალერგოლოგიას ვასწავლიდი. ცნობილი და სახელოვანი ოჯახიდან იყო დიდი წინაპრების — ირაკლი ტატიშვილის და პეტრე გელბახიანის შთამომავალი. ჯგუფში თავაზიანობით, დახვეწილი მანერებითა და სიდარბაისლით გამოირჩეოდა. რაინდული გარეგნობა ჰქონდა, კეთილშობილი წარმომავლობა და ჯიში იგრძნობოდა მის თავმდაბლობაში, ქცევებში.

კარგი ექიმი და მეცნიერი უნდა დამდგარიყო მისი ოჯახის, აღზრდისა და განათლების მქონე ადამიანი. მაგრამ ცხოვრებამ ბევრი განსაცდელი არგუნა. ბავშვობიდანვე იგემა წუთისოფლის სიმკაცრე და სიმუხთლეც. შემდეგ დააბრალეს ის, რაც არ ჩაუდენია, უმკაცრესად დასაჯეს. წინაპრების ბედი

გაიზიარა, კარცერში გაატარა ცხოვრების გარკვეული ნაწილი. ცნობილი მედიკოსთა ერთმა ჯგუფმა გაბედა და სამართლის ძიება დაიწყო მათი ოჯახის დასაცავად. შეწყალებაზე მან უარი თქვა და ღირსეულად გამოვიდა საპყრობილედან, არასდროს ყოფილა გალაღებული, თუმცა კი უნდა ყოფილიყო... მაინც შეძლო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვება, მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზეც, მაგრამ ვერ დაასრულა.

არაერთხელ განმიცდია მასთან ურთიერთობის სიხარული. დინჯად საუბრობდა, არასდროს დაუწუწუნია, მოსაუბრეს იქით ამხნევებდა, იმედს უნერგავდა, გამძლეობის, დათმენის მაგალითს აძლევდა, არავის აგრძნობინებდა საკუთარ გულში ჩამალულ ტკივილს. საქმიანობაც ისეთი აირჩია, შეჭირვებულს რომ დახმარებოდა. ჯერ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში სოციალურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, შემდეგ — არასამთავრობო ორგანიზაციაში უსახლკარო ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამებში მონაწილეობდა.

სამშობლო უსაზღვროდ უყვარდა და ამას არა მარტო სადღეგრძელოში გამოხატავდა, მზად იყო თავდადებისათვის. ეროვნული სულისკვეთება იგრძნობოდა მის აზროვნებაში, მსჯელობაში, საქმიანობაში.

დიდი ხიბლი ჰქონდა და არასდროს აკლდა თაყვანისმცემლები, თბილი ღიმილით სიკეთეს ასხივებდა, თვალებში სინათლე ჩაუდგებოდა, თუმცა სევდანარევი და ნაღვლიანიც იყო ეს ღიმილი. მუდამ სამეგობროდ ჰქონდა გული გახსნილი.

მისი ნიჭისა და უნარის პატრონს გაცილებით მეტისთვის უნდა მიეღწია, მაგრამ ცხოვრების უმთავრეს აზრად იურთიერთობები მიაჩნდა, კარჩაკეტილი და ეგოისტი არასდროს ყოფილა.

მასთან ყოველი შეხვედრა სასიამოვნო მოგონებად დარჩა. საოცრად ერთგული იყო ოჯახური ტრადიციების, ქვეყნის, ძმობის. მოხდენილსა და ახოვანს უშიშარი მხედრის გარეგნობა და რაინდული სული ჰქონდა, ყურადღებით მოსმენა იცოდა და პატივს სცემდა სხვის აზრს. თავისუფალი იყო ყოფითი ფასეულობებისგან, არასოდეს წასულა კომპრომისზე...

არ იმჩნევდა, მაგრამ წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებამ მძიმე კვალი დააჩნია მის გულს და ვეღარ გაუძლო, უეცრად წავიდა... ყველას მოაკლდა მასთან ურთიერთობის სიხარული. მას ხომ სრული უფლება ჰქონდა საყვარელ თბილისში, რომელსაც ძალიან უხდებოდა თავისი ქართულ-ევროპული მანერებით, თამამად ევლო.

მისი სახელოვანი გვარი და გენი გრძელდება მის ორ ვაჟსა და მათ შთამომავლობაში, გვწამს კვლავაც

დაიზრდებიან მათი გვარის ღირსეული მოქალაქეები, გამოჩენილი ადამიანები.

ია გეგეშიძე

ჩემო პეტუკა!

პეტრეს მე და ჩემი და მაკა ბავშობიდანვე პეტუკას ვეძახდით. ეს სახელი ჩვენში იშვიათია, თუმცა მას პეტრე დიდი ბაბუის გამო დაარქვეს და უნდა ვთქვა, რომ ეს სახელი საოცრად უხდებოდა კიდეც. ახლობლები პეტრეს ზოგჯერ პეტკას ან პეტოს ეძახდნენ. პეტუკა ჩემი უსაყვარლესი მამიდაშვილი იყო, რომელთან ერთადაც მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა გავატარე. მე ძმა არ მყოლია და ის იყო ჩემი ძმა. პეტრესაც ხშირად უთქვამს ჩემზე — ჩემი ძმა ირაკლიაო. ბავშობაში განუყრელად ერთად ვიყავით, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც თვეობით ვცხოვრობდი გელბახიანებთან წყნეთში და გაგრაში, ერთად ვთამაშობდით ფეხბურთსა და კალათბურთს, ომობანასა და დამალობანას, ვცელქობდით და ვსწავლობდით, ვიღვიძებდით და ვიძინებდით, ვიზრდებოდით (თუმცა რაც შეეხება ზრდას, ამ თვალსაზრისით პეტრე საკმაოდ წინ იყო, ის ბავშვობიდანვე ძალიან მაღალი იყო და სწრაფად

იზრდებოდა). ეს იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდი და განსაკუთრებით ძვირფასი გახდა ამ წლების მოგონება მას შემდეგ, რაც პეტრე აღარ არის. შემდგომში სულ ერთად ვიყავით, გარდა ნათესაური ურთიერთობისა, ძალიან გამიმართლა, რადგან მე და პეტრე ერთ ინსტიტუტში ვსწავლობდით, ხოლო შემდეგ, წლების განმავლობაში, ერთად ვმუშაობდით რკინიგზის საავადმყოფოში, გვყავდა მეგობრებისა და ახლობლების საერთო წრე, გვქონდა საერთო ინტერესები. პეტრეს ცხოვრების უფრო გვიანდელ პერიოდში განგებამ დაგვაშორა, მან მრავალი წელი დევნილობაში და საპატიმროში გაატარა, თუმცა, შეძლებისდაგვარად, მაშინაც ხშირად ვხვდებოდი ე.წ. პაემანზე. განსაკუთრებით თბილად მახსენებდა პეტუკას ცხოვრების უკანასკნელი რამდენიმე წელი, როდესაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩვენ ისევ ერთად ვიყავით, ერთად ვისვენებდით კვარიათში, ვიყავით ბედნიერები, პეტუკას ჰქონდა ძალიან დიდი გეგმები, დაუშრეტელი ენერგია და ოპტიმიზმი. მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბედნიერება უეცრად დასრულდა, პეტუკა წავიდა. მისი მოულოდნლი გარდაცვალება ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო, თუმცა ეს მოუნელებელი მწუხარებაა არა მხოლოდ ჩემთვის და მისი ოჯახისთვის, არამედ მისი სანათესაოსთვის, უამრავი მეგობრისთვის, ათასობით ჩვენი მოქალაქისთვის. პეტრეს დაკარგვა დიდი

დანაკლისი იყო მთელი საზოგადოებისთვის, მართალია, მან უამრავ ადამიანსა და პირველ რიგში, შვილებს, მეგობრებს დაუტოვა ნამდვილი ვაჟკაცობისა და პატრიოტიზმის მაგალითები, მაგრამ მისი წასვლით ჩვენს საზოგადოებაში უცილობლად შეიქმნა ამ თვისებების დეფიციტი, რადგან შეუცვლელი ადამიანები უთუოდ არსებობენ და პეტრეც ერთ-ერთი მათგანი იყო.

პეტრე ყველას განსაკუთრებულად და გულწრფელად უყვარდა, როგორც მის თანატოლებს, ასევე უფროსებსა და უმცროსებს, ქალებსა და კაცებს. პეტრეს დახასიათება ერთ მონოგრაფიაში ძალიან რთულია, მაგრამ ვეცდები ხაზი გავუსვა მის ზოგიერთ კარგად ცნობილ თუ უცნობ თვისებას, რაც მის განსაკუთრებულობას განაპირობებდა. პეტრე იყო იდეალური მეგობარი, იგი ერთნაირად შეუცვლელი იყო ჭირშიცა და ლხინშიც. ვერასდროს დავივიწყებ, როდესაც ჩემი დიდი ლხინის, ჩემი ქორწილის დღეს, პეტრე პირველი მოვიდა და ბოლომდე ჩემთან იყო. ყველაზე დიდი მწუხარების ჟამს, როდესაც მამა გარდამეცვალა, პეტრე არ მომცილებია, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა — ხელმძღვანელობდა ჯანდაცვის ერთ-ერთ დეპარტამენტს. მთელი კვირის განმავლობაში არ წასულა სამსახურში. არაერთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც პეტრეს მეგობრის

გაჭირვების გამო მიუტოვებია ყველა საქმე, გვერდით გადაუდია ყველაზე ძვირფასი და მათ შორის, საკუთარი ოჯახის ინტერესებიც კი.

პეტუკა იყო ძალიან ნიჭიერი ადამიანი. იგი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე აღწევდა წარმატებას სხვადასხვა სფეროში, სერიოზულად არასოდეს ემზადებოდა ინგლისურში, თუმცა თავისუფლად ფლობდა ამ ენას, ერთი ხელის მოსმით შეასრულა სადისერტაციო ნაშრომი. პეტრე იყო პროფესიონალი ექიმი. ბევრმა არ იცის, რომ ის საქართველოში ღვიძლის ფუნქციური ბიოფსიის ერთ-ერთი პიონერი იყო. კარგად მახსოვს, მამაჩემი, იგივე პეტრეს ბიძა, გამოჩენილი ექიმი ნუგზარ ტატიშვილი, როგორ ღელავდა, როდესაც პეტრე მასთან იწყებდა მუშაობას, თუმცა ეს ღელვა, პეტრეს წარმატებული სამედიცინო საქმიანობის წყალობით, მალე დიდ სიამაყეში გადაიზარდა.

პეტრეს, როგორც ჭეშმარიტ ქართველს, უყვარდა დროსტარება — "ღვინო, დუდუკი და ქალები." სუსტ სქესთან ურთიერთობაში ის ჭეშმარიტი ჯენტლმენი იყო, სუსტი სქესიც საპასუხოდ ეთაყვანებოდა მას, იყო საგანგებოდ თავაზიანი და ზრდილობიანი, უდიდეს პატივს სცემდა მშობლებს, ნუცას და გედის. სულ მეცინებოდა ხოლმე იმაზე, რომ გამორიცხული იყო პეტრეს სიგარეტი მოეწია გედის თანდასწრებით, ასევე არ გვაწევინებდა სიგარეტს გედის მანქანაში, ამბობდა გედის არ

ესიამოვნებაო. პეტრე განსაკუთრებით ძლიერი იყო სულიერად, გაუტეხელი ნებისყოფის. როდესაც იგი საპატიმროში (მათ შორის, სიკვდილმისჯილთა საკანში) იყო და სანახავად მივიდოდი, ისეთი ხალისიანი სახით შემომეგებებოდა ხოლმე, რომ ვიფიქრებდი: ნეტავ ის ხომ არ არის გარეთ და მე საპატიმროში-მეთქი. სულ მეკითხებოდა: რისი გაკეთება შემიძლია შენთვის ციხიდანო. მიუხედავად ახოვანი აღნაგობისა და უდიდესი ფიზიკური ძალისა, როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცს, გამორიცხული იყო პეტრეს ამით ესარგებლა და ვინმე დაეჩაგრა.

პეტრეს ზოგადად არ უყვარდა პოლიტიკა, თუმცა არ შეეძლო სამშობლოსადმი გულგრილი ყოფილიყო, ამიტომაც წავიდა დაუფიქრებლად სამაჩაბლოში საბრძოლველად. პეტრესთვის მიუღებელი იყო პოლიტიკაში ყოფნა პირადი გამორჩენის მიზნით. მისთვის უზენაესი იყო საქართველოს ინტერესები და სამართლიანობა. უსამართლობასთან ბრძოლის აუცილებლობა პეტრეში უკიდურესად იყო გამძაფრებული. ალბათ, ეს იყო მისი ცხოვრების კრედო, ლაიტმოტივი. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაში არსებული მრავალი პრობლემა და უსამართლობა გახდა კიდეც მისი წუთისოფლიდან მოულოდნელად წასვლის მთავარი მიზეზი.

მრავალი გაჭირვებისა და ქარტეხილის მიუხედავად, პეტრე იყო ბავშვივით თბილი, მიამიტი და კეთილი, ეს მას გარეგნულადაც ეტყობოდა,

ამიტომ მე და ჩემი და ზოგჯერ პეტუკას ბავშვსაც ვეძახდით. ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა, რომ ცხოვრების უკანასკნელი წლები პეტრემ სწორედ ბავშვებს მიუძღვნა. მან შექმნა უდედმამო ბავშვთა დახმარების ფონდი და მთელი ენერგია, გული და სული მოახმარა ამ საქმეს. პეტრეს ძალისხმევით მრავალმა პატარამ იპოვნა საკუთარი სახლი, იგრძნო ოჯახური სითბო და შეიძინა მშობლები, ვფიქრობ, თუნდაც მხოლოდ ამიტომ, პეტრე სამარადისოდ სამოთხეშია.

ირაკლი ტატიშვილი

პირველად ჩამაფიქრა

მაშინ 22 წლისანი ვიყავით, სტუდენტობის პერიოდი, როდესაც მთელი სამყარო შენ გეკუთვნის, ბევრი მეგობარი, ერთად დროსტარება, ღამეების გათენება, ახალი შთაბეჭდილებები, ემოციები, პეტრეც ხშირად ჩვენთან ერთად იყო. უცებ რაღაც პერიოდი აღარ გამოჩნდა და მერე 14-15 წლის მოზარდ ბიჭთან ერთად მოვიდა, ბავშვი უნარშეზღუდული იყო, უპატრონო ბავშვთა სახლიდან. ის დღე იყო და ის, პეტრე მხოლოდ ამ ბიჭუნასთან ერთად დადიოდა. სახლში დააბინავა, ყველგან დაყავდა, მკურნალობდა, სულ რაღაცას უხსნიდა და ასწავლიდა. არ

დამავიწყდება ამ ბიჭუნას ბედნიერი, ამაყი სახე პეტრეს გვერდით... და მახსოვს მაშინ პირველად ჩავფიქრდი, თუ რა შეიძლება გააკეთო საკუთარ თავზე, დროსტარებაზე ფიქრის გარდა და საერთოდ შევძლებდი თუ არა ამას მე. ეს ხომ ბევრ რამეს მოითხოვს პიროვნებისგან და მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ ამის ქმნა და მივხვდი, რომ პეტრე ჩვენგან, ყველასგან გამოირჩეოდა, ამიტომ იყო ის თავის ტოლთაგან განსხვავებით ხშირად და გასაკვირად განმარტოებული, ღრმად ჩაფიქრებული და სხვანაირად კეთილშობილი.

მაია მოსიძე

მან ამბოხებული სული დაგვიტოვა

მინდა გავიხსენო და მოვეფერო ადამიანს, რომელიც ბედმა სტუდენტობის უბედნიერეს წლებში შემახვედრა, მოვეფერო ადამიანს, რომელმაც ცის კამარიდან მოწყვეტილი ვარსკვლავივით უდროოდ დაიდო ბინა მარადისობაში.

პეტრე გელბახიანი დიდ სამეგობროში გამორჩეული ადამიანი იყო, როგორც თავისი გამორჩეული გარეგნობით, რომელიც მხოლოდ სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდა, ისე ლამაზი, ვაჟკაცური და ადამიანური ბუნებით. ამ "დიდ კაცს"

შინაგანად ძალიან ფაქიზი და სუფთა სამყარო ჰქონდა. ის უაღრესად ჰუმანური და კეთილშობილი ადამიანი იყო. მოზრდილი ვაჟკაცი გახლდათ, როდესაც უფროსებთან ან უჩვეულო სიტუაციაში საუბრისას წითლდებოდა, მუდამ მომღიმარი იყო და იმედებით სავსე, მაღალი იდეალების ერთგული და უკომპრომისო, აქედან გამომდინარე, ჩვენს ყოფიერებაში დეზადაპტირებული და განწირული. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ვახლობლობდი. ხანმოკლე ცხოვრების გზაზე უამრავი ადამიანი დატოვა მადლიერი, ნუგეშცემული და გზაზე დამდგარი.

დაგვიტოვა არაჩვეულებრივი ოჯახი, ორი ვაჟკაცი, დაჩაგრული მშობლები და დიდი ტკივილი.

გული მწყდება, რომ ვერ შევძელი მისი წამებული სულისთვის შვება მიმეცა, ის ხომ ყველა ჩვენგანის ბედნიერებაზე ფიქრობდა.

ჩვენგან წავიდა მეოცნებე, მოსიყვარულე, გულითადი მეგობარი, რომელმაც თავისი ამბოხებული სული დაგვიტოვა, ღმერთმა დაუმკვიდროს მას სამარადისო სასუფეველი.

მანანა გორდეზიანი

ქალბატონო ნუცა!

ძალზე ძნელია წარსულ დროში ისაუბრო შენს თანატოლზე, რომელიც უკვე აღარ დააბიჯებს

მშობლიური ქალაქის ქუჩებში და ვეღარასოდეს შეხვდები ისე, უბრალოდ, რომელიმე კინოთეატრსა თუ ჩვეულებრივ თბილისურ თავყრილობაზე...

სამწუხაროა, რომ პეტრე გელბახიანი ზეციური საქართველოს კიდევ ერთი ახალგაზრდა ბინადარია...

მართალია ჩვენი გზები პირველად თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში გადაიკვეთა, მაგრამ ჩვენ გაცილებით გვიან დავმეგობრდით...

2004 გაზაფხულზე ერთდროულად დავიწყეთ მუშაობა საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროში. დამერწმუნეთ, საკმაოდ მძიმე პერიოდი იყო. ჩვენი კოლეგებიცა და საერთოდ საზოგადოება დიდ მოთხოვნებს გვიყენებდა. ყოველივე ეს დიდ გულისყურსა და ენერგიას მოითხოვდა.

დღის ბოლოს პეტრე მორიდებითა შემოაღებდა ხოლმე ჩემი კაბინეტის კარს, რათა მოწიწებით ეთხოვა ჩემთვის რჩევა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სოციალური სფერო, რომლის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა პეტრეს ევალებოდა ჩემი, როგორც მინისტრის მოადგილის, საკურაციო სფერო არ იყო, თუმცა ძალიან გვიან მივხვდი, რომ მას უფრო ემოციებისგან განტვირთვა უნდოდა.

იგი ბავშვივით განიცდიდა ყველაფერს: მასთან თხოვნით მისული ადამიანის უარით გამოსტუმრებას, ბავშვთა სახლების ბინადართა შეჭირვებულ ყოფას;

საკუთარი მაქსიმალისტური მოვლენების შეჯახებას ბიუროკრატიულ რუტინასთან...

შუაღამისას სამსახურებრივი საუბრები ხშირად პირადულშიც გადაზრდილა... პეტრე იშვიათად საუბრობდა სიკვდილმისჯილთა საკანში გატარებულ წლებზე, თუმცა სიამოვნებით იხსენებდა ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევს, გროზნოსა და ბაქოს... პეტრეს სიყვარულით უციმციმებდა თვალები, როდესაც მშობლებსა და შვილებზე მიყვებოდა. სწორედ გელბახიანების ოჯახის დამსახურებაა ის, რომ — პეტრესთვის სამშობლო, პიროვნული თავისუფლება და ღირსება მთავარ ფასეულობებად იქცა.

ჩვენ ბოლოს ერთმანეთს ბათუმის სანაპიროზე შევხვდით, ზაფხული იყო, დილის ცხრა საათი... სახაჭაპურეში შევედი, უცებ პეტრეს ხმა მომესმა, მეგობრებთან ერთად იყო, დიდი ხანია არ მენახა, რადგან სამინისტროში აღარ მუშაობდა და ჩემთან სახლში შემორბენასაც იშვიათად თუ ახერხებდა. სამინისტროში მუშაობის ბოლო პერიოდში პეტრე საკმაოდ დათრგუნული იყო... მეჩვენებოდა, რომ მისმა სურვილმა — აქტიური როლი ეთამაშა სამართლიანი სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში — ღირებულება დაკარგა, რადგან მისი მოსაზრებები სათანადოდ წახალისებული არ იყო. ამას მოჰყვა დროში გაწელილი ტესტირების პროცესი და პირადი დაპირისპირება ერთ-ერთ ჩინოსანთან... მაგრამ

მოგვიანებით პეტრემ თავისი ადგილი მაინც იპოვა. საქველმოქმედო ფონდმა "ბავშვები — ჩვენი მომავალია" მას საშუალება მისცა, ეზრუნა სოციალურად დაუცველ პატარებზე.

"თუნდაც მოვკვდე, თუნდაც კარდაკარ ვიარო საჭირო ფულის შესაგროვებლად, ამ საქმეს მაინც ბოლომდე მივიყვან." —ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. მანქანაში ჩავჯექი და წამოვედი, მან კი შორიდან ხელი ამიწია...

სწორედ ასეთი, მზის სხივებითა და სიყვარულით გაბრწყინებული, მაღალი და პეწიანი დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

თსუ სამედიცნო ფაკულტეტის პროფესორი
ნინო ოკრიბელაშვილი

გულმა ვერ გაუძლო!

მე, ერთი ქართველის, თბილისელის, კარგი ოჯახის შვილის, კარგ აღზრდასა და განათლებაზე მოწოდებული პატრიოტის, კარგი ყმის, პეტრე გელბახიანის შესახებ მინდა მოგითხროთ, ან რა უნდა მოგითხროთ?! კაცმა ცხოვრების გზად აირჩია ბრძოლა მონსტრის, საშინელი მანქანის წინააღმდეგ. მთელმა მისმა ახალგაზრდულმა წლებმა მისი ოჯახის მიმართ რეპრესიების ქვეშ გაიარა. პატარა ბავშვს მისი

უსაყვარლესი, მისი მოსახელე ბაბუა დაუპატიმრეს — არ ვიცი, რა დავარქვა ყოველივე იმას, რასაც ის უხსენებელი სისტემა და მათი დამქაშები იყენებდნენ გელბახიანების ოჯახის ასაწიოკებლად. თითქოს, ბაბუამისმა 29 წლის განმავლობაში დაანგრია და მოსპო სამედიცინო განათლება და ა.შ. მხოლოდ ერთს გეტყვით, განა მაშინ ნასწავლმა ექიმებმა არ ამშობიარეს თქვენი შვილები? არ გადაარჩინეს ინფარქტისგან თქვენი მშობლები? არ უკეთებდნენ სასწრაფო გადაუდებელ ოპერაციებს? არ გამოჰყავდათ მდგომარეობიდან და მაღალი პროფესიონალიზმით არ კურნავდნენ უსუსური საბჭოთა მედიცინის საშუალებებით?

შემდეგ კორუფცია დასწამეს და საბჭოთა სისტემის კორუფციისგან გაწმენდა გელბახიანების ოჯახით დაიწყეს. უსამართლობაა არა?! რა გასაკვირია, რომ პეტრე გელბახიანს, კარგ ქართველს ამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყო და დაიწყო კიდეც. მოთმინების ბოლო წვეთი 1992 წლის 6 იანვარს აევსო. მაშინ, როდესაც ნაწილი ქართველებისა, ელოდებოდნენ ,,კენიის ხორცს,'',,დემოკრატიის მშენებლობას,'' ,,რუსეთიდან მილიონებს,'' ,,სუნიანი ფაშიზმიდან გათავისუფლებას,'' ,,ქონებაზე გადამკვდარი (აბა მერსედესით რომ დადიოდა?!) დიქტატორის დამხობას''... კიდევ გავაგრძელო? მათ ნამუსზე იყოს!

როგორი მოსასმენი და დასაჯერებელია წესიერი ქართველი კაცისთვის ამდენი თვალებში ნაცრის შეყრა, შენ მიერ არჩეული, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პრეზიდენტის განდევნა და შემდეგ მოკვლა? უნდა მოგეთმინა და გეყურებინა შენი ქვეყნის დაღუპვისათვის, თანაც ტაში უნდა დაგეკრა ისე, როგორც 1801-ში, 1921-ში. ამას პეტრე არ გააკეთებდა და ამიტომაც, წლების განმავლობაში დასახვრეტთა საკანში მოუწია ყოფნა — ჯერ საბჭოთა ციხე რა იყო პოლიტპატიმრებისთვის და მერე სიკვდილმისჯილთა საკანი, სადაც ყოველ წუთში ელოდებოდი გაყვანასა და დახვრეტას. ადვილად ვწერ ყოველ წუთს, მაგრამ 3 წელიწადში რამდენი წუთია?

გულმა ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ისიც საკვირველია, ამდენსაც როგორ გაუძლო? მაგრამ, ალბათ, ყველაზე მეტად სხვა ტკივილმა გაუჩერა გული. ყველამ ვიცით იმ ტრაგედიის შესახებ, რასაც აბრალებდნენ, ძნელია ამაზე საუბარი და არც გვინდა. ყველანი უფლის შვილები ვართ და ბედკრული სამშობლოსი, სამშობლოსი, რომელიც აუცილებლად გაბრწყინდება, რადგან ქართველებს ყოველთვის გვყავდა თავდადებული მამულიშვილები, ერთ-ერთი ასეთი ჩვენი ,,პეტკაც'' იყო. იხაროს მისმა გვარმა და იმრავლოს საქართველოს საკეთილდღეოდ.

პაატა ჩიქოვანი

მოგონებები

მერწმუნეთ, ძნელია ისაუბრო პეტრეზე წარსულში და ასევე, რთულია გამოყო რამდენიმე მოგონება, თუმცა შევეცდები...

ჩვენი მრავალი წლის მეგობრობა დაიწყო ნ. კახიანის სახელობის რკინიგზის საავადმყოფოში, სადაც კათედრის გამგე პეტრეს ბიძა, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და ბრწყინვალე პიროვნება, პროფესორი ნუგზარ ტატიშვილი იყო.

პეტრემ სწორედ ჩვენს კათედრაზე გადაწყვიტა თავისი დისერტაციის პრაქტიკული ნაწილის გაკეთება, კერძოდ, ბიოფსიის, სისხლისა და ბიოქიმიური ანალიზების, ღვიძლის ფუნქციის დინამიკური და კომპლექსური გამოკვლევები, რაც დისერტანტისგან მოითხოვდა ორგანიზებულობას, პროფესიონალიზმს, სკრუპულოზურ და თავდაუზოგავ შრომას. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა პეტრე, ის არც ექთანს და არც ლაბორანტს არ ენდობოდა და თავისი დისერტაციის კლინიკური ნაწილი საკუთარი ხელითა და დიდი მონდომებით გააკეთა. და ეს მაშინ, როდესაც პეტრეს შეეძლო პრივილეგირებული მდგომარეობა შესანიშნავად გამოეყენებინა.

მახსოვს, პეტრე რამდენიმე დღე კლინიკაში არ გამოჩნდა, რაც მას ზოგადად არ ახასიათებდა. მისი

გაუჩინარების მიზეზი არც ბატონმა ნუგზარ ტატიშვილმა იცოდა. ბუნებრივია, ვნერვიულობდით.

რამდენიმე დღის შემდეგ იღება საორდინატოროს კარი და ვიღაც „ტყის კაცი" შემოდის, მოშვებული წვერით, ჭუჭყიანი ტანსაცმლით, ტალახიანი ბოტასებითა და დაღლილი გამომეტყველებით.

„შეგაშინეთ?! ვერ მიცანით?!"

გაოცებულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ეს პეტრე იყო.

კითხვაზე — "რას გავხარ? სად იყავი?" — მოკლედ გვიპასუხა. — "იქ, სადაც უნდა ვყოფილიყავი."

ეს იყო ეროვნული მოძრაობის დასაწყისი და პირველი პროვოკაცია სამაჩაბლოში.

ავადსახსენებელი 1993 წელი იდგა. ეს ის წელია, როდესაც სრულიად გამიზნულად მომიკლეს შვილი, ეს ის წელია, როდესაც მოგვიკლეს საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი, ეს ის წელია, როდესაც რუსეთს აფხაზეთი ჩააბარეს.

პეტრეზე ძებნა იყო გამოცხადებული, ამიტომაც იგი დევნილობაში იმყოფებოდა, ზვიად გამსახურდიასთან ერთად.

გაზაფხული იდგა. საქართველოში ტერორი მძვინვარებდა: იჭერდნენ, აწამებდნენ, "გენშერის ძაღლებს" უქსევდნენ და ხოცავდნენ ყველას, ვისაც უანგაროდ უყვარდა საქართველო. საზოგადოებას

კარგად ახსოვს შევარდნაძის რეჟიმი თავისი გამანადგურებელი შედეგებით. სწორედ ამ პერიოდში დაიჭირეს პეტრე, ბატონი გედი კი უკვე დაპატიმრებული იყო.

პეტრესა და ბატონი გედის მოთხოვნით, მე და თამაზ კერძევაძე შევედით ციხეში კონსილიუმზე. ძნელია გადმოგცეთ ის, რისი თვითმხილველნიც გავხდით. ეს იყო უსარკმლო, უჰაერო, ნესტიანი, ბნელი ჯურღმული მოთარეშე ვირთხებით.

ვიცოდი, რომ ბატონი გედი ნაწამები იყო, თუმცა ნანახმა შემაშფოთა. ავადმყოფის ისტორია საერთოდ არ ასახავდა რეალობას. ვიკამათეთ ციხის მედპერსონალთან, ავადმყოფის ისტორია წითლად ავაჭრელე, რამაც სასჯელთაღმსრულებელთა სამედიცინო სამსახურის უფროსის გაღიზიანება გამოიწვია.

პეტრეს არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ჩამჩურჩულა: "თითქმის ყოველ ღამე დაკითხვაზე მივყავარ და ყველანაირად ცდილობენ, ამალაპარაკონ. ის კი არ ახსოვთ, ვისი შვილიშვილი ვარ. სულ ბაბუაჩემის მაგალითი მიდგას თვალწინ, ამიტომაც ჩემგან ცრუ ჩვენებას ვერ ელირსებიან." — თან დამაბარა — "ნუცას არ გააგებინო, ინერვიულებს."

ეს მაშინ, როდესაც ბატონ პეტრე გელბახიანს შვილიშვილის დაჭერის ფაქტს უმალავდნენ, რადგან

იგი ასეთ დარტყმას ვეღარ გადაიტანდა. რეალურად ეს ასეც მოხდა...

მიმძიმს 1991-1997 წლების გახსენება, ის განუკითხაობა და კრიმინალთა თარეში, რაც თბილისსა და სრულიად საქართველოში ტრიალებდა... სამშობლოს სიყვარულითა და მისი გადარჩენის სურვილით გულანთებული რამდენი ახალგაზრდა ემსხვერპლა მათ თარეშს?!

სამწუხაროდ ამ ზეციურ მხედრობას პეტრე გელბახიანიც შეუერთდა. გვწამს, ისტორია ყველას კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

მანანა ილურიძე
ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

კიდევ ერთი მსხვერპლი

ალბათ ახსნაც არ არის საჭირო, რომ ამ ქვეყნიდან კაცის წასვლა ყოველ ჯერზე გვიღრმავებს დაუცველობის განცდას იმისგან, რაც ჩვენი ცხოვრების გარდაუვალი და ლოგიკური დასასრულია. მაგრამ ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ამ დღეებში ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა პიროვნება — პროფესიონალი და ოჯახიშვილი, რომლის წასვლითაც თითოეულ ჩვენგანში რეპრესიულობის განცდაც გაღრმავდა.

პეტრე გელბახიანი არა მარტო ქართული მედიცინისა და ფარმაციის სასიკეთოდ ბოლომდე

დახარჯული პიროვნების სახელ-გვარია, არამედ გარკვეული თაობებისთვის ამქვეყნიური ცოდვა-მადლის საწყაოთი ასაწყველიც! და საოცარია განსჯანი ბედისწერისა, რადგან ამგვარი სახელის მატარებელ მეორე კაცსაც — მისსავე შვილიშვილს — ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნებითა და განჩინებით ფაქტობრივად ადრეული ბავშვობიდან რეპრესიულ გარემოში მოუწია ცხოვრებამ.

შესანიშნავი ექიმი და მეცნიერი, თავის დროზე ძალზე ძლიერი კალათბურთელი, რომლის წარმატებული კარიერაც "დინამოში" საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ხელმძღვანელის ერთადერთ სატელეფონო ზარს გადაჰყვა, რომელმაც, უკვე საზოგადოებისთვის ცნობილმა პროფესიონალმა და მეცნიერმა, ტერაქტის ორგანიზატორის მძიმე ბრალდებით სიკვდილმისჯილთა საკანში არა ერთი წელი გაატარა (მამის — გედი გელბახიანის გვერდით), რომელიც, თავისი ცნობილი ბაბუისა არ იყოს, ვერც ერთხელ ვერ დაიყოლიეს შეწყალების თხოვნაზე. ასე რომ, ციხიდანაც ქედუხრელი და საკუთარ თავთან მართალი გამოვიდა, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით, სწორედ იმ პოლიტიკური რეჟიმის დროს, რომელიც მისი ოჯახის მიმართ განსაკუთრებით შეუბრალებელი იყო.

მოგეხსენებათ, ამ რამდენიმე თვის წინ უფროსი პეტრე გელბახიანი კიდევ ერთხელ დიდი პატივით გაიხსენა ქართულმა სამედიცინო და

ფარმაცევტულმა საზოგადოებამ და ამ საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობით ფარმაცევტთა ასოციაციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დარგისათვის თავდადებული ადამიანები მას არ ავიწყდება. სამწუხაროდ, სულ რაღაც რამდენიმე თვეში საუბარი უკვე უმცროს პეტრე გელბახიანზე გვიწევს.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია

სიკვდილმისჯილი რაინდი

ჩვენი ქვეყნის იტორიაში მე-20 საუკუნე, შესაძლოა, ყველაზე საბედისწერო, სისხლიანი და ტრაგიკული საუკუნეა: რევოლუციებში მასიური გენოციდი, ურწმუნოთა შემოტევა, ქართული მიწების მიტაცება და ბრძოლა თავისუფლებისთვის... მაგრამ ყველაზე უსასტიკესი მონაკვეთი ასწლეულისა მაინც საუკუნის დასასრულს უკავშირდება.

1991-92 წლებში პარტნომენკლატურული გადატრიალება, ტრადიციული ფასეულობათა დევალვაცია, პოლიტიკური სისტემის შეცვლა, ერის მიერ არჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასა და მისი მთავრობის განდევნა საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და არნახული სისასტიკის დანაშაულებრივი ისტორია როდია. ეს იყო

ქართველი ერის ფიზიკური მოსპობის, მსოფლმხედველობის შეცვლის, გენეტიკური კოდის განდაგურების სატანური გეგმა. ეს იყო შევარდნაძისა და მისი კრიმინალური ბანდის ბრძოლა თავისუფალი საქართველოს წინააღმდეგ.

რუსეთის ემისარი შევარდნაძე განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდა ღირსეულ მამულიშვილებსა და მათ ოჯახებს. ამ რეჟიმის მსხვერპლი გახდა გელბახიანების ოჯახიც. დიდ პეტრეს ჩამოართვეს ყველა სამეცნიერო წოდება, 15 წლით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაასახლეს... შვილს — გედი გელბახიანს, მეცნიერსა და პედაგოგს, სრულიად უდანაშაულოს, 7 წელი საპყრობილეში გაატარებინეს. დედას — ქალბატონ ნუციკო ტატიშვილს, გედი გელბახიანის მეუღლესა და პეტრეს უდრეკ დედას მოწამეობრივი ჯვარი არგუნეს... შვილიშვილს — პატარა პეტრეს, რომლის სიწმინდე და თავდადება აოცებდა ყველას, განუწყვეტლივ აწამებდნენ და სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუტანეს.

პეტრე გელბახიანი 10 წელი საკანში იყო, ზვარაკად შეწირული. იგი დანაშაულს უარყოფდა და შეწყალებას არ ითხოვდა. მსოფლმხედველობას არ იცვლიდა და იმედს არ კარგავდა.

1995 წელს პეტრე გელბახიანმა საჩივარი შეიტანა გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტში. გაეროში გაიგზავნა მრავალი

საპროტესტო წერილი, მათ შორის ჩვენიც — ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს სახელით, პეტრე გელბახიანის უდანაშაულობის დასაცავად. გაერომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება მომჩივანის სასარგებლოდ, მაგრამ საქართველოდან შევარდნაძემ და რუსუდან ბერიძემ გაეროში აფრინეს ყალბი დოკუმენტები, თითქოს პეტრე გელბახიანი საშიში ტერორისტი იყო. ციხის ეზოში ტანკი და ჯავსანტრანსპორტიორი დააყენეს "საშიში" დამნაშავის ამბოხების აღსაკვეთად და სიკვდილმისჯილთა საკანში მოათავსეს.

შევარდნაძის "თვალებდახუჭულმა" მართლმსაჯულებამ პეტრე გელბახიანს 1997 წელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ორწელიწადნახევარი იჯდა ახალგაზრდა მებრძოლი გაუსაძლის პირობებში საკანში, უკანონოდ, უსამართლოდ და... ელოდებოდა ტყვიას. მან გაუძლო, არ გატყდა, არ დაიჩოქა, რამეთუ, გაზეთ "იბერია სპექტრის" რედაქტორი, ირაკლი გოცირიძე, წერდა: "მათი სულისკვეთება, სულის სიმტკიცე ისევე დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც დარჩა ქეთევან წამებულის, თევდორე მღვდლის, ცოტნე დადიანისა და სხვა დიდებულ ქართველთა თავდადება ჭეშმარიტებისადმი..."

პეტრე გელბახიანი პირველად 2003 წელს ვნახე. ჩვენ ერთად ვიღებდით მონაწილეობას ბლოკ

“ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინების” პოლიტიკურ საქმიანობაში. სამწუხაროდ, ბლოკმა ვერ გააერთიანა ეროვნული ძალები, ვერ წარმართა ქმედითუნარიანი ტაქტიკა და სტრატეგია ქვეყნის ინტერესების დასაცავად. პეტრე ძალიან წუხდა, ხვდებოდა ჩვენს ახალგაზრდებს, გამოდიოდა ტელეეთერით... მაღალი, მიმზიდველი გარეგნობის, განათლებული ყმაწვილი საოცრად თავმდაბალი იყო. იგი ინტერესით ეცნობოდა მონარქისტულ იდეოლოგიას, ქართული მონარქიზმის თავისებურებებს.

ჩენი ბოლო შეხვედრა ქაშვეთთან შედგა — ბიძინა დანგაძის პანაშვიდზე. იგი თეთრ კოსტუმში ინგლისელი დენდივით იდგა და ასხივებდა სიყვარულს, ზრდილობასა და რაინდულ სულისკვეთებას... ერთი კვირის შემდეგ ჩვენ სამძიმარს ვუცხადებდით ბატონ გედის და სიმწრისგან გაქვავებულ ქალბატონ ნუცას.

პეტრეს ყვავილებით დამშვენებულ სასახლესთან იდგა რაინდთა მოდგმის მეოთხე თაობა – პეტრეს ორი ვაჟკაცი.

ამ თაობას შევარდნაძე ვეღარ გაუსწორდება, ხოლო გმირები ზეციურ საქართველოში გადადიან.

ია ბაგრატიონ –მუხრანელი
შვილმკვდარი დედა, “სამეფო გვირგვინის” მეურვე.

მეგობრის გახსენება

ძნელია პეტრე გელბახიანზე წარსულ დროში ილაპარაკო. მახსოვს, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, ყველასგან რომ გამოირჩეოდა. მაშინ ჩვენს კათედრას შესანიშნავი მეცნიერი, ვახტანგ ალადაშვილი ხელმძღვანელობდა. ბატონი ვახტანგი საგანგებოდ პრინციპული, მკაცრი, მომთხოვნი და სამართლიანი ადამიანი იყო. ის, ცოდნის გარდა, არაფერს ანიჭებდა მნიშვნელობას — არც ვინმეს შვილობას, არც შვილიშვილობას. პეტრემ მასთან წარმატებით ჩააბარა გამოცდა. გავიდა რამდენიმე წელი და დილით კონფერენციაზე ახლა უკვე ჩვენი ახალი კათედრის გამგემ, პროფესორმა გურამ რცხილაძემ გაგვაცნო ახლად მიღებული ასისტენტი — პეტრე გელბახიანი. ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან პეტრე — მცოდნე, განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდა — ყველა კათედრისთვის სანატრელი თანამშრომელი იქნებოდა.

სულ მალე პეტრემ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რადგან არასოდეს ეშლებოდა ადამიანებთან ურთიერთობა, უფროს-უმცროსობა. მიუხედავად ჩვენი მეგობრობისა, როდესაც დერეფანში დამინახავდა, ხელებს ჩამოუშვებდა, გასწორდებოდა და კედელს მიეყრდნობოდა.

იყო საოცრად თავმდაბალი, იცოდა სხვისი გაჭირვების გაზიარება, გვერდით დგომა. მის მსჯელობაში, საქციელში მისი დიდი ოჯახიშვილობა გამოსჭვიოდა.

პეტრეს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არ დასცალდა. ასეთი ახალგაზრდა მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, რაც, ალბათ, ლოგიკური შედეგია მის მიერ განვლილი უმძიმესი წლებისა.

ეს ტრაგედია იყო არა მარტო მისი დიდი ოჯახისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, მაგრამ, სანუგეშებლად, თავის სათაყვანებელ სამშობლოს ორი ვაჟკაცი დაუტოვა. მოვა დრო და ისინი თავიანთ სათქმელს უცილობლად იტყვიან. მათ შთამომავლობას ახლა უკვე პატარა ნუციკო გელბახიანიც შეემატა. იდღეგრძელონ და გამრავლდნენ პეტრეს შთამომავლები.

მანანა კერესელიძე

დიდი პეტრე

ჩვენი ოჯახისთვის იგი დღესაც "დიდი პეტრეა," ჩვენი უფროსი ვაჟის სეხნია, რომელმაც უფროსი შვილობაც კი ჩამოართვა მას, სწორედ ამიტომაც, ასე ძალიან მიჭირს მისი გახსენება და მასზე წარსულ დროში საუბარი. იმდენად მიჭირს, ჩემს თავს კიდეც ავუკრძალე ამაზე ფიქრიც. ყველაფერს, რაც მასთან გვაკავშირებს, ცალკე ვინახავთ და, აი, როგორც იქნა, მოვიკრიბე ძალა და დავუბრუნდი იმდროინდელ მოგონებებს, საბუთებს, წერილებს, რადგან მინდა, "ჩვენი დიდი პეტრე'' გაგაცნოთ, რათა სრულყოფილი იყოს თქვენი პეტრეს, პეტრე გელბახიანის, პორტრეტი. მინდა იცოდეთ, რაოდენ ძლიერი იყო სულიერად, რაოდენ მტკიცე და მედგარი და იმავდროულად, ბავშვივით წრფელი და უშუალო, როგორი საიმედო და თავდადებული თანამებრძოლი იყო, ერთგული მეგობარი, როგორი პროფესიონალი და გულისხმიერი ექიმი, სიტყვის პატრონი. ვინც ჩვენს სასამართლო პროცესს ესწრებოდა, ემახსოვრება შემთხვევა, როდესაც სასამართლო დარბაზში დამსწრე საზოგადოებიდან ერთი პიროვნება ცუდად გახდა. სასამართლო სამედიცინო სამსახურმა სასწრაფოს გამოძახებაც კი ვერ შეძლო. იმ, საყოველთაოდ მოშლილი კომუნიკაციების პირობებში, პეტრემ მოსამართლესა და ბადრაგს პირობა მისცა: არ გავიქცევი, მიმიშვით და ვუშველიო.

ბადრაგმა ხალხი ორად გაყო, კორდონი გაკეთდა, განსასჯელი სასამართლოს დარბაზიდან გარეთ გამოვიდა, ავადმყოფი გადაარჩინა და ისევ განსასჯელის სკამს დაუბრუნდა.

აგერ ხელთა მაქვს პეტრეს წერილი. რაოდენი სულიერი ძალა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ასეთი წერილი დაეწერა, ისიც სიკვდილმისჯილების საკნიდან და მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის, დახვრეტის, გამოტანიდან მეხუთე დღეს. ჯერ ორთაჭალის ციხე რა იყო და ახლა სიკვდილმისჯილთა სარდაფი, რა იქნებოდა. პეტრე, ეს ორმეტრიანი ვაჟკაცი, ამ საშინელი სარდაფის ყველაზე საშინელ საკანში მოათავსეს, არა და სხვა საკნები თავისუფალი იყო.

როდესაც იქ, იმ სარდაფის მეორე მხარეს, მეც აღმოვჩნდი, ძალიან გამიჭირდა. სულ რამდენიმე დღე გავატარე იქ, მაგრამ ახლაც ძალიან მიმძიმს ამის გახსენება. იქ მყოფს ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს ეს უშველებელი შენობა გაწვება მხრებზე. პეტრე, რომელიც უარეს, უფრო უარეს პირობებში იყო და განაჩენიც ბევრად მძიმე ჰქონდა, აქეთ მამხნევებდა. საოცრად დადებითი მუხტი მოდიოდა მისგან, ომახიანი ხმით მესაუბრებოდა და "მპატრონობდა." ყველანი განვიცდიდით მის მდგომარეობას, გაუტეხელი სულის პეტრე კი ჩვენზე ზრუნავდა. უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდის "სპეცების", როგორც ციხის იმ კორპუსს ეძახდნენ,

ყველა პატიმარს მაშინ უმაღლესი დონის სამედიცინო დახმარება გვქონდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ გედევანისა და კანდიდატ პეტრე გელბახიანების წყალობით.

ერთ შემთხვევას გავიხსენებ. როდესაც გვერდით საკანში ერთმა პატიმარმა მეორე მუცელში დანით დაჭრა, ჭრილობა, რომელიც საკმაოდ ღრმა და მძიმე იყო, პეტრემ გაწმინდა. ჩვეულებრივი ნემსითა და ძაფით ისე ამოკერა, რომ ავადმყოფს ნაკერი არა თუ დაუჩირქდა, არამედ შეხორცების შემდეგ ნაწიბურიც კი არ ეტყობოდა. პატიმრები ხუმრობდნენ: კოსმეტიკური ნაკერი დაადოო.

ჩვენო "დიდო პეტრე." იცი შენ, რომ მე და რუსუდანმა უფროს შვილად მიგიღეთ. ჩვენი ბიჭებისთვის იყავი და ყოველთვის იქნები გაუტეხელი ქართული სულის საუკეთესო მაგალითი. ძალიან გვიყვარხარ, შვილო პეტრე, და ყოველთვის გვეყვარები. გვაკლიხარ და გვენატრები. ვიცი, მწამს და ველოდები იქ, იმქვეყნად შენთან შეხვედრას!

ვიქტორ დომუხოვსკი

თავისუფლების სახისმეტყველება

რუსუდან კერვალიშვილი

ჟურნალისტ ქეთევან ქურდოვანიძის ინტერვიუ

მას ქათქათა თეთრი სამოსი ეცვა, რაც ერთგვარად მიანიშნებდა, რომ რაღაც განსაკუთრებულად წმინდაზე, სუფთასა და მიუწვდომელზე უნდა ესაუბრა. საოცარი სიმსუბუქით ჩამოჯდა შავ სავარძელზე.

— პეტრეზე უნდა გიამბოთ, არა?

სევდანარევი ხმით იკითხა ქალბატონმა რუსუდანმა.

აქვე გაიელვა შავისა და თეთრის მარადიული ჭიდილის განცდამაც და ამ მარტივ სიმსუბუქეში ერთგვარი მძიმე დეტალი გაჩნდა...

— **თუ შეიძლება, გაიხსენოთ, სად გაიცანით.**

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ კოლეგები ვიყავით. რკინიგზის საავადმყოფოში. პეტრე კარდიოლოგიაში მუშაობდა და ძალიან კომუნიკაბელური და მეგობრული იყო. ასე რომ...

წამით შეყოვნდა, ალბათ, წარსულის შეუქცევადმა მარადისობამ გაიტაცა, მოგონებები წამოეშალა.

— და ამით გამოირჩეოდა?

ერთგვარად სიტყვა შევაშველე.

— საერთოდ იმ პერიოდში ჩვენს საავადმყოფოში ბევრი ისეთი ადამიანი მუშაობდა, რომლებსაც „უძრაობის" პერიოდის საზოგადოებისგან განსხვავებული იდეები ჰქონდათ. მათ შორის პეტრე მართლაც გამორჩეული იყო. ყველას განსაკუთრებულად უყვარდა. მასთან ხშირად ვურთიერთობდით, გვქონდა პროფესიული კონსულტაციებიც.

— მაგრამ როდესაც მის განსაკუთრებულობაზე საუბრობთ, ალბათ, სრულიად სხვა რამეს გულისხმობთ?

ჩავეძიე.

— თავისთავად, საოცარი სხვა რამ იყო — მისი დამოკიდებულება ეროვნულ მოძრაობასთან. ამ პერიოდში პეტრე სულ სხვაგვარად წარმოჩნდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რკინიგზის საავადმყოფო ბობოქრობდა. აქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ეროვნულ მოძრაობას, რაც ჩემთვის და ზოგიერთი სხვა ადამიანისთვისაც იმ პერიოდში, ცოტა არ იყოს, გაუგებარი იყო. არ მესმოდა, რატომ იყო პეტრე ასე აქტიურად ჩართული ამ პროცესებში, რამდენად წრფელი იყო მისი დამოკიდებულება, რამდენად ესმოდა, რასთან ჰქონდა საქმე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ძალიან საინტერესო პიროვნება იყო ჩვენთვის. ერთ

მშვენიერ დღეს ჩვეულებრივი პეტრე არაჩვეულებრივ ადამიანად იქცა.

თვალებში საოცარი სხივი გაუჩნდა — ერთდროულად აღფრთოვანებისა და სინანულისა.

— და მაინც, რა იყო მასში არაჩვეულებრივი?

— ეს იყო ადამიანი, რომელმაც ყოველთვის იცოდა ჩვენგან განსხვავებული ინფორმაცია, ყოველთვის იყო სხვა ამბის მომტანი. და საერთოდაც, პეტრეს გარშემო შეიქმნა გარკვეული ცენტრი ეროვნული მოძრაობისა.

— და ამის შემდეგ თქვენც ჩაერთეთ არა ეროვნულ მოძრაობაში?

დავასწარი. უცებ ძალიან მინდოდა, რომ ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი, მაშინ, ოცი წლის წინ, „ჩვენს" მხარეზე ყოფილიყო.

— არა, მე მაშინ ერთი ჩვეულებრივი ექიმი ვიყავი, რომელიც საერთოდ არ იყო ჩართული ამ მოვლენებში. პეტრესთან შემდგომმა შეხვედრამ საშუალება მომცა, წლების განმავლობაში დაგროვილი და გაცნობიერებული განცდა ახლა უკვე თამამად გამომევლინა.

მტკიცედ, საოცრად გულწრფელად და ერთგვარი სინანულით მიპასუხა.

— როგორ მოხდა თქვენი შეხვედრა მეორედ?

ასევე გულდაწყვეტით დავეკითხე.

— ბავშვები და მათი პრობლემები, ერთი სიტყვით, უპატრონო უნარშეზღუდული ბავშვები. ეს იყო ჩვენი შეხვედრის ახალი რეალობა მას შემდეგ, რაც პეტრემ მარტომ გამოიარა სიკვდილმისჯილის საკანი. როდესაც სიკვდილს თვალებში უყურებდა, ჩვენ კი სულ სხვაგვარად ვცხოვრობდით, ვერ გამოვიჩინეთ მის მიმართ სათანადო ყურადღება და ზრუნვა. ეს ახლაც საოცრად მაწუხებს.

— მაგონდება ილიას „სარჩობელაზე", როდესაც ხალხის გულგრილობით გაკვირვებული პეტრე ეუბნება საკუთარ თავს: „ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები ერთ ცვარ ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ.

— რადგან ილია გავიხსენეთ, აქვე ვიტყვი, რომ ამავე მოთხრობის მეორე პერსონაჟის, წერილის ავტორი ახალგაზრდა ყმაწვილის დარად, პეტრე გელბახიანს არასდროს უთქვამს: „მძულს ქვეყანა და ადამიანი," არასოდეს დაუწუწუნია, რომ მრავალი წელი უსამართლოდ იტანჯებოდა. ამას დანამდვილებით გეტყვით, რადგან ჩვენ ხშირად გვიხდებოდა ერთად ყოფნა, შეხვედრებზე, ბავშვთა სახლებში... ერთადერთი განცდა, რომელსაც პეტრეს შეატყობდით, წუხილი იყო ამ უმწეო ბავშვების ბედზე. თავის დიდ ტკივილს კი არავის აჩვენებდა, არავის უმხელდა და გულის სიღრმეში ატარებდა, როგორც

საკრალურ განცდას. საოცრად ბავშვური იყო, იმდენი რამ ჰქონდა გადატანილი, მაგრამ ბავშვივით გულუბრყვილო დარჩა. უკვირდა უსამართლობა, უკვირდა ადამიანის გულისტკენა, ღალატი კი უბრალოდ არ წარმოედგინა. მაშინ მივხვდი, რატომ იყო ჩვენსა და მას შორის ასეთი სხვაობა. მასში არ იყო ნამცეცი გაბოროტებისა, შურისძიებისა, ის იყო თავისუფალი ამ მანკიერი გრძნობებისგან და ალბათ, ამიტომაც იყო ასეთი ლაღი.

ეს პათეტიკური მონოლოგი რაღაც გამოუთქმელი სიმშვიდითა და სიყვარულით წარმოთქვა. თითქოს საკუთარი ნათქვამის ხელახლა შეგრძნებას ცდილობსო. უჭირს მოგონებებთან განშორება.

— და მაინც, მოახდინა თუ არა მან თქვენზე გავლენა?

— ძალიან დიდი. წარმოიდგინეთ, რომ ოცნებობ — რაღაც გააკეთო, მაგრამ გზას ვერ ხედავ. მან სწორედ ეს გზა მაჩვენა. როდესაც შევქმენით ფონდი „ბავშვები ჩვენი მომავალია" ჩვენთვის სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო. ფონდის მიზანი იყო სხვადასხვა ბავშვთა სახლების აღსაზრდელების დაახლოება, იმის უზრუნველყოფა, რომ მათ ჰქონოდათ კონტაქტი ჩვეულებრივ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებთან. ამაზე ფილმებიც არის გადაღებული „ჩიორები" და „ჩვენი შვილები," ამიტომ

აღარ გავაგრძელებ. ერთი სანახაობა იყო, როგორ ექცეოდა პეტრე ამ ბავშვებს, როგორ ერთობოდა, როგორ უკრავდა, როგორ ხალისობდა მათთან ერთად. როგორ ხარობდა მათი სიხარულით. გულსატკენია, რომ ეს ყველაფერი ასე მალე დამთავრდა. ჩვენ საოცარი რამ შევძელით ერთად. 14 იანვარს მე და პეტრემ შევკრიბეთ ქუჩის ბავშვები, ავიღეთ მე-8 საავადმყოფოში პალატები და ბავშვები იქ დავაბინავეთ, ღამის გასათევი მაინც რომ ჰქონოდათ პატარებს. ჩვენი პროექტის მიხედვით, ამ ბავშვებთან საუბრები უნდა ჩაეტარებინათ პეტრეს, დათო ტურაშვილს, ირაკლი კაკაბაძეს, მიეცათ მათთვის განათლება და ოდნავ მაინც შეეცვალათ მათი ცნობიერება.

— და ეს თქვენ მოახერხეთ?

— სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე ხნით, რადგან ასეთ პროექტებს ძალიან დიდი მხარდაჭერა სჭირდება. პეტრეს ბევრი ასეთი პროექტი ჰქონდა დაწყებული, რომლებიც სამწუხაროდ ბოლომდე ვერ განახორციელა. რაც შეეხება ცნობიერების შეცვლას, ეს კი ნამდვილად მოახერხა. მან გვიჩვენა, როგორ უნდა იცხოვრო სამყაროს უმშვენიერესი საცდურების გვერდის ავლით, როგორ უნდა გაითავისო ქრისტიანობის მთავარი იმპულსი — თავგანწირვა და როგორ უნდა ეზიარო კაცობრიობის მთავარ იდეას — სიყვარულს.

საუბარი მთავრდება. რაღაც ახალი ითქვა, რაღაც მნიშვნელოვანი გაცნობიერდა. არაფერი დასრულებულა, ყველაფერი ახლა იწყება, რადგან პეტრეზე სათქმელი კიდევ ბევრი რამ დარჩა. ეს არის ცხოვრება, ეს არის მარადისობა, ეს არის თავისუფლების სახისმეტყველება.

ლექსები

"ლექსები არასოდეს მიწერია" — წერს ერთ-ერთ წერილში პეტრე. პროფესიით ექიმს პირველად სწორედ იქ, "ჰადესის სამეფოში" დაუწერია ლექსი.

ეს ერთი შეხედვით, გაუწაფავი ლექსები, გულწრფელი გამოძახილია მისი შინაგანი სამყაროსი, რომელიც ღრმა, საინტერესო და ფილოსოფიური იყო. ცხოვრებაში მწარე რეალობას შეჯახებული, ღალატისა და დაუნდობლობის მომსწრე, იმედგაცრუებასა და უიმედობას მაინც არ მისცემია, ვინაიდან განსაცდელის ჟამს ბევრი სითბო და სიკეთეც უგრძვნია, უამრავი ახლობლისა თუ სრულიად უცნობი ადამიანებისაგან.

გთავაზებთ გისოსებს მიღმა დაწერილ მის რამდენიმე ლექსს; თავად არავისთვის უჩვენებია

ისინი, მხოლოდ დედას, ქ-ნუცას გადასცა და ახლა ჩვენს შორის რომ ყოფილიყო, უთუოდ აგვიკრძალავდა მათ ფართო საზოგადოებაში გამოტანას. ჩვენ კი თავს ნება მივეცით წიგნში შეგვეტანა ისინი, არა შესაფასებლად, არა მსჯავრის დასადებად, არამედ იმ სამყაროში შესახედად, რომლის კარს მძიმე ბოქლომი დაადეს, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ეს სამყარო კი ოდნავ სევდიანი, ფიქრიანი, და დიდი შეჭირვების მიუხედავად, ხშირად იმედიანი იყო.

ასევე საინტერესოა მისი რამდენიმე ჩანახატი, სადაც დახშულ-დაგმანულ ერთი ბეწო სივრცეში მოქცეულ რაინდს მზის სხივი ენატრებოდა, ალბათ ამიტომაც არის, რომ მის ნახატებში ციხის საკანი, თუ მის გარეთ მდებარე ტერიტორიაც უფრო გადაშლილ ველსა თუ აყვავავებულ ბაღსაა მიმსგავსებული, რითაც ერთი მხრივ, თითქოს გაუსაძლისი კლაუსტროფობიული სივრცის პროტესტი, ხოლო მეორე მხრივ, თავისუფლების, გაშლილი სივრცის მოსაკლისებაა გამოხატული.

საერთოდ კი, პეტრეს ეს ლექსებიც და ნახატებიც ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი, მერაბ კოსტავას მსგავსად, პაწაწინა საკანში იმყოფებოდეს და არწივივით თავისუფალი იყოს.

ც. გაბესკირია

* * *

არ დაველოდეთ თურმე გაზაფხულს,
ისევ ვიპოვეთ ჩვენ ერთმანეთი,
ისე მიყვარხარ — როგორც არასდროს!!!
თავს იწონებენ თეთრი ვარდები.

აღდგომა

სიზმრიდან ცხადი ხდება,
აღდგომის ბრწყინვალება,
უიმედობა ქრება,
კვლავ სათნოება ჩნდება.
ციურ, მისტიურ ფერთა
შარავანდედად კრება,
საზღაპრო ნატვრის ხეთა
ჩურჩულთან ზიარება.
ვაჟკაცი იბადება,
იზრდება, იხვეწება.
წმინდა მირონის ცხება,
გრძელდება... კვლავ გრძელდება.

12.04.96

ენიგმა

სიდინჯეს მოაქვს ბედნიერება,
ყველა წამს, ყოველ წუთს ჰყავს ორეული,
— ნელა!
ჟინის მოკვლისთვის, ქარაფშუტობის
მორევში ჩათრეულს, ნუ განიკითხავ
— მას უნდა შველა!
მსუნაგს და ხარბსაც მოსწყინდება
ამქვეყნიური ამაოება, გადაწყვეტს
— მჭირდება ფიქრი!
სულებისა და აზრების ბრგე მხედრიონი
დედამიწიდან ვენერასკენ — შეხედეთ
— მიჰქრის!
შებინდებისას ვუწყებ მუსაიფს მთვარეს,
იდუმალებით მოცულს, ლამაზს,
მზისგან დაფარულს "დაჩაგრულ" მხარეს.
ენიგმას ვტყუებ
— მალავს.
ვიკრებ ძალ-ღონეს, ვემზადები,
შევებრძოლები უკანასკნელად
—მტარვალს!
არამზადებო, ვერას გახდებით!
ვერ მოერევით
— მართალს!

27.12.95.

* * *

დამწვარი ზეთის და დენთის სუნი,
კვლავ თრიაქივით დამივლის ტალღად...
შეუდრეკელი მეომრის სულში
ახმიანდება "შავლეგო" ლაღად.
ერის ამაყი სული

თითქოს დადუმდა ჩანგი, მინელდა ყველა ვნება,
მოძალებული ბანგით პათოსიც სადღაც კვდება.
ეშმას მორიგი ფანდი საბედისწერო ხდება...
ერის ამაყი სული ტყვიებით იფერფლება,
ჩვენ შევკრებთ ლაშქარს, შევადუღაბებთ,
წარსულს მოვტაცებთ იბერთ დიდებას,
ბუკით მოვიხმობთ გმირებს, გულადებს!
ვიხილავთ ერის გამობრწყინებას!

06.06.95.

* * *

ეს არის ბრძოლა — რა დაგვემართა?!
განკითხვის თრთოლვა — უხმობს ხმას მართალს.
დროშათა ქროლვა, ურჩ მეომართა
ვნება და ლტოლვა ნეტავ სად გაქრა?!

ეჭვების ბურუსს ემატება ღალატის ნისლი,
მზის სხივს არ უშვებს ბოროტებით
ნაჯერი ისლი,
ქირქილს ვერ ახშობს სილამაზის
ნათელი ფიქრი,
სასოწარკვეთას ვეღარ მალავს
მდუმარე სფინქსიც.
ქარტეხილთა მოშიში — დაუბრუნეთ
ჭაობს ნესტი!
ვაჟკაცობის მოღალატეს ტყვიასაც კი ვესვრი!
ნუ წაართმევთ ლეშის მჭამელს
მის ჩვეულ საზრდოს,
შხამის დამთხეველს ისევ შხამმა უნდა არგოს!

27.06.96

ეძღვნება ლელას

მაგარი ჩაი, თამბაქოს ბოლი,
დარდი ვარამი, სულში ღრმად სოლი,
შენი ღიმილი, კბილები — ბროლი,
ეს სიყვარული — უსაზღვრო მოლი.
ჩვენი შვილები, მხარგაშლილები,
დედის ალერსზე გონშეშლილები,
განსაცდელს ვუმზერთ არშეცვლილები,
მძიმე უღელი გვერგო ცვლილების.

გახსოვს ბავშვობა? პირველი კოცნა?
სულ არ სცოდნია სიყვარულს მოცდა,
ეკლესიაში ჯვრისწერის ლოცვა,
თითქოს ვარსკვლავმაც ის ღვინო მოსვა...

2003 წელი ანკარა სასტუმრო "მილენიუმი"
ფინეთის ვიზის მოლოდინში

* * *

მე ვერ ვგებულობ შენს გულის ნადებს
ან რად გახარებს აგრე ტყუილი?
ეჭვებს და ბოღმას დღითიდღე მმატებს,
სიტყვანი —შენგან გამოსროლილი.
გაუცხოებას ჩვენ შორის ბადებს,
წარმართულს კიდევ ამრავლებს ხატებს,
გულანთებულებს ცივ წყალში აგდებს,
შეუკაზმავ ცხენს ყრუ ლაგამს ადებს...
სიტყვანი შენგან გამოსროლილი.

23.10.97

* * *

ალიონს ხვდება დაღლილი ღამე,
კვლავაც გახსნილა ჩემი იარა,
ციურ ჭიდილში შევიცნობ რამეს?
მეგონა... თითქოს გამოიდარა.
შენი სახე კი ვით წმინდა სვეტი,
მუდამ მინათებს მე ამ ბნელ საკანს!
ზღვაა თუ ზეცა? თუ მათზე მეტი?
სითბოს, ალერსის, სიკეთის "საგავ"!
გიმზერდი მუდამ კრძალვით და რიდით,
თურმე ვერაფრით ვერ შეგიცანი,
შენ სილამაზეს ავსებ სინათლით,
დახშული გულის ხარ შენ მისანი!
და თუ გათენდა — ის — რაც ჩვენ გვინდა,
დაჭექავს ბუკი, იტყვის ნაღარაც!
ჩემო ფერიავ! რაც შენთვის მინდა
უჩემოდ გეტყვის გული ჭაღარა.

27.09.97

* * *

მთებსაც და მდელოს ისევ
ძველებურად მივესალმები,
ალმოდებულ ვნებას მოწიწებით
მივეპარები,
ქარის და სეტყვის ჯადოქრობა არ

გამაკვირვებს,
იკაროსების ბედ-იღბალი უფრო
მაფიქრებს.
შენ კი... თვალთმაქცო, არ გაგივა
მორჩა "გირაო",
მაგ ცოდვილობას არ ჩაგითვლის არვინ
ირაოდ.
შენი სიბრმავით ვერ შეიცან ვერც ერთი
ფერი,
ხსნა ერთი არის — უფლისაკენ აღმართო
ხელი!

20.09.97 საკანი 45

* * *

რას ფიქრობს კაცი? — კაცმა არ იცის
ან რად სჯის პირველს მეორე კაცი?
ნეტავ, ეს არის აპოკალიფსი,
კაცობრიობის საერთო მარცხი?
დარბაზში ისევ გრძელდება ვალსი,
სასმელით ისევ ივსება თასი,
სანგარში ისევ დაიჭრა კაცი,
ღმერთო, უშველის კაცს ისევ კაცი?!

11.03.95.

* * *

ჰეი, ჯალათო, ნუ ღელავ, გამოჰკარ კაუჭს თითი
და შენ, სიცოცხლევ, პეპელავ,
გამშორდი, განმირიდდი.
გადაუფრინე ჩემს ქალაქს, მოინახულე ყველა,
ჩემი დიდი და პატარა, არ დაივიწყო ლელა!

დღეს თავგანწირვა მაჩვენეს ჩემმა მებრძოლმა ძმებმა.
სანამ გავტყდებით, მოვკვდებით,
რომ არ გვაჯობოს მტერმა!
ქვეყანა ჭუჭყით გაავსო სატანის თეთრმა თმებმა,
დროა! გაწყვიტოს ბორკილი, ხმა ამოიღოს ერმა.

ქვეყნად კი დარჩა რამე სიძნელე? შენ ჩააბარე
ყველა გამოცდა,
შუქით გააპე შავი სიბნელე, გადაივიწყე,
გუშინ რაც მოხდა.
ეს არის, ალბათ, კედელი ბოლო,
გადაგველახოს მტრების ჯინაზე,
გამარჯვების კი ჩვენი სიმბოლო,
დედაა მხოლოდ დედამიწაზე.

14.03.95.

* * *

ვეჩვევი ამ ჩემს პატარა საკანს,
მდუმარე კედლებს ვუწყებ ლაპარაკს,
მაგრად ამოვდებ გასაჭირს ლაგამს
და კვლავაც გავშლი ოცნების აფრას.

რომ გავიმეტო მე შენთვის სიტყვა,
უნდა მიჩვენო გული ხალასი,
ახლა კი მესმის გონების რისხვა,
დარღვეულია ყველა ბალანსი.

ვინც მყუდროებას ცვლის ქარიშხალზე,
ვინც უარს ამბობს ფუჭ ჭამა-სმაზე,
ვინც მტკიცედ დგება სიმართლის გზაზე,
არ უშინდება მტერს მარაბდაზე,
ივლის ის მუდამ გამარჯვებული,
მას ვერ მოდრიკავს ცილისწამება,
ერის ნებაში აზვირთებული,
მუდამ დალოცავს წმინდა სამება.

10.03.95
საკანი 18

* * *

განშორების სინანულს, ცვლის
შეხვედრის ზეიმი,
მარტოობავ, შენებურად მეთამაშე გეიმი.
ჩემო ფიქრო და აზრებო, ნახეთ ჭეშმარიტება!
დრო კი არის დაგასვენოთ, თქვენ
რად გინდათ მტკიცება?!

თავისუფლებას, ნათელ იდეებს
თრგუნავს სატანა, მტერი ბოროტი,
ნუთუ, პატრონობს ამ მთებს და მინდვრებს
მხოლოდ აგენტი და ცერბეროსი?!

18.03.95.

* * *

მაგრად მამღერა ცხოვრებამ,
მასწავლა რთული ბილიკის კვლევა,
სიტკბო მაჩვენა თავისუფლებამ,
ვიცი სიკვდილის სიკვდილით ძლევა!

ვაჟკაცობითა ნაზავი, კაცური
არის ღიმილი ლაზური,
დარბაისლობის მწვერვალ-სადარი,
ასეთი ხალხი სხვაგან სად არის?

19.03.95.

* * *

Палач, эмоции не нужны,
Ведь колебания вам чужды,
Подам я мужества урок,
А вы нажмите на курок.

შენ რომ?!.

მიუწვდომელო, მზეთუნახავო — შენ რომ
ოცნების ქარში გაგიტაცოს უხილავ პირმშომ,
გათრობს, გატყვევებს იდუმალი თეთრი მანტია,
ნისლში გახვეულს ქედმაღლობა მაინც გატყვია!
წამით დავაგდებ საფიქრალსა და ჩემს მძიმე უღელს,
აზრით ნავარდში დაგეწევი, გავაპობ ღრუბელს,
სივრცეს ჟამთასვლას დავუდგები მე მბრძანებელად,
წვიმად ვიქცევი ცხელი მიწის გასანელებლად.
დაღლილ გონებას სცილდება სევდა მძიმე ტალღებად,

მათ ბობოქრობას ზეცა ისრუტავს ციურ ჭაღებად,
მედიტაცია გასცდა კოშკებს... სხვა გალაქტიკებს...
მხოლოდ შენ გეძებს, რომ დადინჯდეს,
შენ ხომ გაგიგებს?!.

08. 12. 95

* * *

ისმის ხარხარი რიხიანი, მაგრამ ლაჩრული,
გრძნობას აძალებს, თავს არ ზოგავს პატარა კაცი,
გარს ეხვევიან სინდისნამუსგადამალულნი,
კუდის ქიცინის დიდოსტატნი, ლაჩართა დასი.
ისმის ტრაბახი უსირცხვილოდ, დითირამბები,
სიცრუეს უხმობს სარბიელზე ამპარტავნება,
მწირი გონების მომსახურე მცირე თვალები,
ჩასჭიდებიან, არ ეთმობათ თვისი მონობა.
და, აი, ისიც, ვით ცაზე მეხი!
მედიდური და ყველაზე წყნარი,
მოღალატისთვის – მრისხანე ცეცხლი,
მოყვარულისთვის —ხმატკბილი ქნარი.
წამით შეყოვნდნენ, ვით მონუსხულნი,
მტრობას გული გრძნობს და შემდეგ მკლავი,
უნდა შემუსროს კაცთა მაგვარნი,
ბოდიშს იხდიან ხმით გულსაკლავით.
დაფიქრდა გმირი... ისევ დილემა...

რომელი არის სასჯელი მათთვის?
მოქნეული ხმლის დიდი ჭრილობა
თუ სასიკვდილო სირცხვილი ლაფის?!
ბოროტებასთან იბრძვის სიკეთე,
გარიჟრაჟს ებრძვის წყვდიადი მთაში,
თავგანწირულთა წმინდა სიქველე,
ზნეობის დუღაბს ამაგრებს ხალხში.

სულისკვეთებას!

სიკვდილ-სიცოცხლის ეკლიან გზაზე
დაიბადება კვლავაც სიმართლე.
ჩვენ ტანჯვით, ცრემლით ნაკურთხებ გზაზე,
გადაიაროს დაღუპვის საფრთხემ.
დადის და ბორგავს, ვერ დაისვენებს,
მას ეძახიან ზეცის ზარები,
ცაში აგიყვანს, შთაგბერავს ვნებებს,
თუკი სიმართლეს ეზიარები.
ოჰ, რა საოცრად დუმს ეს სიჩუმე,
ოჰ, რას გვიმზადებს ეს ქარტეხილი,
მიწისქვეშეთის ყველა სიმრუდე
ამოიფრქვევა ერთად შეყრილი.
შავი ზღვა ღელავს ლურჯი ტალღებით,
მას უერთდება ენგური ჩქარი,
კი! ჩვენ ურთიერთს მოვენატრებით
და გამარჯვების გვიმღერებს ქნარი!

27.09.97
კარცერი

იუმორი

40 წელს უკვე გადააბიჯა, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ბუნება მარტო სასეირნოდ უყვარს და ვერც ნადირობასა და ვერც დაბერებული ხეების წიაღში ქეიფს ვერ იტანს. არც თევზაობა და ბადით მდინარეზე აღმა-დაღმა ხეტიალი აინტერესებს. სასმელის მოყვარულია და კარგი თამადის სახელიც აქვს. ბუნებით ემოციურია, ხოლო დაწყნარებას თვითშთაგონებით ახერხებს. ინტუიცია კარგი აქვს და იშვიათად ცდება ადამიანში. მანქანის ტარება ბაბუას მძღოლმა ასწავლა, მოსწონს ქუჩებში ქროლა, თუმცა, ამჟამად საკუთარი მანქანა არ ჰყავს. ასაკის მომატებას მანქანის სიჩქარის შემცირება მოჰყვა და ფრთხილ მძღოლად იქცა. საოჯახო საქმეების კეთება არ უჭირს, ხოლო საჭმელების კეთების ხელოვნება ციხის კედლებმა ასწავლა. წითელ ბორშჩს ამზადებს, ისეთს, ბორშჩის უნახავი გახდები. რისკი არ აკლია და ზოგჯერ ასპროცენტიანი შანსიც საკმარია, საქმე წამოიწყოს. აზარტულ თამაშებს გასაგონადაც ვერ იტანს. აქტიური მწეველია, დღეში კოლოფი არ ყოფნის და თავის დანებების მეთოდს ვერაფრით მიაგნო. ხანდახან ლექსებსაც წერს, მაგრამ პოეტის სახელის მოპოვებამდე ვერ „ქაჩავს."

ტელეპათები

ერთ იშვიათ ისტორიას მოგიყვები, რომელიც ციხის პრაქტიკაში, ალბათ არც კი მომხდარა. წარმოიდგინე, სიკვდილმისჯილები ვართ მე და ბატონი ირაკლი დოკვაძე, მიწისქვეშა საკანში ცალ-ცალკე მოგვათავსეს და თითო უბრალო რადიომიმღები მოგვცეს, რათა გარე სამყაროსთან კავშირი გვქონოდა. მოკლედ, გვაქვს მხოლოდ თეფში, კოვზი და რადიომიმღები. ირაკლიმ შემომითვალა, რადიოგადამცემს გავაკეთებ და ვისაუბროთ ხოლმეო, თორემ მთლად გამოვყრუვდებითო. ვიფიქრე, ხუმრობს-მეთქი. ვნახოთ, რაღაც პატარა უბრალო ნივთმა მოაღწია ჩემამდე, ღილაკს თითი დავაჭირე და ირაკლის ხმა არ მესმის?! ნუ, გენიოსია! თანაც, „პრიომ-პერედატჩიკი" კი არ არის, ტელეფონივითაა, ერთდროულად ლაპარაკობ და გესმის კიდეც. გაჟონა ამ ინფორმაციამ, ერთმანეთთან საუბრობენო და დაგვიწყო ადმინისტრაციამ შემოწმება. ყველაფერი გადააბრუნეს, რადიომიმღები დაშალეს და ააწყვეს, მაგრამ იმ უბრალო ნივთის გასინჯვა არც კი უფიქრიათ. ბოლოს ერთი ოფიცერი მომადგა და მეუბნება:

— კაცო, ეს ჩვენი ხელმძღვანელობა რა სულელია, თქვენზე რომ იძახიან, გადამცემი აქვთო.

ამ დროს ირაკლის ჩართული აქვს რადიოგადამცემი და საუბარი ესმის.

— კი, ვსაუბრობ ხოლმე. — ვაღიარე.

— რანაირად? — დააღო პირი.

— ტელეპათიური კავშირი გვაქვს.

— როგორი? — გაფითრდა.

— ტელეპათიური. — ვუხსნი — აზრებით ვსაუბრობთ. ჩემი ნაფიქრი მას ესმის და მისი — მე.

— ყოჩაღ, კარგი ხუმრობაა. — შემაქო.

— ციფრი მითხარი გონებაში გავიმეორო. — დაძაბული სახე მივიღე.

— ხუთი.

— ხუთი, ხუთი, ვსიო გადაცემულია. — გაქანდა ირაკლისთან.

— აბა, პეტრე რაზე ფიქრობს? — ეკითხება.

— რა ვიცი, ტვინი ამიდუღა, „ხუთი" „ხუთი" იმეორებს. — ოფიცერი გადაირია.

— აბა, ოცდაშვიდი გაიფიქრე!

— აჰა, გავიფიქრე. — მოქანდა ჩემთან.

— რაო, ირაკლიმ?

— ოცდაშვიდიო.

— შეუძლებელია! — ცემენტიან იატაკზე დაჯდა. — აბა, აბა, სამას ორმოცდაშვიდი გაიფიქრე. — რკინის კარის ფერი დაედო, ცუდადაა! ჩემამდე არ მოსულა, მოფოფხდა, კედლებს ეყუდებოდა!

— ის რას ფიქრობს? — დაიკვნესა.

— ოთხი ათას ორას თორმეტი. — გამოვუყვანე წირვა. ოცი წუთი ხმას არ იღებდა, გამისკდა გული, ხელში არ ჩამაკვდეს-მეთქი.

— გეხუმრეთ კაცო, გადამცემი გვაქვს მართლა, მაგრამ თუ ძმა ხარ, არავის უთხრა, რა!

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ. — შემპირდა. გათენდა თუ არა მთელი ადმინისტრაცია უფროსიანად თავს დამადგა.

— რადიო მომეცი. — მეუბნება უფროსი.

მივეცი. კარგა ხანს ათვალიერა, ვერაფერი უპოვა ისეთი და დამიბრუნა.

— გადამცემი მართლა გაქვთ? — მოჭუტა თვალები.

— არა, ბატონო, ვინ გითხრათ, ისე, ერთი კითხვა მაქვს.

— გისმენ. — მომაჩერდა.

— ე, იმ კაცს ნამუსი აქვს? — მივუთითე „პატიოსან" ოფიცერზე.

— ეჰ, მაგას რომ ნამუსი ჰქონდეს ამ დილა უთენია აქ ვიქნებოდი?!

ექსპერიმენტი ჩაეშალა

ღვიძლის დიაგნოსტიკისათვის ყველაზე ეფექტური და სარწმუნოა ბიოფსიის პროცედურა. ამ დროს ცოცხალ ადამიანს ღვიძლის ქსოვილს ვუღებთ

და ვიკვლევთ. საქართველოში მსგავსი მეთოდები არასოდეს გამოუყენებიათ. დანერგილი არ იყო.

ერთი ხაშურელი პაციენტი მყავდა და მივედი დასკვნამდე, რომ ამ მეთოდის გამოყენება აუცილებელი იყო. დავიწყე წიგნების კითხვა, როგორ უნდა გამეკეთებინა. სპეციალური ინსტრუმენტიც ჩემი ხელით დავამზადე. კოლეგები შემიჩნდნენ — ჯერ გვამზე სცადე, რამე უბედურება არ დაატრიალოო. ოჯახში რომ გაიგეს, ცდის ჩატარებას გვამზე ვაპირებდი, ერთი ამბავი დამაწიეს — პირდაპირ ცოცხალს მიადექი, გვამს ახლოსაც არ გაეკაროო, სახლში აღარ შემოგიშვებთო. წიგნში ეწერა, რომ ნარკოტიკით უნდა დაამუშაო პაციენტი ტკივილს რომ გაუძლოს. ავადმყოფი მიხვდა, რაც ელოდა და ხვეწნა დამიწყო:

— არ დამღუპო, ექიმო, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე. ვაი, როგორ მტკივა შიგნეულობა, ღმერთო, შენ მიშველე!

— როგორც იქნა დავაწყნარე, მორფი გავუკეთე და ინსტრუმენტი მოვიმარჯვე, რომ ნეკნებს შუა გამეტარებინა და ღვიძლამდე მიეღწია.

— უცებ ვხედავ ეს შენი ავადმყოფი არ წამოდგა? იღიმება სახე გაბადრული აქვს სიამოვნებისგან და მეუბნება:

— ეი, ჩემი ძმა, ერთი სიგარეტი მომაწევინე, რა! — ვუშოვე, მივეცი და არხეინად გააბოლა.

— ვაა, ასე კარგად ჯერ არ ვყოფილვარ, — მინაბა თვალები. — აქ რას აკეთებ?

— ექიმი ვარ, ღვიძლზე უნდა გიმკურნალო.

— ეე, რა ღვიძლი, რის ღვიძლი, არაფერიც არ მტკივა, რა მჭირს შენი სამკურნალო, თავი დამანებე, ცუდი სიბრაზე მაქვს!

სასმელი

ის პერიოდია, როდესაც კოლონიაში გადამიყვანეს. საპყრობილესა და კოლონიას შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც კოლონიასა და გარეთ გამოშვებას შორის. წესია იქ ასეთი: კოლონიაში შესვლისას უფროსი უნდა გაგესაუბროს. მოვიდა ჩვენთანაც, ვილაპარაკეთ და მეუბნება: — სასიამოვნოა, რომ ჩვენთან მოხვდით, რაც შეიძლება მეტი ივარჯიშეთ. ისე, დალევასთან დაკავშირებით როგორ გაქვთ საქმე?

— კარგ ურთიერთობაში ვარ! — გამეცინა.

— აუ! — შეიცხადა. — ყველაფრის უფლებას მოგცემ, ყველაფერში ხელს შეგიწყობ, ოღონდაც სასმელს ახლოს ნუ გაეკარები.

— ვეცდები, რა გამოვა. — დავამშვიდე.

ისე კი გამიკვირდა, ასე დაჟინებით რატომ მირჩევდა, არ დალიოო. კოლონიაში სასმელის საქმე მეტ-ნაკლებად მაინც მოგვარებულია, მეტი საშუალებაა. პირველივე საღამოს საკმარისი დოზის

მიღება მოვასწარი. კოლონიის უფროსმა შორიდანვე შემამჩნია და მაშინვე შენობაში შევარდა. მეორე და მესამე დღეს ნასვამს რომ მხედავდა, მემალებოდა. მეოთხე დღეს მოვიდა და მკითხა:

აი, გუშინ, გუშინწინ და იმის წინ მართლა მთვრალი იყავი?

—კი მთვრალი ვიყავი!

— გამოდის, რომ კარგი სიმთვრალე გაქვს?

— ნორმალური.

— მოკლედ გადაირევი რა. — გაშალა ხელები.

— რას გულისხმობ? — გამიკვირდა.

— მამაშენმა და დედაშენმა შემომითვალეს — თვალყური ადევნე, სასმელს ახლოს არ გაეკაროს, თორემ იმისთანა სიმთვრალე იცის, ყველას დასახოცად დაგერევათო...

სიგარეტი

მე სიგარეტს საერთოდ არ ვეწეოდი 1992 წლამდე. მამაჩემი სიგარეტს ახლოსაც არ გაჰკარებია. დასანახავადაც ვერ იტანს, მოკლედ დაუძინებელი მტერია სიგარეტისა. მე, რომ დამიჭირეს, პროკურორი ანზორ ბალუაშვილი იყო და მეუბნება:

— მამაშენს ციხეში მე ვერ შევატყობინებ შენი დაჭერის ამბავს და იქნებ დედაშენმა მოაგვაროს ეს საქმე.

დედაჩემიც მივიდა და ეუბნება:

— უნდა გაუძლო, ჩვენი პეტრე დაიჭირეს.

— თუ დაიჭირეს, დაიჭირეს, რას ვიზამთ! — მშვიდად მიიღო მამამ.

— სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ. — შესჩივის დედა.

— რა ვქნათ, ყველაფერი ხდება. — ეუბნება მამაჩემი.

— ერთი ამბავიც უნდა გითხრა. — აგრძელებს დედაჩემი. — პეტრეს სიგარეტის მოწევა დაუწყია.

— რაო? — იღრიალა მამაჩემმა, — რას ჰქვია სიგარეტს ეწევა, მე მაგას ვაჩვენებ სიგარეტს! შუაზე გავგლეჯ, მოვკლავ!

თურმე დილამდე არ გაჩერებულა, ინგრეოდა მთელი ციხე, როგორ გაბედა სიგარეტის მოწევაო!

ინტერვიუები

ინტერვიუ ნუცა გელბახიანთან

გაზეთი "დრო," N8
მარინე გიგინეიშვილი

იბეჭდება შემოკლებით

პროლოგის მაგიერ

მე საერთოდ ძალიან აპოლიტიკური ვიყავი, იმდენად, რომ ალბათ გაგეცინებათ, კომუნისტების დროს ცეკას და ტეკას ერთმანეთისგან ვერ ვანსხვავებდი.

ეროვნული ხელისუფლება რომ მოვიდა, რაღაც საერთო დიდი სიხარული დამეუფლა, ქუჩაში რომ გამოვიდოდი, თითქოს უფრო თავისუფლად ვსუნთქავდი, მახსოვს, როგორი ბედნიერები წავედით არჩევნებზე მთელი ოჯახი, წინ კი თურმე რა მელოდა: გულისტკივილი, აწიოკება, გაუბედურებული საქართველო და გაუბედურებული ჩემი ოჯახი...

სამოცი წლის პროფესორი მექრთამეობისთვის გაასამართლეს და 15 წელი მიუსაჯეს.

გელბახიანების ოჯახში 1961 წელს შევედი. მაშინ ჩემი მამამთილი, პროფესორი პეტრე გელბახიანი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი იყო...

მამაჩემი ირაკლი ტატიშვილი — ამავე ინსტიტუტის პრორექტორი. მე და გედიმ ერთმანეთი ჩემი ბიძაშვილის, გურამ ტატიშვილის ქორწილში გავიცანით. იმ დღიდანვე ჩამოყალიბდა ჩვენი ურთიერთობა. რამდენიმე წლის შემდეგ კი დავქორწინდით. გედის უკვე დამთავრებული ჰქონდა სამედიცინო ინსტიტუტი. მე პედიატრიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. დავქორწინდით თუ არა, მამაჩემმა დატოვა პრორექტორის თანამდებობა და მეცნიერებათა აკადემიაში გადავიდა სამუშაოდ.

დიდი ოჯახი გვქონდა, ბედნიერი... მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ამ სიყვარულს წლებმა ვერაფერი დააკლო.

18 წლისა გავთხოვდი. დედამთილი, თამარ ბეჟანიშვილი არაჩვეულებრივად კეთილი და სათნო ადამიანი იყო. თამრიკო რომ შეგვეძინა, პეტრე ორი წლისა იყო. მართალია დედამთილს პენსიამდე ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მან ბავშვებზე ზრუნვა ვერავის მიანდო და თავად ზრდიდა შვილიშვილებს.

ჩემი მამამთილი პეტრე გელბახიანი სამსახურში მკაცრი და პრინციპული პიროვნება იყო. იგი 14 წელი გახლდათ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი და ბევრს ახსოვს, როგორ ერიდებოდათ მისი პროფესორ-მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც. მაგრამ ეს საოცარი კაცი ოჯახში ისეთი მოსიყვარულე და თბილი იყო, რომ უცხოსათვის ძნელი წარმოსადგენია. მოგეხსენებათ, რა პრესტიჟული იყო იმ დროს სამედიცინო ინსტიტუტი. ყველა პატრონიანი თუ უპატრონო, ნიჭიერი და უნიჭო ცდილობდა, ამ "საოცნებო ინსტიტუტში" მოხვედრას. მე ვერ დავიჩემებ ვექილობას და არც ჩემს ცხონებულ მამამთილს სჭირდება ჩემი თავგამოდება, მაგრამ ცხადია, თუ იმ პერიოდში სამედიცინო ინსტიტუტში რაიმე დარღვევა იყო, ამაში ლომის წილი მაშინდელ თანამდებობის პირებს ედოთ. სწორედ მათ, რომელთაც შემდეგ სამოცი წლის პროფესორი მექრთამეობისთვის გაასამართლეს და 15 წელი მიუსაჯეს. ბევრს ახსოვს ალბათ მაშინდელი ამბები, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა რომ იყო გაჩაღებული და როგორც ახლა ებრძვიან კორუფციას, დაახლოებით ასეთი იყო ვითარება, ,,განტევების ვაცი" ჩემი ცხონებული მამამთილი აღმოჩნდა, რომლის რექტორობის მე-14 წელს "აღმოაჩინეს," რომ მექრთამე და ყალბის მქმნელი ყოფილა.

რა თქმა უნდა, საქმეში ჩახედულმა ხალხმა იცის, თუ ვინა და რატომ იძიებდა შურს პეტრე გელბახიანზე, მაგრამ საქმე ისე წარმართეს, როგორც აწყობდათ და მითითება ჰქონდათ მიღებული.

პეტრე და თამრიკო ერთმანეთზე მიკრულები ორმოში დამალულიყვნენ...

თუ გახსოვთ ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის პარტკომი სალარიძე დააკავეს ქრთამზე.

იმავდროულად, ჩემი მამამთილი გაიყვანეს ცეკას ბიუროზე და იძულებული გახადეს სამსახურიდან საკუთარი ნებით წასულიყო.

ჩემს მამამთილს თავისი რექტორობის პერიოდში ოჯახისთვის არ რჩებოდა დრო, სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ ზამთრის არდადეგებზე ბავშვები მოსკოვში წავიყვანეთ. თურმე უშიშროება ფეხდაფეხ დაგვდევდა. მერე როცა დააპატიმრეს, მოსკოვში მგზავრობისას მატარებელში გადაღებული სურათებიც კი დაუდეს წინ...

პეტრე გელბახიანი სამსახურიდან განთავისუფლებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ დააკავეს. 1973 წელის 7 აგვისტოს. მახსოვს, საღამოთი ტელეფონმა დარეკა, ყურმილი მე ავიღე, ვიცანი გამომძიებელი ყიფიანის ხმა იყო, მე ყურმილი მამამთილს გადავეცი: კი, აუცილებლად მოვალო, — უთხრა მან. მერე მამამთილმა მითხრა, პროკურატურაში დაკითხვაზე მიბარებენო. არც

გამკვირვებია, პარტკომი დაპატიმრებული იყო და ეს ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიეთ.

მეორე დღეს გედიმ წაიყვანა პროკურატურაში. ჩემი მეუღლე 6 საათი იდგა გარეთ და ელოდა, მაგრამ მამამისი იქვე აიყვანეს პატიმრობაში...

იმხანად წყნეთში ვცხოვრობდით. მე, ჩემი დედამთილი და ნათესავი გოგონა ფანჯარაზე ვიყავით აკრულები მთელი დღე, გული ცუდს გვიგრძნობდა და ადგილს ვერ ვპოულობდით.

მოგვიანებით ჩვენი ეზო მანქანებით აივსო. ჩხრეკაში 60-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა, ამავე რაოდენობის ხალხს გაუჩხრეკია ჩვენი ბინა თაყაიშვილის ქუჩაზე, მამამთილის ბინის ჩხრეკა ვერ მოასწრეს ბარნოვზე ამ დღეს და დალუქეს.

იმ დროს პეტრე 11 წლისა იყო, თამრიკო 2 წლით უმცროსი, ისინი ორომტრიალში ეზოს გარეთ გასულიყვნენ. გავიგონე პეტრეს ხმა: დედა, რასაც სახლში ლაპარაკობთ ყველაფერი მანქანაში ისმისო, მართლაც ჩემი დედამთილის ხმა რამდენიმე მანქანაში ისმოდა ერთდროულად. როცა ოპერაცია დაამთავრეს, ერთ-ერთმა მაღალი ჩინის პიროვნებამ დაურეკა ინაურს: ვერაფერი აღმოვაჩინეთო. მახსოვს, ჩემს დედამთილს საქორწინო ბეჭედი წააძვრეს ხელიდან, ჩემი ბეჭედიც წაიღეს, მერე, გამოძიება რომ დამთავრდა, მე დამიბრუნეს ჩემი ნივთები, დედამთილს კი არა.

ჩხრეკის შემდეგ წყნეთის ბინა დალუქეს. ბავშვები რომ მოვიკითხეთ, ველარ ვნახეთ, მაშინ ჩვენი აგარაკის წინ მინდორი და ბორცვები იყო მხოლოდ. პეტრე და თამრიკო ერთ-ერთ ორმოში ვიპოვეთ ერთმანეთზე მიკრულები, შიშისაგან აკანკალებულები. დავრჩით რაც გვეცვა იმის ამარა. ჩასაცმელ—დასახური ბინაში დარჩა, ის ღამე დედამთილის დასთან გავატარეთ, მერე თბილისში წამოვედით. სამი წელი იყო დალუქული წყნეთის ბინა, რამდენჯერმე გაიქურდა, მერე, როცა გახსნის ნება მოგვცეს, იქაურობა სრულიად გაპარტახებული, ვირთხებისგან შეჭმული დაგვიხვდა, კედელზე კი თამრიკოს საღებავებით უწმაწური სიტყვები იყო მიწერილი.

ჩვენი ოჯახი იმთავითვე აღმოჩნდა "მოკვეთილთა" სიაში...

ნუციკო ტატიშვილი-გელბახიანი: ჩვენ სამიზნეში მამამთილის გამო ამოგვიღეს. როგორც გავიგე, პეტრე გელბახიანის ნაპატიმრობის საბუთი ჩემი მეუღლის საქმეში იყო ჩაკრული. რატომ, რა კავშირი ჰქონდა გედის საქმეში მამამისის ნაპატიმრობას, გაუგებარია. ამით კიდევ ერთხელ უნებლიეთ გამჟღავნდა ჩვენი ოჯახის უბედურების

ნამდვილი მიზეზი. ჩემი მამამთილისადმი სიძულვილი, მისდამი შურისძიება.

ჩემი შვილი, პეტრე გელბახიანი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. მას დაპატიმრებამდე რამდენიმე ხნით ადრე მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე სადოქტორო დისერტაციის თემა დაუმტკიცეს. პეტრე სამედიცინო ინსტიტუტში რომ მოეწყო, ბაბუამისი ციხეში იჯდა. ფიზიკაში მისი ფრიადი რომ გამოაცხადეს, ინსტიტუტის ეზოში ხალხმა ტაში შემოჰკრა. მერე, როგორც გავიგეთ, ცეკას ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკს უთქვამს რექტორისთვის — გელბახიანი რომ ხუთიანებს იღებდა, სად გეძინაო?!

ჩემი შვილი კალათბურთელია, იგი დინამოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა და, როგორც ამბობენ, კარგადაც. ერთ-ერთი დაჯილდოებისას მასზე უკითხავთ — იმ გელბახიანის რა არის, ეს იყო და ეს. მერე იგი "სკამზე დასვეს" და

ასე დამთავრდა მისი კარიერა კალათბურთში.

“შენა ხარ დასაჭერი” მითხრა გამომძიებელმა...

ერთხელ გამომძიებელმა მითხრა: “შენ ხარ დასაჭერი. ამბობენ, რომ შენი ბრალია შენი ქმარი და შვილი პოლიტიკაში რომ გაერივნენ. რომ დაგეშალა, პეტრე გროზნოში გამსახურდიასთან არ წავიდოდა. უნდა იცნობდეთ პეტრეს. ის ძალიან პრინციპულია, ძლიერი ნებისყოფის. მას არც სამაჩაბლოში წასვლა უკითხავს ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, ვერც შევაჩერებდი.

პეტრეს ჩამოყალიბებაში მამამისს მიუძღვის ლომის წილი. იგი უწონებდა საქციელს, ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს. უნდა გენახათ, რა აღფრთოვანებულები იყვნენ ჩეჩნეთში მიმდინარე ამბებით, ეროვნული ხელისუფლების მოსვლით.

ჩემი მამამთილის სასამართლო პროცესზე მერაბი და ზვიადი ერთად დადიოდნენ, თანაგვიგრძნობდნენ....

გედი და ზვიადი ერთ სკოლაში სწავლობდნენ.

მე არაფერი ვიცი ჩემი შვილისა და პრეზიდენტის ურთიერთობის შესახებ. უდავოა, რომ ზვიადი ენდობოდა და აფასებდა მას.

დეკემბერ-იანვრის დღეებში პეტრე ავად იყო. ფეხზე წამოდგა თუ არა, მიტინგი ჩაატარა. მიტინგი მხედრიონმა დაარბია. მერე ზვიადმა გროზნოდან შემოუთვალა პეტრეს — ჩამოდიო. ჩემი შვილიც ჩავიდა.

ჩიქოვანის ქუჩაზე პეტრეს სიდედრი ცხოვრობდა. ერთხელ, როცა ცოლ-შვილთან ერთად მასთან იყო სტუმრად, მანქანა მოჰპარეს. სწორედ აფეთქების წინა დღეს დაურეკეს და უთხრეს, მისულიყო მანქანის დასაბრუნებლად. დაუჯერებელია. თუ ჩემი შვილი იქ ვინმეს ასაფეთქებლად წავიდა, ცოლი და ორი შვილი რისთვისღა წაიყვანა?! აფეთქების შემდეგ ჩემი შვილიშვილი ძლივს გამოიყვანეს ნანგრევებიდან.

საიდან იცოდა ბუღა ყურაშვილმა აფეთქების ამბავი?

ოთარ აგლაძე (ადვოკატი): სასამართლო ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როდესაც ჩემთან ერთი უცნობი ქალი მოვიდა და მითხრა: ჩემი სიძე მხედრიონელია, მეც ჩიქოვანის ქუჩაზე ვცხოვრობ. აფეთქების წინა დღეს ჩემთან მოვიდა ბუღა ყურაშვილი და მითხრა: ხვალ თქვენს ქუჩაზე

აფეთქება მოხდება და გაეცალეთ იქაურობას. მე ვთხოვე მას, სასამართლოში ყველაფერი ეღიარებინა, მაგრამ სასტიკად იუარა და გამშორდა.

ფაქტია, რომ ყურაშვილი აფეთქებიდან მესამე დღეს მოკლეს.

შეაგინე გამსახურდიას — მთელი გზა ურტყამდნენ პეტრეს...

ჩემი შვილი 6 აპრილს აიყვანეს ბაქოში დომუხოვსკისთან ერთად. მეორე დღეს თბილისში ჩამოიყვანეს. მთელი გზა ურტყამდნენ, გამსახურდიას შეაგინეო...

ყვარელში ყოფნას პეტრე არ უარყოფს. იარაღი იმიტომ ავიღეთ ხელში, მხედრიონისთვის გვეჩვენებინა, რომ ძალა ჩვენს მხარეზეც იყოო.

როდესაც მხედრიონმა ყვარლის ოპერაცია ჩაატარა, ჩემი შვილი ვერ აიყვანეს. მაშინ მთელი ტყე დაიბომბა. პეტრე ხოხვით გავიდა ტყიდან.

დედა, შენ რამეს ნანობ?!

თურმე სიკვდილმისჯილსაც ჰქონია ოჯახთან შეხვედრის უფლება თვეში ერთხელ. როგორც იქნა, მივაღწიეთ და ამ უფლებით ვისარგებლეთ.

ჩემი შვილი იმედიანად და მხნედ გამოიყურება. მეკითხება ხოლმე, დედა რამეს ხომ არ ნანობო? თვითონ არაფერს ნანობს. შეხვედრისას საქმის ირგვლივ თითქმის არ ვსაუბრობთ. ახლობლებზე, ბავშვებზე, ნაცნობებზე ვუყვები...

ერთხელ ჩვენი შეხვედრისას ვუთხარი: როდესაც გამოხვალ, ახალ ტელევიზორს დაგახვედრებ მეთქი. და იცით, რა მიპასუხა; რად მინდა ტელევიზორი, რომ გამოვალ გარეთ იმდენი საქმეა, აფხაზეთია დასაბრუნებელი, ტელევიზორის საცქერად ვის ეცლებაო — მერე ძალიან შეწუხდა ჩემი ენთუზიაზმი რომ ჩაახშო და მომეფერა.

პეტრე ძალიან მორწმუნეა, იგი ყოველთვის ინახავს მარხვას, ლოცულობს. ალბათ ესეც ეხმარება, შეინარჩუნოს რწმენა და იმედი.

დრო რომ შეიცვალოს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის მოსამართლეს პასუხისმგებლობაში მისცემენ...

ოთარ აგლაძე (ადვოკატი): სასამართლო პროცესუალურად უამრავი დარღვევით ჩატარდა. ბრალდებების უმეტესი ნაწილი დადასტურებულიც არ იყო. ერთ-ერთი ბრალდებული, სხვათა შორის სულით ავადმყოფი, ბრალდების გარეშე გაასამართლეს.

დომუხოვსკის ადვოკატიც არ იყო, რადგანაც ის მძიმედ გახდა ავად, ბრალდებულმა სახაზინო ადვოკატი მოითხოვა, მე — ჩვენი (ჩუღურეთის რაიონის) ადვოკატურიდან ადვოკატ ჯღამაძეს ვთხოვე მისი დაცვა. დომუხოვსკიმ დამცველთან პოზიციის შესათანხმებლად ორი კვირის ვადა მოითხოვა, მაგრამ ორი დღე მისცეს...

გამოცხადდა ჯღამაძე საპატიმროში და შეუდგა საქმის გაცნობას. მეორე დღეს დომუხოვსკი ნაცემი მოიყვანეს პროცესზე. ტვინის შერყევა ჰქონდა, მაღალი სიცხე... ჯღამაძე აყენებდა საკითხს — ჯერ მოარჩინეთ და მერე გაასამართლეთო, თუმცაღა ყური არავინ ათხოვა. ადვოკატს დაპირებული დღეც არავინ მისცა საქმის გასაცნობად. მერე დომუხოვსკიმ შეუთვალა ჯღამაძეს, საქმეს არ გასცნობიხარ, როგორ უნდა დამიცვა. დატოვე პროცესი და წადიო. ცოლმაც ერთი ამბავი ატეხა და იგივე გაუმეორა ადვოკატს. ჯღამაძემ დატოვა პროცესი. მოსამართლემ მისი დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ ადვოკატმა უარი განაცხადა. ამისათვის იგი ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხე. სასამართლოს უკანონო მოქმედებამ შეიწირა ეს კაცი.

95 საუკეთესო "ბოევიკს" მოგცემ — შესთავაზა დუდაევმა გამსახურდიას...

ოთარ აგლაძე (ადვოკატი): მე სხვადასხვა დროს არაერთს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მიმუშავია და იმდენი უსამართლობა მინახავს, კაცი იფიქრებს, მეტი რაღა უნდა იყოსო, მაგრამ რასაც დღეს ვხედავ, ადრე ალბათ წარმოდგენაც კი გამიჭირდებოდა.

დღეს პრაქტიკულად მიწასთანაა გასწორებული ადამიანის ფაქტორი, ძმა არ ინდობს ძმას, მეგობარი — მეგობარს.

***

მე წაკითხული მაქვს უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი დეპუტატის ჩვენება, სადაც ასეთი ფაქტია მოყვანილი: გამსახურდიას ჯოხარ დუდაევმა შესთავაზა: 95 გაწვრთნილი სანდო მებრძოლი მყავს, გავგზავნი საქართველოში, რუსი ჯარისკაცების ფორმას გადავაცმევ და ერთ საათში მოუვლიან მეამბოხეებსო. ზვიადი არც კი დაფიქრებული, ისე უპასუხა: არ წავალ მაგ სისხლზე და ჯოხარს რომ არ სწყენოდა, გადაუკოცნია კიდეც.

როცა დამირეკეს, პეტრე დაიჭირესო, ალბათ გაგიკვირდებათ, შვება ვიგრძენი...

ნუციკო ტატიშვილი-გელბახიანი: მე საერთოდ ხალხში წუწუნი არ ვიცი. მით უმეტეს, ახლობლებს როგორ დავანახებ ჩემს გაჭირვებულ და შეწუხებულ სახეს. ჩემი მამამთილი გარდაიცვალა, პეტრემ მომწერა — "დედა, შენ რომ გნახო გატეხილი და შეცვლილი, იცოდე მაგას ვეღარ გადავიტან." მე არ მაქვს უფლება არც წუწუნისა და არც გატეხვის. თუმცა ვნახოთ, როდემდე გავუძლებ. მახსოვს, როცა გედი დაიჭირეს, თვე-ნახევარი ლოგინიდან ფეხზე ვერ ავდექი. მერე თბილისში სულ ისმოდა: განკარგულება არის გაცემული მხედრიონისგან, პეტრეს სადაც ნახავენ, ადგილზევე დახვრიტონო. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა — წამლის გარეშე ვერ ვიძინებდი, ღამით მეღვიძებოდა და სულ იმის შიშში ვიყავი, რომ დილით იმ საშინელ ამბავს გავიგებდი. როცა დამირეკეს პეტრე დაიჭირესო, ალბათ გაგიკვირდებათ და შვება ვიგრძენი. ვიფიქრე, ამ საშინელებას გადავურჩი მეთქი, მაგრამ უკვე ორი წელი შესრულდა 6 მარტს და მე ისევ ამის მოლოდინში ვარ. წარმოიდგინეთ, ჩემს გულში რა ტრიალებს (ისე პეტრესა და გედის ამას არ ვაჩვენებ, მხოლოდ ვამხნევებ), მაგრამ ადამიანი იმედით ცოცხლობს და მეც მომავალს იმედით შევყურებ.

ინტერვიუ გედი გელბახიანთან

გელბახიანები ფსიქოლოგიურად ციხეგამძლეები ვართ

კარი ბატონმა გედი გელბახიანმა გამიღო... ვიწრო ბინაში ორ ადამიანს ერთმანეთისთვის გვერდის ავლა გაუჭირდება. უფრო ვიწროდაც რომ ყოფილიყო, მაინც კარგად ვიგრძნობდი თავს, იღიმება ბატონი გედი გელბახიანი და ჩვენც დავიწყეთ საუბარი, რომლის მიზანიც მძიმე დღეების გახსენება არცკი ყოფილა, ჩვენმა გაზეთმა არაერთხელ დაწერა ამაზე და მაინც, დროდადრო, საუბრისას პოლიტიკური თემა გაგვეპარებოდა, ქალბატონი ნუციკო მკაცრად აფრთხილებდა მეუღლეს: „გედი შეგაბრუნებენ უკან!"

— ბატონო გედი, ითხოვეთ შეწყალება, თუ რამ განაპირობა თქვენი განთავისუფლება?

— შეწყალების თხოვნა ტრადიციულად დანაშაულის აღიარებას ნიშნავს, ჩემთვის ეს არც კი შემოუთავაზებიათ...

— ხომ არსებობს გამოთქმა: „დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო..."

— ასე რომ ვფიქრობთ, ამიტომაც დავკარგეთ ნახევარი საქართველო... შეწყალების თხოვნა კი არ არის საქმე, ის თავისთავად გაძლებას, გადატანას, ნებისყოფას გულისხმობს... დღეს უბანში რომ გავედი,

თითქოს ადამიანებს სახეზე ეხატათ: გედი ტერორისტი არ არის...

— მგონია, ასეთი აზრი საზოგადოებაში თქვენი დაჭერისთანავე იყო...

— დიახ, ამიტომაც ვეუბნებოდი, როდესაც არჩადენილი დანაშაულის აღიარებას მთხოვდნენ, რომც ვთქვა, მე გავაკეთე, ამას არავინ დაგიჯერებთ და ჩაჭრილები ხართ-მეთქი...

— დავანებოთ თავი შავბნელ ამბებს, ბ-ნო გედი, მშვენივრად გამოიყურებით, როგორ მოახერხეთ ციხეში „ფორმის" შენარჩუნება?

— გელბახიანები ფსიქოლოგიურად ციხეგამძლეები ვართ, რწმენამ გამაძლებინა. არსებითი კი ის იყო, რომ მთელი ცხოვრება რეჟიმს ვიცავ, ვვარჯოშობ, არ ვეწევი, ნახევარი „ ლაგერი" სიგარეტს გადავაჩვიე, შვიდის ნახევარზე ვდგებოდი, ზომიერად ვჭამდი და ადრე ვიძინებდი.

— რაც შეეხება ჭამას, ციხეში „ზომიერების" დაცვა ამ მხრივ ადვილია?

— პატიმარი პრაქტიკულად „გარედან იკვებება." თუ პატრონი და მომკითხავი არ ჰყავს, ცუდად წაუვა საქმე. ბევრი პატიმარი ტუპერკულოზითაა დაავადებული, მისგან განკურნება კი მხოლოდ კარგი კვებითა და სუფთა ჰაერით შეიძლება...

— თქვენ, როგორც ექიმი, ალბათ ეხმარებოდით პატიმრებს, რამდენადაც ვიცი, თენგიზ კიტოვანსაც მკურნალობდით...

— დიახ, მე პრაქტიკულად იქ ექიმი ვიყავი, თენგიზიც გარკვეული პერიოდის მანძილზე ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იყო, მერე, როდესაც მდგომარეობა დამძიმდა, კონსილიუმებში ჩემს მეგობრებთან ერთად მეც ვიღებდი მონაწილეობას...

— ცოტა უცნაურია თქვენი და კიტოვანის ურთიერთობა...

— ციხე არ არის ანგარიშსწორების ადგილი...

—კიტოვანმა, რამდენადაც ვიცი, განთავისუფლება რესტორან „ოდიშში" აღნიშნა, არ იყავით მიწვეული?

— რა თქმა უნდა არა, გთხოვთ, ნუ შეეცდებით ჩვენს ერთმანეთთან დაკავშირებას, ჩვენ დიდი მეგობრობა არ გვქონია. დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს. პოლიტიკურად კი ჩვენი დაკავშირება შეუძლებელია!

— თავად აპირებთ პოლიტიკასთან რაიმე კავშირს?

— არა მგონია, თუმცა არის ერთი მომენტი, მე და ჩემს ვაჟს სამაჩაბლოში ბრძოლა ბრალდებად წამოგვიყენეს, ნუთუ ქვეყნის მთლიანობისთვის ბრძოლა დანაშაულია, როდესაც ხედავდნენ მე და ჩემი

შვილი ვიბრძოდით, ეს ბევრში ირონიულ ღიმილს იწვევდა, იყო კი ამაში რაიმე სასაცილო?!

— სასაცილო ის არის, რომ ამას ვიღაცა სასაცილოდ მიიჩნევს და დავრჩით კიდეც ასე გაცინებული, „ ლურჯი იებით ხელში.”

— მე არ დამისრულებია ჩემი პასუხი, თუ კი პოლიტიკა სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაა — რა თქმა უნდა, ამ გაგებით, მე ჩავერევი პოლიტიკაში, სხვანაირად არაფერს აქვს აზრი...

— თქვენი ვაჟი პეტრე როდის ნახეთ?

— ოთხი წლის უნახავ შვილს რამდენიმე დღის წინ შევხვდი, განთავისუფლებიდან მეორე დღეს...იმავე დღეს მინდოდა მისვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მამის სასაფლაოზე გავედი, იგი ხომ არც მე და არც პეტრეს არ დაგვიტირებია, დაპატიმრებულები ვიყავით... სახლში, რომ მოვბრუნდი, ჩემი უახლოესი მეგობრები, ნათესავები, ჩემი ყოფილი კათედრის თანამშრომლები მოვიდნენ, მომილოცეს...

— როგორც ვიცი, პეტრე დაჭრილი იყო, ახლა როგორ გრძნობს თავს?

— მიუხედავად ჭრილობებისა, კარგად გამოიყურება, ისიც რეჟიმით ცხოვრობს. საერთოდ, თავის მოვლის გარეშე ციხე არ არსებობს...

— რა გითხრათ შეხვედრისას, რაზე ისაუბრეთ?

— მე იგივე მითხრა, რაც ნუციკოსთვის წინა შეხვედრისას უთქვამს: რომ გამოვალ, ჩემს სადოქტორო დისერტაციას გავაგრძელებ. ექიმობისთვის თავის დანებებას არ ვაპირებო. ამან ძალიან გაგვახარა, პეტრე ძალიან განათლებული, ნაკითხი, პრინციპული, ნიჭით სავსე ქართველია. საოცარი ერთგულება შეუძლია, ვფიქრობ, განთავისუფლების შემდეგ საქართველოსთვის ბევრის გაკეთებას შეძლებს, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, პრინციპში, პოლიტიკურ პატიმრებს, თითქმის ვადაზე ადრე ათავისუფლებენ...მე და ნუციკოს ამის იმედი გვაქვს...

— პირველად ვინ გახარათ, რომ თავისუფლდებოდით?

— ვალტერ შურღაიამ გამაღვიძა, ვერც გავერკვიე კარგად, დილით ავიღე ნივთები და წამოვედი სახლში...

— ახლა რა გეგმები გაქვთ, რა უნდა გააკეთოთ?

— ახლა ვზივარ და ველოდები, რა იქნება. მინდა, რაც შეიძლება მალე ჩავდგე ხალხის სამსახურში, მე სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა ერთ-ერთი კათედრის გამგე ვიყავი. ყოფილი მე-8 საავადმყოფოს კლინიკის გამგე, ჩემი დატოვებულია იქ ყველაფერი, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი იქაურობას შევალიე. კოლექტივის ყველა წევრი დღემდე ჩემი მეგობარია, დიდი სითბო და სიკეთე

გამოიჩინეს ჩემდამი პატიმრობის დროსაც, ვნახოთ, როგორ შეხედავს ყველაფერ ამას მთავრობა...

— თუ იფიქრებდით ბ-ნო გედი, რომ თქვენი ცხოვრება ასე წარიმართებოდა?

— როგორ გითხრათ, 33 წლისა უკვე პროფესორი ვიყავი. წარმოიდგინეთ, რამდენი შრომა იყო ამისთვის საჭირო. ახლა მოდაშია, ყველა ამბობს, ქუჩაში გავიზარდეო. მე სულ ბიბლიოთეკაში ვიყავი. ქალაქში მეკითხებოდნენ სადმე წასული ხომ არ ვიყავი, ვერ მხედავდნენ...მერე მამა დაიჭირეს, 14 წელი მისი პატიმრობა, მერე ჩემი შვილი აიყვანეს... სამჯერ გაგვიკეთეს კონფისკაცია, ერთი და იგივე დანა-ჩანგალი სამჯერ გამოვისყიდეთ მთავრობისგან, ძნელია იმ დღეების გახსენება... თუმცა, იყო ჩემს ცხოვრებაში ნათელი დღეებიც, ჩემი და ნუციკოს სიყვარული, ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება, ესეც რომ არ მქონდეს, ალბათ თოკი უნდა დამეგრიხა და მერე როგორც ხდება...

მარინე გიგინეიშვილი

დახვრეტისგან უმცროსი პეტრე გელბახიანი მხოლოდ განგებამ იხსნა

გელბახიანების კერა იყო შევარდნაძის 30-წლიანი მმართველობის ერთ-ერთი მსხვერპლი. ამ კერაში შვილები მამებისგან მემკვიდრეობით იღებენ ციხეების, საკნების, მათ შორის, სიკვდილმისჯილის საკნის მემკვიდრეობას.

უფროსი პეტრე გელბახიანი დღეს ცოცხალი აღარ არის. ის ისე გარდაიცვალა, რომ არ იცოდა თავისი მოსახელე და მოგვარე შვილიშვილის შემზარავი დახვრეტის განაჩენის შესახებ.

დახვრეტისგან უმცროსი პეტრე გელბახიანი მხოლოდ განგებამ იხსნა.

გელბახიანების დევნას ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა.

გედევან გელბახიანი:

მამაჩემი, პეტრე გელბახიანი, ჯანდაცვის, სოც.უზრუნველყოფისა და სპორტის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო. მან ჩაატარა ერთ-ერთი თათბირი, რომელზეც საუბრის მთავარი თემა ნარკომანიასთან ბრძოლა იყო. თათბირს ესწრებოდა ედუარდ შევარდნაძე, როგორც კომისიის წევრი და შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ თათბირზე მოხდა მათი შელაპარაკება. იგი მამას მორფის მოხმარების თავისებურებებზე აუხირდა. მამა - პროფესორი, აკადემიკოსი - პეტრე გელბახიანი, წამალთმცოდნე იყო და წამლის ტექნოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა. მან რამდენჯერმე სთხოვა

ედუარდს, არ ეკამათათ ამ საკითხზე, ეტყობა პეტრე გელბახიანმა არ იცოდა, რომ შევარდნაძე საქართველოში მთავარი ნარკომფარველი იყო, მაგრამ შევარდნაძე არ მოეშვა. კვლავ გაგრძელდა კამათი წამლის გაკეთების თავისებურებებზე. ამის გამო მამამ გაბრაზებით მიმართა: ედუარდ, შენ გაუნათლებელი ხარ და ეს რომ გაიგო, ჩემამდე უნდა მოხვიდეო.

პეტრე გელბახიანი (უფროსი) შევარდნაძის მითითებით დააპატიმრეს, მას ჩამოართვეს ხარისხი. შევარდნაძის პირადი დავალებით შეიქმნა საგანგებო ჯგუფი, რომელსაც დაევალა "ვაკში" (საკავშირო საატესტაციო კომისია) მამაჩემის სამეცნიერო ნაშრომების ("დისერტაციების") ჩამორთმევისთვის ბრძოლა. ეს ჯგუფი დიდი ხნის მანძილზე დადიოდა თბილისსა და მოსკოვს შორის. ისინი ჩემთვის სამეცნიერო ნაშრომების ჩამორთმევასაც შეეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. 1973 წელს, ზუსტად მამაჩემის დაპატიმრების დღეს, "ვაკში" დიპლომი მომცეს.

— პეტრე გელბახიანს (უფროსს) ბრალი მექრთამეობაში დასდეს. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით ბრალდებად წაუყენეს 15 შემთხვევა. სამწუხაროდ, ამ 30 წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო იმ საგამოძიებო და სასამართლო მასალების გადახედვა.

ასევე მე, გედევან გელბახიანი და ჩემი შვილი პეტრე გელბახიანი (უმცროსი) ათ-ათი წლით დაპატიმრებულები ვიყავით.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მომზადდა ნიადაგი, რომ ეს სასამართლო ცრუპენტელობა გარჩეულიყო და სიმართლე გარკვეულიყო. მაშინ ამ საქმეს ჟურნალისტი ენძელა მაჭავარიანი იძიებდა. მალე მოხდა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება და ბუნებრივია, ამ საქმის გამოკვლევაც შეჩერდა.

სხვათა შორის, ერთი წლის წინ, 2002 წელს რამდენიმე საგაზეთო წერილში ვახტანგ რაზმაძემ (იგი პეტრე გელბახიანის ძიების საქმის მონაწილე იყო) აღიარა, რომ ის, რაც პეტრე გელბახიანს ბრალად წაუყენეს, შეთითხნილი იყო.

— როგორც უკვე ვთქვი, მას ბრალად წაუყენეს მექრთამეობა. სასამართლოს განაჩენი ითვალისწინებდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთას მკაცრი განაწესის ბანაკში სასჯელის მოხდით. ძიება სამი წელი გაგრძელდა. მამა სასჯელს განსაკუთრებით მძიმე პირობებში იხდიდა. გვეუბნებოდნენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მას არ შეეხებოდა არც შეწყალება.

— ბატონი პეტრეს გელბახიანის (უფროსი) პატიმრობის წლები სავსე იყო ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის მაგალითებით. კანონით

დაუშვებელია ადამიანს ჩამოართვა წოდება, სამეცნიერო ხარისხი, თუ თვითონ არ ესწრება ამ პროცესს. მით უმეტეს, მისი სამეცნიერო ნაშრომი გამოგონებას ემყარებოდა. ეს გამოგონება დადასტურებული იყო მოსკოვის აღმოჩენებისა და გამოგონების ორგანოში. მან გამოიგონა ფილიქსანი — ჭიების საწინააღმდეგო წამალი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა მეცხოველეობაში. ამ წამალზე დიდი მოთხოვნა იყო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. მამას დაპატიმრების შემდეგ თბილისის ფარმაცევტულ ქარხანაში ფილიქსანის წარმოება შეწყდა.

გელბახიანების სახლში გამუდმებით რეკავდნენ და აშინებდნენ, რომ პეტრემ თავი ჩამოიხრჩო. ხშირად იყო სატელეფონო ზარები, როდესაც უწმაწური სიტყვებით შეურაცხგვყოფდნენ. ეს ზარები უშიშროებიდან (სუკი) იყო. რამდენჯერმე მამას საკანში დანა შეუგდეს. ფიქრობდნენ, რომ თავს მოიკლავდა.

ყველა ხერხით და საშუალებით ავიწროვებდნენ პეტრე გელბახიანის კერას: პეტრეს შვილი გედევან გელბახიანი მეცნიერებათა დოქტორი, თერაპევტი ვიყავი და 15 წლის განმავლობაში პროფესორის თანამდებობის დაკავების უფლებას არ მაძლევდნენ, რის გამოც ყოველთვიურად 200 მანეთს მაკარგვინებდნენ. არ მიმაღებინეს მონაწილეობა კათედრაზე გამოცხადებულ კონკურსში

პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად. ამას სამედიცინო ინსტიტუტის რექტორები უშუალოდ შევარდნაძის მითითებით აკეთებდნენ.

პეტრე გელბახიანის შვილიშვილი პეტრე გელბახიანი (უმცროსი), იმ პერიოდში კალათბურთს თამაშობდა. ჯერ "დინამოს" ახალგაზრდულ ნაკრებში, 17 წლისა უკვე თვით "დინამოს" კალათბურთის გუნდში გადავიდა. ეს გუნდი, თითქმის ყოველწლიურად, რუსეთის იმპერიის (სსრკ) შეჯიბრებების ჩემპიონი ხდებოდა. ერთ-ერთი დაჯილდოება "დინამოს" სტადიონზე გაიმართა. მას შევარდნაძეც ესწრებოდა. როდესაც ნაკრების მოთამაშეთა გვარები გამოაცხადეს და გამარჯვების სიგელები გადასცეს, შევარდნაძე ჩემი შვილის სახელით და გვარით დაინტერესდა. მას აუხსნეს, რომ ეს იმ პეტრე გელბახიანის შვილიშვილი იყო. იმ დღის შემდეგ პეტრე აღარ ათამაშეს და, იძულებული გახდა, ნაკრებიდან წამოსულიყო. პეტრე სკოლაში წარჩინებულ და სამაგალითო მოსწავლედ ითვლებოდა, მას ბაბუის პატიმრობის პერიოდში მოუწია სკოლის დამთავრება. ფრიადზე ჩააბარა მისაღები გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტში. იყო სამაგალითო მოსწავლე. სამედიცინო ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა, მით უმეტეს, იმ მძიმე წლებში, როცა მისი ბაბუა ციხეში იჯდა, მამას კი სამსახურში რაიმე წინსვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

გედი გელბახიანი:

ჩვენი შვილი პეტრე ამ ეროვნული ტრადიციების გამგრძელებელია. ის ყოველთვის იყო ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი. 1991 წლის მოვლენები რომ დაიწყო, მან ჩამოაყალიბა ინტელიგენტების ჯგუფი - მსახიობების, ხელოვნების მუშაკების, ექიმების შემადგენლობით - ისინი გამოდიოდნენ სახელმწიფო გადატრიალების მომწყობების, შევარდნაძის მომხრე სამხედრო საბჭოს წინააღმდეგ. შეკრებებს აწყობდნენ პედიატრიის ინსტიტუტის შენობაში. მათი შეკრება რამდენჯერმე დაარბიეს კიდეც. პეტრე ამ პერიოდში სისტემატურად ჩადიოდა გროზნოში. როდესაც ურთიერთობა განსაკუთრებით გართულდა ზვიადის მომხრეებსა და სამხედრო საბჭოს შორის, დაიწყო დევნა, შევიწროება. პეტრე იძულებული გახდა, გროზნოში წასულიყო. ის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლის როლს ასრულებდა ბაქოში, უშუალო კავშირი ჰქონდა აზერბაიჯანის ეროვნულ მთავრობასთან, პრეზიდენტ ელჩიბეისთან. ელჩიბეის დამხობიდან მეორე თუ მესამე დღეს პეტრე დაიჭირეს.

ჯაბა იოსელიანს პირადად ვიცნობდი. მის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობაში ჩემი და ჩემი შვილის დადანაშაულება იყო დაგეგმილი და ხელოვნურად მოწყობილი. ამგვარ მოვლენებს

პირადად ხელმძღვანელობდა გენერალი ფიფია. პირადად მე ამ აფეთქების დროს თბილისში არ ვიყავი. ამას ყურადღება არ მიაქციეს. პროკურორი ჩემს დახვრეტასაც კი ითხოვდა. 104-ე მუხლით გამასამართლეს და 13 წელი მომისაჯეს. ეს მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულს ითვალისწინებს, მკვლელობაში ჩემს უშუალო მონაწილეობას გულისხმობდა. რადგან იმ დროს თბილისში არ ვიმყოფებოდი, დანაშაულის ხელის შემწყობად მომნათლეს. კარგი იქნება, თუ დღეს მაინც გაირკვევა ამ პროვოკაციის ნამდვილი მიზეზები. მასში ბევრი დღევანდელი ე.წ. სახელმწიფო მოხელე და შევარდნაძის საგანგებო ჯგუფები იყვნენ ჩაბმულნი. მათ ჯაშუშები ეროვნულ მოძრაობაშიც ჰყავდათ.

როდესაც დამაპატიმრეს, ჩემი შვილი პეტრე გელბახიანი (უმცროსი) სხვა ქვეყანაში იმყოფებოდა. დაიმედებული ვიყავი, რომ ვერ დაიჭერდნენ, სულაც არ ვაპირებდი, რამე დამემალა. ძიების დროს იყო წვრილმანი, რომელსაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა ფორმით ვეტყოდი გამოძიებას. ამ განსხვავებული ჩვენებით შეგნებულად თუ შეუგნებლად გამომძიებელი, ანზორ ბალუაშვილი, გარკვეულად დავაბნიე. მან სამაგიერო იმით გადამიხადა, რომ საკანში ჯდომის დროს ცნობილი "ჩამშვები" დათო ჩოგოვაძე შემომიგზავნა. ბალუაშვილის დავალებით რამდენჯერმე სასტიკად მცემეს. რის შედეგადაც თვალი დამიზიანდა, ცალ ყურში სმენა დამიქვეითდა.

პროკურატურის თანამშრომლები ყველანაირად ცდილობდნენ, არ გახმაურებულიყო ჩემი ცემის ფაქტი. თუმცა ამის შესახებ ცნობილი იყო გერმანიის, ინგლისის, ფინეთის და ამერიკის ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისთვის. მათი წარმომადგენლები პატიმრობის დროს ხშირად მხვდებოდნენ, ჩემს მიმართ სამართალდამცავების დამოკიდებულების დეტალები აღწერილია ამ ორგანიზაციების მასალებში. ორთაჭალის ციხის კორპუსი, სადაც წამების მრავალი შემთხვევა ხდებოდა, შევარდნაძის კორპუსის სახელითაა ცნობილი. მას საფუძველი 30 წლის წინ მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ჩაეყარა. ისეთი ნაცემი ვიყავი, რომ დღეს ვერც ვიხსენებ, ვაღიარე თუ არა აფეთქებაში მონაწილეობა, ან რა ვთქვი.

ნუცა გელბახიანი:

გედი ტელევიზიით აღიარებითი ჩვენების მისაცემად ძლიერ ნაცემი გამოიყვანეს. მე ეს არ მინახავს. არ შემეძლო ამის ნახვა. ჩემმა ქალიშვილმა ეკრანზე საკუთარი მამა ვერ იცნო, სანამ მინაწერზე არ წაიკითხა მისი სახელი და გვარი. წინასწარი დაკავების საკანში, როგორც წესი, პატიმრებს ათ დღეზე მეტ ხანს არ აჩერებენ. გედი თვე-ნახევარი ჰყავდათ. ჩვენი მიტანილი საჭმელი მისთვის არ შეჰქონდათ. ამ ხნის მანძილზე 20 კილო ჰქონდა

დაკლებული. ამ ქმედების ჩამდენი ანზორ ბალუაშვილი ასეთი "ღვაწლისთვის" ედუარდმა სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დანიშნა, თან ასეთი სიტყვები თქვა: ის ძალიან გამოცდილი და საჭირო ამხანაგიაო.

პეტრეს დახვრეტა მიუსაჯეს. თითქმის არ არსებობდა საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც საჩივარი არ გამოითქვა იმის გამო, რომ სასამართლო პროცესი დარღვევებით მიმდინარეობდა. თანაც, იმ დროს არ შეიძლებოდა დახვრეტა მიესაჯათ. პეტრე პირადად ესაუბრებოდა საერთაშორისო დაწესებულებების წარმომადგენლებს, მას რამდენჯერმე შეხვდა ევროკავშირის წარმომადგენელი ტერი დევისი. თბილისში ამ საქმესთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა. კოტე კემულარიამ შეისწავლა და გამოიძია ეს საქმე. ამ მასალებიდან ბრალდების წაყენების და განაჩენის გამოტანის აბსურდულობა ჩანს. კემულარიამ დაამტკიცა, რომ ბრალდებების კვალიფიკაცია სწორი არ იყო და საქმის ხელახალი გადასინჯვა მოითხოვა, რის საფუძველზეც დახვრეტა 15-დან 20 წლამდე პატიმრობით შეუცვალეს.

შევარდნაძე ყოველთვის იყო დაინტერესებული პეტრე გელბახიანით (უმცროსით). 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში პეტრე კენჭს იყრიდა ეროვნული თანხმობის კავშირიდან პარტიული სიით (რიგით მეოთხე იყო). პეტრე თავისი პარტიის ლიდერ გურამ აბსანძესთან ერთად რამდენჯერმე ჩავიდა

სამეგრელოში ამომრჩევლებთან შესახვედრად. ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ საარჩევნო სიების მასობრივად გაყალბების გამო. ერთ-ერთი ასეთი ჩასვლის დროს საპროტესტო აქციის ჩატარება გადაწყვიტეს. მათ გურიიდან მომხრეთა დიდი ჯგუფი უნდა შეერთებოდა. მათი მომხრეების ავტობუსები დააკავეს. პროტესტის ნიშნად რამდენიმე საათით აქციის ორგანიზატორებმა სამტრედიის გზაჯვარედინი გადაკეტეს. ამას მკაცრი რეაგირება მოჰყვა. აკაკი ჩხაიძემ განაცხადა, რომ ამით ქვეყანამ მილიონობით ლარის ზარალი ნახა. გადაწყვიტეს, სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ გურამ აბსანძის, ნემო ბურჭულაძის, პეტრე გელბახიანის და ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 17 ოქტომბერს პროკურატურაში თათბირი ჩაატარა ანზორ ბალუაშვილმა (იგი ზვიადისტების საქმეებს იძიებდა და მათი წამების უშუალო მონაწილე იყო). ამ თათბირზე მან პროკურორებს მიმართა: ხალხო, შავბნელი ძალა მოდის და სასწრაფოდ გაეცით ბრძანებები გელბახიანის, აბსანძის და ნათაძის დაპატიმრებაზეო. ის ყოველთვის იყო შევარდნაძის მონა და მისი ბრძანებების შემსრულებელი.

ნუცა გელბახიანი:

რამდენიმე დღე ზედიზედ მოჰქონდათ პროკურატურიდან უწყებები პეტრეს სახელზე. ეს

ავადსახსენებელი მმართველობა ჩემთვის აუტანელი გახდა. 30 წლის მანძილზე ვემსახურებოდი ჩემი ოჯახის წევრებს ციხეში და მეტის გადატანა უკვე აღარ შემეძლო. ფინელი ადამიანის უფლებათა დამცველის, აილა მინიმაა კეპპოს დაჟინებული მოთხოვნით პეტრე ევროპაში ლტოლვილად წავიდა.

ნუცა გელბახიანი:

გედის განთავისუფლების მაუწყებელი საბუთი მე გადმომცეს (ვინც გადმომცა, მის გვარს არ დავასახელებ). იქ ეწერა სიტყვები: მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ არაფერს დაზოგავთ, თქვენს ცოდნას და გამოცდილებას მოახმართ ქართველ ხალხს, საქართველოს მიზნებს. ეს შევარდნაძის სიტყვები იყო, რომლებიც ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. ვინც საბუთები და ეს ქაღალდი გადმომცა, მითხრა: სახეზე გატყობთ, ერთი სული გაქვთ, ეს ქაღალდი დახიოთ, თუმცა მე გირჩევდით, ასე არ მოიქცეთ, სახლში წაიღეთ, რათა ბატონი გედი ამის შემდეგ სამსახურში მოეწყოსო. გედი 1999 წლის მაისში გათავისუფლდა. ამ "საბუთის" მიუხედავად, ორი წელი უმუშევარი იყო. 2001 წლიდან აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის დახმარებით სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე დაიწყო მუშაობა.

გედი გელბახიანი:

მინდა განვაცხადო, რომ ციხეში მსხდომ ეროვნული მოღვაწეების უმრავლესობას შეწყალებაზე თხოვნა არ დაუწერია. რასაკვირველია, არც მე. შეწყალების თხოვნა ნიშნავს, რომ დანაშაულს აღიარებ. მე ვფიქრობ, ჩემს შემთხვევაში ეს შეწყალება განპირობებული იყო იმით, რომ შევარდნაძეს საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრმა გამოუგზავნა წერილი, რომელშიც ზოგადად იყო მიმოხილული პროფესორ გელბახიანის დამსახურებები და თხოვნა მისი გათავისუფლების შესახებ. სხვათა შორის, ასეთი მითითებები მრავალი იყო. ერთ-ერთი პირველი 1994 წელს ახალი ზელანდიის ადვოკატთა კავშირმა გამოგზავნა.

—1973 წლიდან მოყოლებული, შევარდნაძის მმართველობას 20 ათასი კაცის პატიმრობა და მათი კერების აწიოკება მოჰყვა, ეს უკვე ნიშნავს, რომ აქ საქმე ზოგად მოვლენასთან გვაქვს. გარკვეული მიზნის მისაღწევად მან ათი ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი გაწირა. ჩემი ღრმა რწმენით, მისივე მოღვაწეობის დაგვირგვინებაა საქართველოს დანაწევრება, აჭარის საკითხის ჩათვლით.

მექრთამეობის და დატაცების ასეთი სიხშირე, რომლებიც ჩვენ საქართველოში გვაქვს, სწორედ, ედუარდ შევარდნაძემ დანერგა!

ვერ აიტანა ამდენი დევნა, უკუღმართობა და საქართველოს დაკნინება პეტრე გელბახიანის (უმცროსის) გულმა და ჯანღონით სავსე, ქართველი ვაჟკაცი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ინტერვიუ პეტრე გელბახიანთან

ნატო ფოცხიშვილი
“ასავალ-დასავალი,” 2002, N 37

(იბეჭდება მცირე შემოკლებით)

— ბატონო პეტრე, რას იტყვით იმ ადამიანების გასაგონად, რომლებსაც თქვენი უდანაშაულობისა დღემდე სჯერათ?

— ძნელია თავი იმართლო იმისთვის, რაც არ ჩაგიდენია. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია — ისე არ მოვკვდები, ვიდრე ჩემს სიმართლეში თქვენ მიერ ხსენებულ ადამიანებსაც არ დავარწმუნებ.

— მაგრამ თქვენ ამისთვის საკმაო დრო – 10 წელი გქონდათ.

— ამ ათი წლის განმავლობაში ციხეში ვიჯექი და ნაკლები საშუალება მქონდა იმის, რომ ბოლომდე ჩავძიებოდი ყველაფერს. ჩემს არგუმენტებს გამყარება სჭირდება. მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბრებ კონკრეტული ფაქტებით.

— და მაინც, საინტერესოა, თქვენი აზრით, რა მოხდა 1992 წლის 13 ივნისს.

— გახსოვთ ალბათ, მაშინ საუბარი იყო მხედრიონის განიარაღებაზე. როგორც ჩანს, ეს არ შედიოდა ხელისუფლების ინტერესებში და მოაწყვეს ტერაქტის ინსცენირება, რითაც საშუალება მისცეს მხედრიონს თავისი მოქმედებები გაემართლებინა და მოღვაწეობა გაეგრძელებინა. მე თუ მკითხავთ, ჯაბა იოსელიანის განადგურება დიდი დანაშაული იყო. მისი სიკვდილით საქართველოში ტერორი არ შეწყდებოდა. აი, მისი არსებობით კი იმას მაინც ხედავდა ხალხი, თუ ვინ წარმოადგენდა შევარდნაძის ნამდვილ სახეს.

— ზვიადისტობის გამო დაგაპატიმრეს?

— არა მარტო მაგიტომ. მოგეხსენებათ, იმ პეტრე გელბახიანის შვილიშვილი ვარ, რომელიც შევარდნაძემ 1971 წელს ტყუილუბრალოდ დააპატიმრა, აქედან გამომდინარე ხალხის დასაშინებლად ჩემი დაჭერა ბევრად ეფექტიანი იქნებოდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ზვიადისტის.

— განთავისუფლებული უმცროსი პეტრე გელბახიანი როგორ აფასებთ 30 წლის წინანდელ მოვლენებს?

— ბაბუაჩემი ედუარდ შევარდნაძესთან დაპირისპირების გამო დააპატიმრეს. თქვენც ხომ იცნობთ ჩვენს დღევანდელ მმართველს, ჰოდა, ბაბუაჩემი სრულიად განსხვავდებოდა მისგან — ხასიათით, აზროვნებით, განათლებით, გემოვნებით. ვიცი, რომ ის ვერ აიტანდა შევარდნაძის ამბიციებს. მათი ურთიერთობიდან ერთ ცნობილ ფაქტს მოგიყვებით: ნარკომანიის პრობლემებზე საუბრისას შევარდნაძეს ბაბუასთვის უკითხავს: — როგორ მოქმედებს ადამიანზე მორფი? პეტრემ უპასუხა — აკადემიკოსები ვართ და ყველამ კარგად ვიცით, თუ რა არის ფარმაკოდინამიკა. მთავარი ის არის, როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა, მაგრამ როცა უკვე მესამედ დაუსვამს შევარდნაძეს იგივე კითხვა, ბაბუაჩემს პირდაპირ მიუხლია — ედუარდ, შენ ამას ვერ გაიგებ, პრიმიტივი ხარ.

— თავად რას ამბობდა, რატომ დამიჭირესო?

— ხშირად უთქვამს — საშინელ ფორმებში გამოხატა შევარდნაძემ პირადი ანტიპათია. სხვათა შორის, ვიდრე დააპატიმრებდნენ, ჩემთან საუბარში არაერთხელ აღუნიშნავს — ისეთი კადრები მოვიდნენ, მათ გვერდით მუშაობა არ ღირსო.

— რამდენადაც ვიცი, დიდი პეტრე გელბახიანი მოესწრო თქვენს დაპატიმრებას...

— მახსოვს, როცა ბაბუა შეწყალებაზე ხელს არ აწერდა, სპეციალურად მიშვებდნენ მასთან, შენი ხათრი აქვს და იქნებ დაგთანხმდესო, თუმცა ჩვენი საუბარი ყოველთვის ასე მთავრდებოდა. ბაბუ, არ გატყდე, ხომ იცი მაგრად უნდა იდგე. გავიდა დრო და ჩემთან ციხეში მოსულმა დიდმა პეტრემაც იგივე მითხრა. არ უნდა გატყდე შვილო. თუმცა ჩემგან განსხვავებით, აშკარად ჩაფიქრებული ჩანდა. მართალია დაპატიმრებულ შვილიშვილთან საუბარში მეტი აღარაფერი უთქვამს, მაგრამ ეტყობოდა, რომ ჩემმა ამბავმა საბოლოოდ მოტეხა. სხვათა შორის, გელბახიანების სამივე თაობამ შევარდნაძის რეჟიმის წინაშე შესანიშნავად ჩააბარა გამოცდა. არც ერთ გელბახიანს, იმის გამო, რომ საუკეთესო წლები გარეთ, ლაღად გაეტარებინა, შეთითხნილ შეწყალებაზე ხელი არ მოუწერია. თურმე შესაძლებელია საქართველოში პროტესტი ისე გამოხატო, რომ ქედი არ მოიხარო.

— რატომღაც მგონია, რომ ბოლომდე მაინც არ ამბობთ სათქმელს?

— უბრალოდ არ მინდა ვთქვა ის, რაშიც კარგად არ ვარ დარწმუნებული. ამომწურავად მხოლოდ მაშინ გიპასუხებთ, როდესაც ფაქტებს შევაგროვებ, თუმცა ერთ რამეს დანამდვილებით გეტყვით — ყველა უბედურების ავტორი ედუარდ შევარდნაძეა — ამ ადამიანმა თავისზე ჭკვიანი ვერავინ აიტანა.

პეტრე გელბახიანის სამი ცხოვრება

პეტრე სულ ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს ციხიდან. მისი მზერა აღარ გადააწყდება გისოსთა ციცქნა კვადრატებს, რომლებიც უზარმაზარ ტკივილს აკავებენ. მას აღარ შეშურდება ცაში ალივლივებული ჩიტებისა, რომლებსაც არასოდეს უფიქრიათ, რა არის თავისუფლება! მაგრამ... ერთ ცხოვრებაში ჩადენილი შეცდომების გამოსწორებას, სულ ცოტა მეორე ცხოვრება მაინც სჭირდება. „რა წამსვე დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის...”რა უნდა მოუხერხოს ამ ხალხურ ლექსში გაცხადებულ მარადიულ ხვედრს? გამოჩნდება კი ახალი ბილიკი? შეძლებს კი ხელახლა დაბადებას?

— ციხეში ყოფნამ აგრესიული ხომ არ გაგხადათ? იქნებ სინანულის განცდა დაგეუფლათ? ადამიანებზე შეხედულება ხომ არ შეგეცვალათ?

— ქუჩაში გასვლისას ნებისმიერს ვატყობ, რომ ზედმეტად აგრესიულია და, ეს ხელისუფლების ბრალია. მოქალაქეები ცხოვრობენ ექსტრემალურ, შოკურ გარემოში. ვიღაც არიფი განაცხადებს, ხელისუფალი ვარო, თუმცა აზრზეც არ არის, რა უნდა აკეთოს. იგი არ ასრულებს თავის მოვალეობას, უსუსურია, უნიჭო და ამიტომაც, აგრესიულია ყველას მიმართ. აგრესიულობა ასეთსავე გრძნობას შობს, იგი

მოედება ხალხს, გარემოსაც კი... პირადად მე, მგონი გადავურჩი ამ შემოტევას.

სინანულს განვიცდი მხოლოდ ზიარებისას. ეს ღმერთთან შეხვედრის შიში და ფორიაქია. არც ადამიანებზე შემცვლია შეხედულება. მათ ვერ მოსთხოვ შენი პარამეტრებით ცხოვრებას. ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩემი ყოფა და იდეალები განსხვავებულია და ამით კმაყოფილიც კი ვარ.

— შესაძლოა თქვენი ცხოვრება ეტაპებად არასოდეს დაგიყვიათ, მაგრამ ამ დისტანციიდან, ერთგვარი სისტემურობისთვის, ჟურნალისტები გმირის ცხოვრებას თავისებურად ვანაწევრებთ... ეთანხმებით ამ დებულებას?

— ჩემი ცხოვრება მართლაც სამ ეტაპად იყოფა ციხეში მოხვედრამდე, ციხეში ყოფნა და ახლა, როდესაც სულ სხვაგვარად ვცხოვრობ. ბაბუაჩემის (აკადემიკოსი პ.გელბახიანი) ოჯახის ცხოვრებას მე დავარქმევდი „ბედისწერასთან თამაშს," აქ იყო მხიარულებაც, აზარტიც, იმედგაცრუებაც...და მე ამ ოჯახის წევრი ვიყავი.

ციხეში ჩემი მოხვედრა ჩემმავე შეხედულებებმა განაპირობა, მაგრამ არ მინანია. როდესაც საქართველოში მძაფრი დაპირისპირება დაიწყო, უკვე დატყვევებული გახლდით. ჩემი მეგობრები დამარცხდნენ, მაგრამ მე ბრძოლას ციხეშიც განვაგრძობდი. ამ დროს ადამიანს შეიძლება

გაუჩნდეს შეკითხვა: რატომ მაინცდამაინც მე? ასეთი კითხვა არასოდეს გამჩენია. პირიქით კი ხშირად მიფიქრია — სხვა ვინ, თუ არა მე?! ეს მახარებდა კიდეც.

დღეს რომ სტაბილიზაცია იყოს, მაშინ მე მართლაც ექსტრემისტად მომიხსენიებდნენ, კაცად, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს და მათი განუხორციელებლობის გამო უცხადებს ბოიკოტს ხელისუფლებას! მაგრამ ეს ასე არ არის, მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, რომ ჩვენ გვაკლია ძალა, რომელიც 1992 წელს განდევნეს საქართველოდან. არა მხოლოდ იურიდიულად, არამედ პოლიტიკურად და მორალურადაც, ადამიანურად ის ხალხი ცამდე მართალი იყო! მე ინდივიდებს არ ვგულისხმობ. ის მიმართულება იყო მართალი. ჩვენი ინტერესებისთვის სასიკეთო და აუცილებელი. ეს შეგნება სტიმულს მაძლევდა ციხეში, მარწმუნებდა, რომ სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი მარადიულია და ამ შერკინებისას, სულ ერთი არ არის, შენ რომელ მხარეს განასახიერებ.

— ზვიად გამსახურდიამ და ეროვნულმა მოძრაობამ ბევრის ბედი შეცვალა. უმრავლესობამ იგრძნო, რომ საჭიროა წარსულის გადაფასება და მომავლის შენება აწმყოში... როგორ შეაფასებდით ამ პერიოდს?

— ის პერიოდი ყველაზე დადებითი ხანა იყო უახლოეს ისტორიაში. სუბიექტურად, ძალიან

ბედნიერი ვიყავი. 5 მილიონ ადამიანს მიეცა შანსი, საკუთარი პოზიცია გამოეხატა. მიხარია, რომ მათ გვერდით ვცხოვრობდი, ვინც სწორი გადაწყვეტილება მიიღო. 200 წლის განმავლობაში მონობაში მყოფმა ხალხმა რომ ლიდერად აგირჩიოს და თავისუფლება შენი ხელმძღვანელობით დაიბრუნოს, ამას დიდი ვაჟკაცობა უნდა. ეს გააჩნდა ზვიად გამსახურდიას. ეროვნული ხელისუფლების დამხობა მხოლოდ ერთი კონკრეტული ისტორიული ფაქტი არ ყოფილა. ეს იყო კატაკლიზმი. შემდეგდროინდელ ვითარებაში კანონზომიერიც კი იყო, გაჩენილიყვნენ ე.წ „ახალი ქართველები", რომლებიც ამ ქაოსში თავს ისე იგრძნობდნენ, როგორც თევზები წყალში. ეს წამიერი ფუფუნებაა. ისტორია განსჯის მათ საქციელს და პასუხიც მოეთხოვებათ. ჩემი ციხეში ჩასმა კანონზომიერი სრულებითაც არ იყო, მაგრამ ამ რეჟიმის დამცველთა აგრესია მოულოდნელი არ ყოფილა. ბაბუას ციხის გამოცდილება ვერ გამოვიყენე, თუმცა, იგი ჩემზე დიდხანს იჯდა, 13 წელი. ციხიდან ისე გამოვიდა, იქაურ კოდექსსა და ნორმებს ალღო ვერ აუღო. მე უფრო ახლოს ვიყავი ციხის კანონებით მცხოვრებ ბიჭებთან. ეს გამომადგა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. სტანდარტის მიხედვით ვერც ციხეში შეარჩევ მეგობარს. მეგობარი ისაა, ვისკენაც გული მიგიწევს.

— მოგენატრათ მიმართვის „პეტრე ექიმო" გაგონება?

— ნამდვილად მომენატრა. კოლეგები, რომელთა გვერდითაც ვმუშაობდი, საოცარ სითბოსა და ყურადღებას იჩენდნენ ჩემდამი, დღესაც „პეტრე ექიმოს" მეძახიან, მაგრამ ექიმობას რომ დავუბრუნდე, რაღაც— რაღაცებზე უარი უნდა ვთქვა, ყურადღება მოვადუნო... არ მაქვს ამის უფლება, ვიფიქრო, რომ საქართველოში არაფერი მომხდარა. არადა, ხალხი ექსტრემალურ პირობებში ხშირად იქცევა ასე, თავის გადასარჩენად. ჩემს ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომელთა გამოც ამ ყველაფერს ხაზს ვერ გადავუსვამ. არავის დახმარებას არ ველოდები. ველი დაღამებას და გათენებას. და მჯერა ერთხელაც ნამდვილად გათენდება.

ჟურნალი "ბუმერანგი"

თაკო ფანცულაია

რატომ არ გაცვალეს პეტრე გელბახიანი გია გულუაზე

მას შემდეგ, რაც ბატონმა გედი გელბახიანმა ციხის საკანი დატოვა, რამდენჯერმე დავუკავშირდი ინტერვიუს ჩაწერის მიზნით. გამოგიტყდებით, ჟურნალისტისთვის მეტად არასასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც რესპოდენტი შეხვედრაზე აცხადებს უარს, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, ყოველთვის მესმოდა იმ თავშეკავებული მშობლის ტკივილი, რომელმაც არ იცის, რა ელის საპატიმროში

დარჩენილ მის ერთადერთ ვაჟიშვილს. ვფიქრობ, ხუთმა სექტემბერმა გელბახიანების ოჯახში უამრავ კითხვას გასცა პასუხი, მაგრამ მაინც არსებობს მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელსაც ალბათ ჩვენზე უკეთ დრო უპასუხებს.

* * *

— ბატონო პეტრე, მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ, დღეს უკვე თავისუფალი ხართ, როგორ ფიქრობთ, 5 სექტემბერს დასრულდა მძიმე ჯვრის ზიდვა, რომელიც გელბახიანების ოჯახმა თითქმის ნახევარი საუკუნე ატარა?

— მიჭირს რაიმე გიპასუხოთ, ღმერთმა ქნას, ეს ყველაფერი საბოლოოდ დამთავრდეს. ამ ათი წლის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე საუბრობენ ჩემს მოსალოდნელ გათავისუფლებაზე. მტკივნეულად მახსენდება ის დრო, როდესაც მავანნი და მავანნი ჩვენს გაცვლას დატყვევებულ გია გულუაზე ცდილობდნენ.

— გეთანხმებით, თქვენი დაპატიმრების დღიდან მუდმივად საუბრობდნენ როგორც თქვენს გათავისუფლებაზე, ისე თქვენს დახვრეტაზეც. ვფიქრობ, პატიმრისათვის ყველაზე დიდი სასჯელი ხვალინდელი დღის შიში და ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინია.

— რა თქმა უნდა. ჩემი სიცოცხლე ყოველთვის ბეწვზე ეკიდა. საპატიმროში თითქმის ყოველ წუთს ველოდებოდი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას. იმავდროულად, მქონდა იმის იმედი, რომ თუ ჩემს საქმეში რაღაც მექანიზმები ჩაერთვებოდა, სიმართლის გარკვევა არ გამიჭირდებოდა...

— და მაინც, საპატიმროში ყოფნისას ხშირად ფიქრობდით სიკვდილზე?

— სიკვდილისთვის თითქმის ყოველ წუთს მზად ვიყავი, მაგრამ მაინც ვცდილობდი, რომ სულიერი სიმტკიცე არ დამეკარგა. ციხე ნებისმიერ ადამიანს ღმერთთან აახლოებს. იქ მყოფი ადამიანი ფიქრობს, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ გადარჩენაზეც.

— შეგიძლიათ გვითხრათ, რაში გამოიხატება ეს მცდელობა?

— საპატიმროში თითქმის ყველა ლოცულობს და უფრო მეტად ცდილობენ ღმერთთან დაახლოებას.

— სამიოდე წლის წინ, როდესაც ბატონ გედი გელბახიანს გათავისუფლება მივულოცე, მან ძალიან ნაღვლიანად მითხრა, რომ იგი არ თვლიდა თავს ბედნიერად, რადგან ციხეში მისი ვაჟიშვილი, პეტრე გელბახიანი ეგულებოდა, თუ არ ვცდები, იმ დროს თქვენი მომავალი კვლავ ბედის სასწორზე იწონებოდა. თქვენ როგორ შეხვდით მამათქვენის განთავისუფლებას?

— ის ბრალდებები, რომლის გამოც გედი გელბახიანი დააპატიმრეს, იმდენად უსუსური იყო, რომ მეგონა, მას ჩემი დაჭერისთანავე გაათავისუფლებდნენ. მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მამაჩემი ჩემ გამო დააპატიმრეს, რადგან იმ დროისთვის ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლი, ბოღმით აღსავსე ადამიანები მე ვერ მნახულობდნენ.

— გედი გელბახიანის გათავისუფლების შემდეგ გეგონათ, რომ ამდენ ხანს გელოდათ დარჩენა?

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუკი საპატიმროში ამდენ ხანს მომიწევდა დარჩენა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ ჩვენი ქვეყანა ათი წლის განმავლობაში ასეთ მძიმე მდგომარეობას გაუძლებდა. ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი მუხანათური მიდგომა საკუთარი სამშობლოსა და თანამემამულეებისადმი, მაგრამ რა შემიძლია გითხრათ? ბარაქალა ჩვენს ხალხს, რომ ერთმანეთისთვის თანაგრძნობისა და გამარჯობის თქმა არ დაგვავიწყდა.

— სამწუხაროდ, ისტორია ხშირად მეორდება ხოლმე და ვერც თქვენ ასცდით ამ მძიმე გზას, რომელიც თითქმის 40 წლის წინათ უფროსმა პეტრე გელბახიანმა გაიარა, როგორ ფიქრობთ, რით გავხართ ბაბუათქვენს?

— პეტრე გელბახიანისგან გენეტიკურად გადმომყვა დიდი სიძნელეების გადალახვა, მეც,

მამაჩემსაც და ბაბუაჩემსაც ცხოვრებამ მძიმე ტვირთის ტარება მოგვისაჯა. ბაბუას სიკვდილი ციხის საკანში შევიტყვე, დღესაც მესმის იმ კაცის ხმა, რომელმაც გაბრაზებული ხმით გამამხნევა: "პეტრე აღარ გყავს, მაგრამ შენ მისი შთამომავალი ხარ და უნდა გამაგრდე."

— თქვენ ბრალად გდებდნენ ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების ორგანიზატორობას. დღეს, როდესაც თქვენ უკვე თავისუფალი ხართ, ალბათ აუცილებლად მოგიწევთ საზოგადოებას უთხრათ, რა მოხდა იმ ავბედით დღეს და ვისი ხელი ურევია მომხდარ უბედურებაში?

— ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ გაგცემთ, როდესაც საქართველოში სამართლიანი სასამართლოს ჩატარების საშუალება გვექნება. სასამართლო ექსპერტებს, რომლებმაც დღემდე ჩემს საქმეში ჩაიხედეს, მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს ძალიან მძიმე ტრაგედიასთან, ჩემს მიმართ ამის დაბრალება, სამართლებრივი თვალსაზრისით, სასაცილოდ ეჩვენებოდათ. დღეს ძალიან იშვიათად თუ მკითხავს ვინმე, თუ რატომ არ დამრთო სასამართლომ ნებართვა, რომ ჩემს პროცესს დავსწრებოდი... და კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, ამ საქმეში ჩემ მიმართ ფაქტობრივი მტკიცებულება, გარდა უცნობი მოწმის ერთი უმნიშვნელო აბზაცისა, არ არსებობდა. განსასჯელს, მსგავსი მიდგომით, სასამართლომ დახვრეტა კი არა, მარსზე

გადასახლებაც რომ მიუსაჯოს, ნამდვილად არ გამიკვირდება.

— თუ გახსოვთ, იმ ტრაგედიის დროს სად იმყოფებოდით?

— ჩემი მეუღლის ბინაში, რომელიც უბედურების ადგილიდან ახლოს მდებარეობდა, აფეთქებამდე 3-4 დღით ადრე საკუთარი ავტომანქანა მომპარეს და მისი ძებნის დროს ხშირად მიწევდა იმ ადგილებში ყოფნა, ვფიქრობ, ჩემმა მოწინააღმდეგეებმა ეს მომენტი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს.

— დღეს შეგიძლიათ, ხმამაღლა განაცხადოთ, თუ ვინ მოგიწყოთ პროვოკაცია?

— რა თქმა უნდა, შევარდნაძის სპეცსამსახურებმა, რეჟიმმა, რომელიც მაშინ სუფევდა, ფაქტიურად იმ დროს ხელისუფლებას განაგებდა ტიპური ბანდა.

— ამ დროიდან დღემდე საქართველოში ხელისუფლება თითქმის არც კი შეცვლილა. რა გარანტია გაქვთ, რომ იმავე ძალებმა დღესაც არ მოგვიწყონ მსგავსი პროვოკაცია?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუმცა არც არაფერს გამოვრიცხავ. ჩემთვის ძნელი გასაგებია, როდესაც ხელისუფლება ტრაბახობს, რომ ქვეყანაში სტაბილიზაცია დავამყარეთო. ერთი რამ მინდა გითხრათ, ვაკვირდები ამ ხალხის განვლილ გზას და

ვხვდები, რომ მათ სტაბილიზაცია მხოლოდ საკუთარ ოჯახებსა და თანამდებობებს შეუქმნეს. როცა ქვეყანაში 10 წლის განმავლობაში ნგრევის მეტი არაფერი გიკეთებია, მიკვირს, ხელისუფლებაში კვლავ მოსვლის პრეტენზია როგორღა უჩნდებათ. ჩემს სასამართლო პროცესზე ეს ძალა ყოველნაირი ბინძური ხერხით ცდილობდა, რომ პოლიტიკური მოტივის ნაცვლად ჩემთვის კრიმინალური ბრალდებები წაეყენებინა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, საზოგადოებამ ყველაფერი კარგად დაინახა.

— დღეს, რას ფიქრობთ, რატომ ათავისუფლებს შევარდნაძე პოლიტპატიმრებს, რა დგას ამ "კეთილი ნების" მიღმა?

— ვფიქრობ, ეს საზოგადოებრივი მოძრაობის პროცესმა მოიტანა. დღეს პიროვნულად ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ საქართველოში კიდევ ერთი ახალი პოლიტიკური პარტია შეიქმნას. თუმცა, არ გამოვრიცხავ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან სამომავლო კონსულტაციებს.

— ცოტა არ იყოს მიკვირს, კვლავ დაგრჩათ პოლიტიკაში მოსვლის სურვილი?

— ვფიქრობ, რომ საქართველოში პოლიტიკა აღარ არსებობს, მაგრამ ამ პროცესში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ.

— საინტერესოა, რომელ პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლებთ?

— ყველაზე ახლოს ბატონ გურამ აბსანძის პოლიტიკურ მრწამსთან ვარ. მაგრამ, თუ შევამჩნიე, რომ ისინიც მხოლოდ პარლამენტში ხელახალი მოსვლისთვის იბრძოლებენ, მსგავს სიტუაციაში მათი კატეგორიული მოწინააღმდეგე გავხდები.

— ამბობენ, გურამ აბსანძე უახლოეს მომავალში შევარდნაძისა და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაყენებისთვის აქციების გამართვას აპირებს, ვთქვათ, პოლიტიკური მოვლენები ასე განვითარდა, მსგავს აქციაში მიიღებთ მონაწილეობას?

— რა თქმა უნდა ამ პროცესებშიც ჩავერთვები და მსგავს სხვა მოთხოვნებსაც მხარს დავუჭერ.

— ბატონო პეტრე, საზოგადოებაში დღესაც მუსირებს აზრი, რომ თქვენი ოჯახი შევარდნაძემ მწარედ დასაჯა, ასეთი გამოცდილების შემდეგ, არ გაშინებთ შევარდნაძესთან დაპირისპირება?

— მე ვერაფრით შემაშინებენ და ვერც მომისყიდიან. სულიერად არ დავცემულვარ და ფიზიკურადაც მშვენივრად ვგრძნობ თავს და ბრძოლის გამოცდილებაც მაქვს.

— მართალია, მაშინ თქვენ ბავშვი იქნებოდით, მაგრამ იქნებ 1973 წელი გაიხსენოთ, ის დრო, როდესაც შევარდნაძე დააწინაურეს. თქვენი ოჯახის წევრები გრძნობდნენ თუ არა კარს მომდგარ უბედურებას და როგორ შეხვდა

შევარდნაძის წინსვლას ბატონი პეტრე გელბახიანი?

— (ფიქრობს). 1973 თითქმის 10 წლისა ვიყავი, ეს ის ასაკი არ არის, რომ რეპრესიების საფრთხე გაგრძნობინოს., თუმცა გუმანით ვხვდებოდი, რომ რაღაც არასასიამოვნო ფაქტი მოხდა.

— ეს დაძაბულობა თუ ემჩნეოდა ბაბუათქვენს?

— რა თქმა უნდა, ვატყობდი ბაბუას, რომ მოვლენების მსგავსი განვითარება დიდად არ გახარებია, იგი სიცოცხლის ბოლომდე ნანობდა: როდესაც შევარდნაძის კანდიდატურას იხილავდნენ, შემეძლო მას ღიად დავპირისპირებოდი, მაგრამ რატომღაც ეს არ გავაკეთეო.

— რა გახდა შევარდნაძისა და ბაბუათქვენის დაპირისპირების მიზეზი?

— ზუსტად ვერ გეტყვით. მათი დაპირისპირება წარმოიშვა მაშინ, როდესაც ისინი ერთ ხელისუფლებაში მოღვაწეობდნენ.

— საინტერესოა, რას ამბობდა პეტრე გელბახიანი, როდესაც მისი მემკვიდრეები ციხის საკანში გიხილათ?

— მახსოვს, ბაბუამ ჩემი დაპატიმრებიდან 2 თვის შემდეგ უშიშროების იზოლატორში მომინახულა და მითხრა: "ამაყად გაუძელი, ეს განსაცდელია."

— თუ გამოთქვამდა შევარდნაძესთან შეხვედრის სურვილს, რათა თქვენი განთავისუფლება ეთხოვა?

— როგორ გეკადრებათ, როგორ შეიძლება იმ ადამიანს სთხოვო შველა, ვინც გამოუვალ მდგომარეობამდე მიგიყვანა. ბაბუა ამას არასოდეს გააკეთებდა. იგი თავისი პრინციპების ერთგული დარჩა.

— თავისუფლება, სასამართლოს დარბაზში თქვენს ვაჟს რომ გადაკოცნეთ, მაშინვე იგრძენით?

—კი, ამ დღისათვის ჩემს თავს ცოტა ადრე ვამზადებდი, სიმართლე რომ გითხრათ, ეს ეიფორია დღემდე გრძელდება.

— ციხის საკანში თავისუფლების სანაცვლოდ რამეს ხომ არ გთავაზობდნენ?

— შემოთავაზების უამრავი ფორმა არსებობს. ციხეში თავისუფლებისათვის ისევე გევაჭრებიან, როგორც ბაზარში. არასოდეს მდომებია

თავისუფლება პასიურობისა და უმოქმედობის სანაცვლოდ. როგორ შეიძლება, შეწყალება სთხოვო იმ ადამიანს, ვისაც მთელი ცხოვრება ეწინააღმდეგები.

— **ბატონო პეტრე, ციხეში გატარებულმა წლებმა სამაგიეროს გადახდის სურვილი თუ დაგიტოვათ?**

— ე.ი. თქვენ მეკითხებით ამ ხნის მანძილზე გავბოროტდი თუ არა? როგორ გეკადრებათ, სამაგიეროს გადახდა ჩემი საქმე ნამდვილად არ არის.

თეა ჯაჭვაძე

სამძიმარი

საქართვლეოს პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოსთვის ტანჯული შვილის, პეტრე გელბახიანის გარდაცვალებას. ვუსამძიმრებთ ე.შევარდნაძის მტარვალი ხელისუფლებისაგან გამწარებულ გელბახიანების ოჯახს, მათ ნათესავებსა და მეგობრებს –უსამართლობასთან მებრძოლ სრულიად საქართველოს! შეუძლებელია გამოვნახოთ სიტყვები, რომელნიც მალამოდ დაედებოდა მისი ამ

ქვეყნიდან უდროოდ წასვლით გამოწვეულ საერთო მწუხარებას

,,პირნათლად მივა სულეთსა,
სადც იმის წინაპარნია,
რომ არ უმტყუვნა, ასრულა
გმირმა გმირული ვალია.”

ერისკაცის ლოცვა

,,ლოცვითა წმინდა მამათა ჩვენთაითა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალნენ ჩვენ, ამინ! სანატრელსა შინა დაძინებასა, საუკუნო განსუენებაი მიჰმადლე, უფალო, მიცვალებულსა

მონას ამას შენსა პეტრესა და
მიეც ამას საუკუნო ხსენებაი.
საუკუნოდ იყავნ
ხსენებაი ამისი
საუკუნოდ იყავნ ხსენებაი ამისი
ხსენება და კურთხევაი ამისი.

სულმან მისმა
კეთილთა შინა განისუენოს
და ნათესავმან დაიმკვიდროს
ქუეყანაი.

იური ბურკაძე
ბესარიონ გუგუშვილი
რენო სირაძე
ლონგი ფარცვანია
მანუჩარ თოფაძე
იოსებ ღუდუშაური

სამძიმარი

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ქართველი კალათბურთელი პეტრე გელბახიანი და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ვეტერანი ქართველი კალათბურთელები: ს. იშხნელი, ი. ინწკირველი, ბ. ლიპარტელიანი, თ. დათიკაშვილი, გ.წულაძე, მ. ლომიძე, კ. ნუცუბიძე, პ. გურასპაული, ა. ვაშალომიძე, გ. ბურჯანაძე, ზ. ტომარაძე და გ. დარსაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ქართველი კალათბურთელი პეტრე გელბახიანი და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გმირები შთამომავლებს ტოვებენ

ზოგადად დიქტატურა ყველაფერს ანადგურებს, წვავს და ბუგავს, იმავდროულად, თავად დიქტატურა შობს ისეთ ძლიერ, თითქმის ყოვლისშემძლე გრძნობას, როგორიც არის პროტესტი და საბოლოოდ მის მიერვე აღმოცენებული პროტესტის მსხვერპლი ხდება. სწორედ დიქტატურის სუსხი არ ასვენებთ პეტრე გელბახიანის მსგავს ადამიანებს. მავანნი და მავანნი იტყვიან, წარმატებული ექიმი იყო და ეცხოვრა თავისთვისო... მაგრამ პეტრეს თავისთვის ცხოვრება არ შეეძლო, მას საქართველოს ბედ-იღბალი არ ასვენებდა...

სწორედ პეტრე გელბახიანის მსგავსი ადამიანების დამსახურებაა ის, რომ საქართველო დღემდე არსებობს.

პატარა ნუცა გელბახიანი

გედი და ქეთი

გედი, დათი და ოთო

ოთო და ნუცა

თიკა და ნიკა

ფოტოკოლაჟი

პეტრე, რეზო რეხვიაშვილი, ლადო მაჭავარიანი

ბებიასთან და ბაბუასთან

ციხეში მშობლებთან ერთად

წარწერა სურათზე: *"ჩვენო საყვარელო პეტრე! გკოცნით, გვიყვარხარ, გვენატრები. იცოდე შენ სულ ჩვენთან ერთად ხარ. გკოცნით ბევრს*

შენი თანაკლასელები"

2 ოქტომბერი, 1999წ.

ბავშვობის მეგობარ ვაჟა კაკაბაძესთან ერთად

პეტრე ბავშვობის მეგობარ მამუკა ანღულაძესთან, გედისთან და დიმა ჩიჩუასთან ერთად

“დინამოს” კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები (პეტრე – N 5)

ᲒᲔᲓᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲓᲐᲗᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲤᲘᲜᲔᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢ
ᲐᲘᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

რძალთან და შვილთან ერთად

ოჯახი ციხეში პაემანზე უფროს
პეტრე გელბახიანთან

აქ სიძლიერესაც სევდახე ძლიერია,
აქ კეთილებიც კი სიკვდილის ფერია,
ძიქელ ვაბოიელს აქ ძოდან ელია,
ძაგოან ოკნიებ ძაინც კისფერია.

ჰეცრე